

ვენეციის ბიენალეს დღიური A6



მთელი ქალაქი - "ქარვასლაში" A7



"ოლიმპის" კარს ყადაღა აეხსნა C1

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 28 სექტემბერი, 2006 წელი. №214 (1366) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

## თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

## GWS-ის სტრატეგია ამართლებს

"ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის" (GWS) მიერ წარმოებული ბრენდები "თამადა", "ძველი თბილისი" და "ჭაჭა განსაკუთრებული" ბალტიის ქვეყნებში, უკვე წარმოდგენილ მსოფლიოში ცნობილ ფრანგულ, ავსტრალიურ და ჩილეს ღვინოებს კონკურენციას ჯერ კიდევ 1998 წლიდან უწევს.

A5

## ამინდი

| | 28/09 | 29/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 23 | 23 |
| ბათუმი | 25 | 28 |
| სოხუმი | 25 | 29 |
| ქუთაისი | 27 | 30 |
| გორი | 21 | 21 |
| თელავი | 22 | 22 |
| ონი | 17 | 20 |
| ზუგდიდი | 27 | 31 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7375 |
| ევრო | 2.2044 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2825 |
| რუბლი | 0.0648 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# ზემო აფხაზეთში

### ცამეტი წლის შემდეგ

ვერიკო თევზაძე

*"ჩვენ დავბრუნდებით!" - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება კი უკვე დაბრუნდა კოდორის ხეობაში, რომელსაც ამიერიდან ოფიციალურად ერქმევა "ზემო აფხაზეთი". გუშინ სოხუმის დაცემიდან მე-13 წელს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ სოფელ ჩხალთაში აფხაზეთის მთავრობის რეზიდენცია გახსნეს.*

გაგრძელება A3 გვერდზე



*სოხუმი ხელის გაწვდენაზე.*

# "გრუ-ს" ოთხი მაღალჩინოსანი - დივერსანტები

*"მირანდას უფლებების" გაცნობით დაკავებული გრუ-ს ოთხი მაღალჩინოსანი და ათი ქართველი ჯაშუში - ეს ის ძალაა, რომელიც, შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, საქართველოში მნიშვნელოვან პროვოკაციას გეგმავდა.*

დაკავებები, რომელიც თბილისში, ბათუმსა და ლაგოდეხში ერთობლივად განხორციელდა, გუშინ მთელი დღის განმავლობაში არ გახმაურებულა. შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცოპერაციამ ყურადღება მას შემდეგ მიიქცია, რაც ამიერკავკასიის სამხედრო დაჯგუფების შტაბთან საპატრულო პოლიციისა და შს სამინისტროს ქვედანაყოფების წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი.

გაგრძელება A4 გვერდზე




გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*სპეცოპერაცია ამიერკავკასიის სამხედრო დაჯგუფების შტაბში.*

# საქართველოში ნავთობის მოპოვება შემცირდა

### სახელმწიფო ნავთობკომპანიამ და კონტრაქტორებმა შვიდ თვეში 7 ათასი ტონა ნედლი ნავთობი მოიპოვეს

**B**

*ნავთობი რაც უფრო მსუბუქია და ამტანობის მეტი ხარისხი გააჩნია, მსოფლიო ბაზარზე მით უფრო ძვირად ფასობს. ამ მხრივ ქართული ნავთობი ერთ-ერთი საუკეთესოა - აქვს დაბალი ხვედრითი წონა და ე.წ. "ბრენდის ტიპის" ჯგუფს განეკუთვნება. არსებობს მძიმე, დაბალი ხარისხის ნავთობი, რომელიც "ურალის ტიპის" ჯგუფშია გაერთიანებული. მას რუსეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში მოიპოვებენ. ამ ქვეყნების საბადოებიდან ამოღებული ნავთობისაგან განსხვავებით, ქართული "შავი ოქრო" ლონდონის ბირჟაზე 1,5 დოლარით უფრო ძვირად იყიდება.*



# რეალური საფრთხე

### საქართველო კოსოვოს თემას საფრთხედ აღიარებს

*საქართველოს პრეზიდენტმა კოსოვოს სტატუსის გარშემო შექმნილი ვითარება საქართველოსთვის სერიოზულ საფრთხედ აღიარა. სერბეთის ამ რეგიონის სტატუსი ჯერ განსაზღვრული არ არის, ხოლო თვითგამოცხადებული სახელმწიფოების აღიარების საკითხს ექსპერტები საეჭვოდ მიიჩნევენ. თუმცა, საქართველო საფრთხეს მოსკოვიდან ელის, რომელიც საერთაშორისო ვითარების ცვლილებას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს.*

დიმიტრი ავალიანი

საქართველოს პრეზიდენტის თქმით, დღესდღეობით კოსოვოს "ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი" მიმდინარეობს. **"პირდაპირი მუქარა გაისმა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომ ისინი მზად იქნებიან, კოსოვოს ცნობის პარალელურად ცნონ საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიების დამოუკიდებლობა,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს საზიანოდ საერთაშორისო გარიგების შესაძლებლობაზე მიანიშნა: **"საქართველოს ხარჯზე დიდი თამაშის წარმოების, ჩვენი ტერიტორიების გაცვლის და გადანაწილების ყოველი მცდელობა წააწყდება წინააღმდეგობას ჩვენი ძირითადი პარტნიორების მხრიდან და, რაც მთავარია, ამას არავითარ შემთხვევაში არ შეეგუება ქართველი ხალხი."**

**"საფრთხე არის უკვე უახლოეს პერიოდში, მაგრამ ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ის, რაც დავიწყეთ. ჩვენ ნამდვილად არ ვართ უმწეო ქვეყნის მდგომარეობაში და ვინც არ უნდა გადაწყვიტოს რაიმე ჩვენს ხარჯზე, აქ ვერავინ ვერ გამოისეირნებს და ვერ ჩამოგვაჭრის ჩვენი ტერიტორიის ბუნებრივ სისხლხორცეულ ნაწილს,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რუსეთი "გაყინულ კონფლიქტებზე" ერთპიროვნულ კონტროლს კარგავს

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს ხელისუფლება გულმოდგინედ ცდილობს სამშვიდობო ფორმატის შეცვლას. ამ მიმართულებით გადადგმულ ბოლო ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს სუამ-ის წევრი ქვეყნების (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) საგარეო საქმეთა მინისტრების შეთანხმება პოლიციური ძალების შექმნის შესახებ, რომელმაც დსთ-ს ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ ზონებში რუსული სამშვიდობო ძალები უნდა შეცვალოს.

ოფიციალური თბილისის და მისი მოკავშირეების ასეთი განზრახვა რუსეთისა და სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელობას ძალიან აშფოთებს და აღიზიანებს. ამის დასტურია ის რეაქცია და შეფასებები, რომელიც კონფლიქტების "სუამიზაციასთან" დაკავშირებით მოსკოვიდან გაისმა.

"24 საათი" უკვე იუწყებოდა იმ განცხადების შესახებ, რომელიც რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა ამ საკითხთან დაკავშირებით გააკეთა.

**"რუსეთი მონახავს ადეკვატურ ზომებს, რათა თავიდან აიცილოს მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება,"** - აღნიშნა სერგეი ივანოვმა.

სუამ-ის წევრი ქვეყნების გადაწყვეტილებას მეტად თავისებურად გამოეხმაურა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი. იგი, როგორც რუსული პრესა იუწყება, "რუსეთ-აფხაზეთის" სასაზღვრო საგუშაგო ერმოლოვკას ეწვია და მისი ინსპექტირების შემდეგ ჩაიც მიირთვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# 27 სექტემბერი თბილისში

*სოხუმის დაცემიდან 13 წლის თავზე, საქართველოს დედაქალაქში ერთდროულად რამდენიმე აქცია გაიმართა. გამომცემლობა "დიოგენემ" და ინტერნეტ ჯგუფმა "რე-აქციამ" საქართველოში რუსეთის საელჩოსთან მშვიდობიანი აქცია გამართეს. აქცია გაიმართა პარლამენტის შენობასთანაც.*

თამარ დვალი

გამომცემლობა "დიოგენეს" და ინტერნეტ ჯგუფ "რე-აქციის" წარმომადგენლებმა რუსეთის საელჩოსთან 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთში განვითარებული მოვლენების ამსახველი ფოტოები გამოფინეს. მათი თქმით, რუსეთი კონფლიქტის უშუალო მონაწილეა და ამიტომ ისინი რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უნდობლობას უცხადებენ.

**"ხალხმა უნდა დაინახოს ის უარყოფითი როლი, რომელსაც ამ კონფლიქტში რუსეთი ასრულებს. ჩვენი ერთადერთი მოთხოვნაა, რუსმა სამშვიდობო ძალებმა დატოვონ საქართველო,"** - განაცხადეს აქციის მონაწილეებმა.

გამომცემლობა "დიოგენემ" აქციაზე მათ მიერ ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული წიგნის - გელა ჩქანავას "ტორეადორების" პრეზენტაცია მოაწყო, რომელიც ავტორმა აფხაზეთის ომს მიუძღვნა. წიგნი საომარი მოქმედებების დროს მტრის ზურგში ჩარჩენილი ორი მებრძოლის ცხოვრებას ასახავს.

ხალხის სიმრავლით გამოირჩეოდა პოლიტიკური გაერთიანების - "ჩვენ თვითონ" - მიერ პარლამენტის შენობასთან გამართული აქცია. გაერთიანების ლიდერის პაატა დავითაიას თქმით, ისინი ხელისუფლებისგან მათ მიერ აგვისტოში ჩამოყალიბებული პუნქტების შესრულებას მოითხოვენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ცხინვალში განვითარებულ მოვლენებს საქართველოს ხელისუფლება კრიმინალურ ფაქტად აფასებს

ცხინვალის რეგიონში ბოლო დღეებში განვითარებულ მოვლენებს საქართველოს ხელისუფლება კრიმინალურ ფაქტად აფასებს.

როგორც გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა მერაბ ანთაძემ აღნიშნა, გუშინდელი ინციდენტი და გასულ დღეებში მომხდარი ფაქტები ადასტურებს, რომ დე-ფაქტო ხელისუფლება უუნაროა, გააკონტროლოს ვითარება.

ანთაძის თქმით, ქართული მხარე მოითხოვს და კვლავაც დააყენებს საკითხს კონფლიქტის ზონაში ერთობლივი საპოლიციო ჯგუფების ამოქმედების შესახებ.

მისივე განცხადებით, აღნიშნულ საკითხს ქართული მხარე 12-13 ოქტომბერს ვლადიკავკაზში დაგეგმილ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე გაიტანს.

გარდა ამისა, ქართული მხარე კვლავაც მოითხოვს კონფლიქტის ზონაში მოქმედი სამშვიდობო ფორმატის შეცვლას, რადგან, ქართული მხარის შეფასებით, აღნიშნული ფორმატი არაეფექტურია კონფლიქტის დარეგულირების თვალსაზრისით.

მერაბ ანთაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რამდენიმე დღის წინ მომხდარი აფეთქება, რომლის შედეგადაც საქართველოს მოქალაქე ხვიჩა ნიკორაშვილი დაშავდა, ე. წ. "სამშვიდობო ძალების მოქმედების ზონაში მოხდა".

სახელმწიფო მინისტრის განმარტებით, რუსეთის სამშვიდობო ძალების პირდაპირი მოვალეობაა, განაღმვითი სამუშაოების წარმოება და ზონაში დემილიტარიზაციის განხორციელება.

ბოლო სამი დღის განმავლობაში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შვიდი თავდასხმა მოხდა. **ინტერპრესნიუსი**

# თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიყავს ჟურნალისტ დავით კიკალიშვილს. სტუდიის სტუმრები არიან ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში გიორგი ხელაშვილი და ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი დავით აფრასიძე.*

**დავით კიკალიშვილი:** დღეს ჩვენი საუბრის თემა იქნება პოლიტიკური პარტიები. მოგეხსენებათ, 26 სექტემბერს გაიმართა პრეზენტაცია წიგნისა, რომელიც საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ პარტიებს ეხება. ყურადღებას გავამახვილებთ პრობლემებზე, რომლებიც პარტიებს აწუხებთ.

სოციოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ოპოზიციურ პარტიებს ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი არ გააჩნიათ. თქვენ როგორ ფიქრობთ?

**გიორგი ხელაშვილი:** ჯერ ერთი, ნებისმიერ პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელისუფლებო პარტია თავისი შანსებით დანარჩენებზე უფრო წინ დგას. მეორეც, საქართველოში მმართველი პარტია, სახელისუფლებო გუნდი, საკმაო სტაბილურობით გამოირჩევა. რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, მათ შემთხვევაში უფრო საინტერესოა, რომელი გახდება რიგით მეორე. ეს არა მარტო პოლიტიკურ სპექტრზე მიგვანიშნებს, არამედ - საზოგადოებრივ განწყობაზეც.

**დავით აფრასიძე:** ვეთანხმები გიორგის იმაში, რომ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ბევრი რამ წინასწარ არის ცნობილი. თუმცა, ჩემი აზრით, ოპოზიციურმა პარტიებმაც ბევრი რამ გააკეთეს იმისთვის, რომ პროგნოზი თავიდანვე ნათელი ყოფილიყო.

**დავით კიკალიშვილი:** წიგნის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები. მათ შორის, საუბარია საარჩევნო ბარიერის დაწევაზე. თქვენი აზრით, არსებობს თუ არა ამისი საჭიროება?

**დავით აფრასიძე:** ერთი მხრივ, ბარიერმა, როგორც პოლიტიკურმა ინტიტუტმა, ხელი უნდა შეუწყოს წვრილი პარტიების ჩამოყალიბებას. მორე მხრივ, შეუძლებელია, არითმეტიკული ჯამი მივიღოთ არჩევნების წინ შემდგარი მყიფე გაერთიანებისგან.

**დავით კიკალიშვილი:** ამბობენ, მმართველ პარტიას იმდენად დიდი შანსი აქვს გამარჯვებისა, რომ ოპოზიცია არსებობის საფრთხის წინაშე დგას. თანაც, იმასაც შენიშნავენ, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ლობის გარეშე დარჩება. ასეთ ვითარებაში როგორ განიხილავდით ბარიერის დაწევის საკითხს?

**გიორგი ხელაშვილი:** სამწუხაროდ, ჩვენს პარტიებს განვითარების დიდი არეალი არ გააჩნიათ. ნაწილობრივ, პრობლემა მათ არაეფექტურობაშიც მდგომარეობს. რაც შეეხება პარლამენტში გასვლას, "რესპუბლიკელების" მაგალითის მიხედვით, ვერ ვიტყვით, რომ ისინი თავიანთი ქმედითობით არასაპარლამენტო პარტიებისგან (მაგალითად, "ლეიბორისტებისაგან") განსხვავდებიან. აქედან გამომდინარე, პარლამენტში მოხვედრა არ ნიშნავს, რომ ეს ორგანიზაცია ძლიერ და ეფექტიან პარტიად ჩამოყალიბდება. საბოლოო ჯამში, ბარიერის აწევ-დაწევა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისთვის კი არ არის იმდენად მნიშვნელოვანი. იგი, უპირველესად, მაჩვენებელია, რამდენად მოქნილია ხელისუფლება საკუთარი საზოგადოებისა და აგრეთვე, საერთაშორისო საზოგადოების მოთხოვნათა მიმართ.

**დავით კიკალიშვილი:** საუბარი განვაგრძოთ ისეთ საკითხზე, როგორიცაა შიდა პარტიული სტრუქტურების სისუსტე. რამდენად გამოკვეთილი სამოქმედო პროგრამა აქვთ პარტიებს?

**გიორგი ხელაშვილი:** ერთმანეთისგან უნდა გამოვყოთ სტრუქტურა და იდეოლოგია. მსოფლიოში ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ მემარჯვენეობას და მემარცხენეობას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტობრივად, იდეოლოგიების ეპოქა დასრულდა. დღეს ყველაფერს წყვეტს საკითხები, თემები. აქედან გამომდინარე, მთავარია ის, თუ რა საკითხებზე აკეთებენ პარტიები აქცენტს.

**დავით აფრასიძე:** საქართველოში ორი უკიდურესობა შეინიშნება. ზოგიერთი პარტია (მაგალითად "რესპუბლიკელები") მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იდეოლოგიას და რეალობას სწყდება. სხვები კი, პირიქით, იმდენად არიან რეალობაზე გამოდევნებული, იდეოლოგიური თანამიმდევრობა მათი პოზიციისა ჰაერში იბნევა.

**დავით კიკალიშვილი:** ამ მხრივ მმართველ პარტიასთან მიმართებაში რას იტყვით?

**დავით აფრასიძე:** სახელისუფლებო პარტია ეს პოსტსაბჭოთა ფენომენია. ვიდრე არ მოხდება მათი ინტერესების გამომხატველი ინსტიტუციურად მყარი ჯგუფების ჩამოყალიბება, მანამდე, როგორც წესი, ამ პარტიაში თავს იყრიან სხვადასხვა დაჯგუფებები. ეს არის ეფექტური მექანიზმი იმისათვის, რომ საკუთარი ინტერესების ლობირება მოახდინოს. სხვა პარტიებს ამისი შანსი, უნარი და გამოცდილება არ გააჩნიათ. ამდენად, ვილებთ ისეთ კონგლომერატს, სადაც ერთდროულად იდეოლოგიური და ინტერესთა სიჭრელე შეინიშნება. ნაწილობრივ, მეორე მომენტიც არის გასათვალისწინებელი: იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური თამაშის წესები დადგენილი არ არის, ხელისუფლებას უხდება ითამაშოს სხვადასხვა მოედანზე, ითამაშოს რეფორმების მოედანზეც და იმ მოედანზეც, რომელიც სწრაფი ეფექტების მომტანია.

**დავით კიკალიშვილი:** რამდენად დემოკრატიული სტრუქტურებია პატიებში?

**გიორგი ხელაშვილი:** დღეს რაც საქართველოში კეთდება, არის სამოყვარულო პოლიტიკა. სანამ ქვეყანაში არ გაჩნდება სერიოზული ეკონომიკური ჯგუფები, რომელთაც ექნებათ რეალური ინტერესები და ამ ინტერესებზე არ ამოიზრდება პოლიტიკური პარტიები, მანამდე გაგრძელდება ამგვარი ვითარება. გამოსავალი არის ინვესტიციებსა და ეკონომიკის განვითარებაში.

**დავით აფრასიძე:** დაახლოებით, 2008-2012 წლისთვის უნდა გვქონდეს იმდენად დივერსიფიცირებული ბიზნეს-გარემო, რომლის კონტროლი ერთი პოლიტიკური ცენტრის მიერ შეუძლებელი გახდება.

# ხარვეზები საარჩევნო სიებში

*არასამთავრობო ორგანიზაციამ "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" ცესკო-ს მიერ შედგენილ სიებში 2600 უსახელო, უგვარო და უმისამართო ამომრჩეველი აღმოაჩინა. ორგანიზაციის განცხადებით, ეს დარღვევები სიის მხოლოდ ზედაპირული გადახედვის შედეგად იქნა აღმოჩენილი. არასამთავრობოებს პრეტენზიები საარჩევნო სიის კომპიუტერული ვერსიის მიმართაც აქვთ.*

ნათია მსხილაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია, "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" ამომრჩეველთა სიებში აღმოჩენილი ხარვეზებს შეასწორებს. შესწორების შეტანის შემდეგ კი, ამომრჩეველთა სიის საბოლოო ვარიანტს ცესკო-ს გადაუგზავნის. ორგანიზაციის თავმჯდომარე კოკი იოთანაშვილი იმედოვნებს, რომ კომისია მათ შენიშვნებს გაითვალისწინებს. **"ამომრჩეველთა სიაში შეყვანილი არიან ამომრჩევლები, რომლებსაც მითითებული არა აქვთ ან სახელი, ან გვარი, ან მისამართი. ფიქსირდება 1900 წლის პირველ იანვარს დაბადებულები,"** - აღნიშნა კოკი იოთანაშვილმა.

რაც შეეხება საარჩევნო ბიულეტენებს, ის თბილისის ხუთ სტამბაში დაიბეჭდება და ორგანიზაციის წარმომადგენლები ბეჭდვის პროცესის კონტროლს პერიოდულად განახორციელებენ.

რამდენიმე დღის წინ, ცესკო-ს თავმჯდომარემ გურამ ჩალაგაშვილმა საჯაროდ განაცხადა: "**ბოლო 15 წლის განმავლობაში დღეს, ჩვენ გვაქვს ყველაზე ზუსტი ამომრჩეველთა ერთიანი სია. ერთიანი სიის პირველადი ვერსია პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ივნისის თვეში გადავეცით, რომელთა დახვეწაც დღემდე მიმდინარეობდა".** ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამომრჩეველთა ერთიანი სიის დაზუსტება უკვე დაასრულა და ბეჭდვაც დაწყებულია. რამდენიმე დღეში კი, სიის საბოლოო ვერსია ყველა საარჩევნო უბანზე გამოიკვრება.

ცესკო-ს თავმჯდომარის განცხადებით, ამომრჩეველთა სიების დაზუსტებასა და საბოლოო სახის მიცემაში "ლეიბორისტების", "მრეწველებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რომლებმაც სიების სიზუსტე ხელმოწერით დაადასტურეს. მისი განმარტებით, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ამომრჩეველთა ერთიან სიებში რაიმე სახის უზუსტობასთან დაკავშირებით სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

გურამ ჩალაგაშვილის მტკიცებით, მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით, ამომრჩეველთა სიებში ცდომილება 2-დან 8 პროცენტამდე მერყეობს. არსებული საარჩევნო სია კი საერთაშორისო სტანდარტებს სრულიად შეესაბამება.

# ოპოზიციური ბლოკი "ნაციონალებს" გენპროკურატურაში უჩივის

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

ოპოზიციური და სახელისუფლებო ბლოკების წარმომადგენლები თელავში კვლავ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. საკუთარი კანდიდატების უფლებების შელახვის და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო, "კონსერვატიული პარტიის" რეგიონულმა ორგანიზაციამ დახმარებისთვის პარტიის ცენტრალურ ოფისს მიმართა, რის შემდეგაც "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ბლოკმა "ნაცმოძრაობის" წინააღმდეგ საჩივარი შეიტანა გენპროკურატურაში.

როგორც თელაველი "კონსერვატორები" ამბობენ, "ნაციონალურ მოძრაობის" წევრები ოპოზიციის კანდიდატების შანტაჟს განაგრძობენ. სწორედ ამის გამო, ბლოკმა "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილი" საჩივარი "ნაცმოძრაობის" თელავის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის გოჩა მამაცაშვილის წინააღმდეგ შეიტანა გენპროკურატურაში.

**"ის, რასაც მამაცაშვილი აკეთებს, სისხლის სამართლის დანაშაულია. იგი რეგულარულად აშანტაჟებდა ჩვენი პარტიის მაჟორიტარ კანდიდატებს. ამის შედეგი კი ის არის, რომ თუ თავიდან პარტიას 18 კანდიდატი ჰყავდა წარდგენილი, შანტაჟისა და მუქარის შედეგად ეს რიცხვი ექვსამდე ჩამოვიდა. სწორედ ამან აიძულა პარტია, რომ ყველაფერი სამართლებრივი გზით გაერკვია,"** - ამბობს "კონსერვატიული" პარტიის რეგიონული კოორდინატორი თენგიზ მთვარელიშვილი.

გოჩა მამაცაშვილი ოპოზიციის ბრალდებებს სისულელეს უწოდებს და კომენტარს არ აკეთებს.

# ამერიკელი დემოკრატები ერაყის შესახებ სიმართლის გარკვევას ითხოვენ

აშშ-ს დემოკრატიული პარტია სპეცსამსახურების მიერ მომზადებული იმ ანგარიშის საჯაროდ გამოქვეყნებას ითხოვს, რომელიც ერაყში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებს შეეხება და სადაც ნათქვამია, რომ ერაყის ომმა ხელი შეუწყო ექსტრემისტთა რაოდენობის ზრდას მსოფლიო მასშტაბით. დემოკრატ სენატორთა მტკიცებით, სამშაბათს ფრაგმენტებად გამოქვეყნებულ დოკუმენტში არასაკმარისი ინფორმაცია იყო მოცემული.

"ამერიკელი ერი იმსახურებს სიმართლის ცოდნას და არ დაკმაყოფილდება მხოლოდ ნამცეცებით, რომელიც ბუშის ადმინისტრაციამ ამოარჩია მოხსენებიდან. პრეზიდენტმა ბუშმა საჯაროდ უნდა გამოაქვეყნოს დოკუმენტის სრული ვერსია," - აცხადებს სენატორი ედვარდ კენედი.

აშშ-ს 16 სადაზვერვო სააგენტოს მიერ მომზადებულ ანგარიშში ტერორიზმის შესახებ ნათქვამია, რომ ერაყის კონფლიქტმა მსოფლიო ასპარეზზე ბოევიკთა ახალი ლიდერების გამოჩენა გამოიწვია.

დოკუმენტის არასრული ვერსიის გამოქვეყნებამდე კი ინფორმაციამ ზემოხსენებული ანგარიშის შესახებ ჯერ პრესის ფურცლებზე გამოჟონა, რამაც თეთრი სახლი აიძულა, ნაწილობრივ მაინც გამოექვეყნებინა საიდუმლო დოკუმენტი.

"მავანმა, რომელიც ამ დოკუმენტით დაინტერესდა, დაასკვნა, რომ ერაყში წარმოებული ანტიტერორისტული კამპანია შეცდომა იყო, რასაც მე არ ვეთანხმები," - განაცხადა ჯორჯ ბუშმა ანგარიშის მცირე ამონარიდის გამოქვეყნებამდე და თავად ინფორმაციის გაჟონვის ფაქტიც დაგმო.

ანგარიშის ამონარიდები კი გაზეთ "ნიუ-იორკ ტაიმს"-ის ფურცლებზე გამოქვეყნდა.

ბუშმა არაერთხელ ისაუბრა წარსულშიც იმის შესახებ, რომ აშშ-სადმი სიძულვილი ისლამისტ-რადიკალებს მას შემდეგ კი არ გაუღვივდათ, რაც ერაყის კამპანია დაიწყო, არამედ ეს დამოკიდებულება მსოფლიო ჰეგემონის მიმართ ადრეც იგრძნობოდა.

პრეზიდენტის ამ სიტყვების მიუხედავად, წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიული ფრაქციის ლიდერმა ნენსი პელოსიმ კოლეგებს დახურული სესიის ჩატარება შესთავაზა, სადაც კანონმდებლებს საშუალება ექნებოდათ, საიდუმლო დოკუმენტის შესახებ ემსჯელათ. ამ წინადადების მიღების შემთხვევაში ასეთი სესია პირველი იქნებოდა 1983 წლიდან მოყოლებული, მაგრამ ნენსი პელოსის ინიციატივა პალატამ არ მიიღო. **ბი-ბი-სი**

# თომას ჯეფერსონის გაკვეთილი 5 ოქტომბრისთვის

ია ანთაძე

ხელისუფლება ხუთი ოქტომბრის არჩევნებისთვის გულმოდგინედ ემზადება და საზოგადოებასაც მონდომებით ამზადებს "ნაციონალური მოძრაობის" მხარდასაჭერად. თავის მხრივ, ოპოზიციის ლიდერებიც ამბობენ, რომ მათი განზრახვა და მოლოდინები არანაკლებ სერიოზულია. იმის მიუხედავად, რომ ქართული საზოგადოება პოლიტიკური პასუხისმგებლობით არ გამოირჩევა, საარჩევნო ხმას კარგი ფასი აქვს: არჩევნებზე წასვლა და ხმის მიცემა ერთგვარი მოდაა, როგორც თბილისში, ისე - რეგიონებში. მაგრამ სერიოზული დაფიქრება სჭირდება პასუხის გაცემას კითხვაზე: რისთვის დადიან არჩევნებზე საქართველოს მოქალაქეები? ამერიკის ერთ-ერთი პირველი პრეზიდენტი - თომას ჯეფერსონი ფიქრობდა, რომ საკუთარი ხელისუფლების არჩევის უფლება აქვს მხოლოდ იმ ხალხს, რომელმაც ყოველთვის იცის, რა პროცესები მიმდინარეობს მის ირგვლივ. თუ ასეა, გვაქვს კი ჩვენ ხელისუფლების არჩევის უფლება? რა ვიცით იმ პროცესზე, რაც დღეს ვითარდება და, შესაბამისად, შეგვიძლია თუ არა განვსაზღვროთ, რა პროცესები განვითარდება ხვალ - ჩვენს დღევანდელ არჩევანზე დაყრდნობით? რა ვიცით ხელისუფლებასა და ოპოზიციაზე არჩევნებამდე ათი დღით ადრე?

ცხადზე უცხადესია, რომ ხელისუფლებისთვის აუცილებელია ის შედეგი, რაც "ნაციონალურ მოძრაობას" საშუალებას მისცემს, მისმა ფრაქციამ თბილისის მერი აირჩიოს. მაგრამ მერის არჩევა მხოლოდ პროგრამა-მინიმუმი შეიძლება იყოს. ამჟამინდელი პრეზიდენტიც და პარლამენტიც ხელისუფლებაში "ვარდების რევოლუციის" ტალღაზე მოვიდნენ. 5 ოქტომბერს კი ჩატარდება არჩევნები, რომელმაც მთელ მსოფლიოს უნდა დაუმტკიცოს, რევოლუციიდან სამი წლის თავზეც რამდენად პოპულარული და, ესე იგი, რამდენად წარმატებულია "ვარდების" ხელისუფლება. "მოქალაქეთა კავშირი", როგორც წესი, ადგილობრივ არჩევნებს აგებდა, "ნაციონალური მოძრაობა" კი იქნება ის პარტია, რომელიც ამ სტერეოტიპს კისერს მოუგრეხს და უკმაყოფილოებს ხშირ-ხშირად შეახსენებს, ხალხთან ერთ გუნდად შეკვრით როგორ პირწმინდად დაამარცხა ოპოზიცია. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სახელისუფლო პარტია ემზადება არა მხოლოდ თბილისის მერის ასარჩევად, არამედ - თავისი უჭკნობი პოპულარობის დასამტკიცებლადაც. ასეთი შანსი მას 2008 წლამდე აღარ მიეცემა.

რა სჭირდება 5 ოქტომბრის არჩევნებში ოპოზიციას? თუ რეალობას ადეკვატურად შევაფასებთ, ამ ეტაპზე ოპოზიციას სჭირდება არა თბილისის მერის პოსტი, არამედ, "ნაციონალური მოძრაობის" უძლეველობის მითის დამსხვრევა. იმის შემდეგ, რაც ოპოზიციის ლიდერებმა ვერ მოილაპარაკეს და ადგილობრივი არჩევნებისთვის ვერ გაერთიანდნენ, მათი მიღწევის მაქსიმუმი იქნება "ნაციონალური მოძრაობისთვის" მეტ-ნაკლებად ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა. ამგვარად შეიძლება ჩაითვალოს შედეგი, რომელიც ოპოზიციას საშუალებას მისცემს, საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ დროში საზოგადოებას და ხელისუფლებას მუდმივად შეახსენოს, რომ რევოლუცია დასრულდა და ქართველი ხალხი მიხეილ სააკაშვილს ბრმად აღარ ენდობა.

გამოდის, რომ ხუთი ოქტომბრის არჩევნების შედეგები ნებისმიერ შემთხვევაში გამოყენებული იქნება არა იმდენად ადგილობრივ ჭრილში, რამდენადაც - სამომავლო და საერთო-ეროვნულ კონტექსტში. სწორედ ამ რეალობიდან გამომდინარე უნდა გაეცეს პასუხი შეკითხვას: რა სჭირდება საზოგადოებას 5 ოქტომბრის არჩევნებში?

როგორც წესი, ნებისმიერი ლიდერის სახელსა და გვარზე უფრო მნიშვნელოვანი ერთიანი პროცესის გააზრებული ხედვაა. შესაბამისად, არჩევნებში ქართულმა საზოგადოებამ ხმა უნდა მისცეს არა რომელიმე პოლიტიკოსის სატელევიზიო იმიჯს, არამედ, იმ პროცესს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში განვითარდება 2008 წლის გაზაფხულამდე - საპარლამენტო არჩევნების დღემდე. ჩვენ ვწყვეტთ, როგორი ხელისუფლება გვეყოლება წელიწადნახევრის განმავლობაში: მეტ-ნაკლებად დაბალანსებული, თუ ოპონენტების გარეშე დარჩენილი და პოპულარობის ხიბლში ბუნებრივად ჩაძირული. ვინც დაბალანსებულ ხელისუფლებას აირჩევს, მან ხმა რომელიმე ოპოზიციურ პარტიას უნდა მისცეს, რაგინდ არ მოსწონდეს მის ოლქში წარდგენილი კონკრეტული კანდიდატი. ხოლო ვისაც ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის განუსაზღვრელი ძალაუფლებაც არ ენანება, მას შეუძლია, დაუფიქრებლად შემოხაზოს N5. არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ კი კიდევ ერთხელ ერთად გავიხსენოთ თომას ჯეფერსონი, რომელიც ფიქრობდა, რომ ხელისუფლების არჩევა მხოლოდ ინფორმირებული და მოაზროვნე საზოგადოების უფლებაა.

*მასალა გამოქვეყნებულია "რადიო თავისუფლების" ეთერით*

# "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ცესკო-ს დადგენილების მიღებას სთხოვს

"საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ცესკო-ს დადგენილების მიღებას სთხოვს.

როგორც ორგანიზაციაში იუწყებიან, ისინი საქართველოს საარჩევნო კოდექსში არსებული ხარვეზის აღმოფხვრას მოითხოვენ, რომელიც ცესკო-ს დადგენილებით უნდა განხორციელდეს.

საქმე ეხება იმ ფაქტს, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს დევნილთა მიერ კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად დევნილის მოწმობის წადგენას. დევნილებს შეუძლიათ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დევნილი ხმას აძლევს თავისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელის (დროებითი მისამართის) მიხედვით.

როგორც საია-ში განმარტავენ, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში მითითებულია იურიდიული მისამართი, ხოლო ფაქტობრივი მისამართი - დევნილის მოწმობაში. შესაბამისად, თუ დევნილს კენჭისყრაში მონაწილეობის მისაღებად არ ექნება დევნილის მოწმობის წარდგენის ვალდებულება, შეუძლებელი გახდება იმის დადგენა, თუ რამდენად კანონიერად წარმოებს ხმის მიცემის პორცედურა. გარდა ამისა, მოცემულ ვითარებაში არსებობს იმის საფრთხე, რომ ერთმა და იმავე პირმა რამდენიმე საარჩევნო უბანში მისცეს ხმა, რაც არჩევნების გაყალბების შესაძლებლობას იძლევა. **ინტერპრესნიუსი**

## მოკლედ

### ბარამიძე აფხაზეთში მიმდინარე წვრთნებს პროვოკაციად აფასებს

აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სამხედრო წვრთნებს სახელმწიფო მინისტრი ევროატლანტიკური სტრუქტურების და ინტეგრაციის საკითხებში გიორგი ბარამიძე პროვოკაციულს უწოდებს.

მისი თქმით, სეპარატისტული ხელისუფლება ყოველდღიურად ცდილობს, საქართველოს ხელისუფლება ჩაითრიოს ახალ კონფრონტაციაში და ყოველდღიურად აწყობს პროვოკაციებს.

თუმცა, სახელმწიფო მინისტრი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ პროვოკაციებს არ წამოეგება. **ინტერპრესნიუსი**

### ლაკობასთვის არ არსებობს ცნება "ზემო აფხაზეთი"

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის უშიშროების საბჭოს მდივნის სტანისლავ ლაკობას განცხადებით, არ არსებობს ისეთი გეოგრაფიული ცნება, როგორიცაა "ზემო აფხაზეთი".

"ეს აფხაზეთის რესპუბლიკის კოდორის ხეობაა", - განუცხადა ლაკობამ სააგენტო "რეგნუმს".

სოფელ ჩხალთაში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის განთავსების ინიციატივასთან დაკავშირებით ლაკობა აცხადებს, რომ ეს არის არალეგიტიმური ხელისუფლება და არც არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნია.

"ეს არც დევნილთა ხელისუფლება არ არის; ეს მეგრული ხელისუფლებაა, რომელიც სვანებს დაუსვეს", - განაცხადა ლაკობამ. **ინტერპრესნიუსი**

### ინციდენტი კონფლიქტის ზონაში

კონფლიქტის ზონაში კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა. სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის მძიმე ტექნიკა, სოფელ ერედვში შევიდა და ქართულ სოფელში ქართული სამშვიდობო ბატალიონის ყოფილი შენობა დაანგრია.

რუსი ცისფერჩაფხუტიანები ამის მიზეზად მხოლოდ და მხოლოდ იმას ასახელებენ, რომ გენერალი კულახმეტოვის ბრძანებას ასრულებენ. **ინტერპრესნიუსი**

### ქართული ასეულის კოსოვოს გერმანულ ასეულში როტაცია ხვალ დაიწყება

დღეს 14 საათზე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაეშვება გერმანიის თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი თვითმფრინავი A310, რომლითაც 129 ქართველი ჯარისკაცი კოსოვოში სამშვიდობო მისიის შესასრულებლად გაემგზავრება. ეს არის ქართული სამშვიდობო ასეულის მერვე კონტიგენტი, რომელიც ბალკანეთში გერმანელ სამშვიდობოებთან ერთად **KFOR**-ის ფარგლებში შეასრულებს თავის მისიას.

ქართველი ჯარისკაცები 2006 წლის 2-დან 27 ოქტომბრამდე მომზადებას გაივლიან გერმანიის ქალაქ ლაიფციგში და 30 ოქტომბერს ისინი კოსოვოში თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგებიან.

2006 წლის 31 აგვისტოს ქართული დაცვის ასეულის 21 სამხედრო მძღოლი წინასწარ გაემგზავრა ბუნდესვერის თვითმფრინავით გერმანიაში, სადაც ისინი მიიღებენ გერმანული სამხედრო ტრანსპორტის ტარების უფლებას. **ინტერპრესნიუსი**

### ბაგაფშმა მიხეილ სააკაშვილს "მორიგი პროვოკაციის მოწყობაში" დასდო ბრალი

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა მიხეილ სააკაშვილს "მორიგი პროვოკაციის მოწყობაში" დასდო ბრალი.

მისი განცხადებით, კოდორის ხეობისთვის ზემო აფხაზეთის დარქმევის ინიციატივა, "საქართველოს პრეზიდენტის მორიგი სისულელეა".

ბაღაფშის თქმით, ეს ინიციატივა რეგიონში ვითარების გამწვავებაზეა ორიენტირებული და "აფხაზეთს მკაცრი ზომების მიღებას აიძულებს". **ინტერპრესნიუსი**

### "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო კლიპი ოპოზიციონერთა გამონათქვამებზეა აგებული

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისში გუშინ უმრავლესობის ლიდერებმა გიგა ბოკერიამ, მიხეილ მაჭავარიანმა და დავით ბაქრაძემ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო კლიპის პრეზენტაცია გამართეს.

როგორც გიგა ბოკერიამ განაცხადა, მმართველი პარტიის შეფასებას ოპოზიციაზე უკეთ ვერავინ შეძლებდა და სწორედ აქედან გამომდინარე, კლიპი აგებულია "ნაციონალური მოძრაობის" ოპონენტების გამონათქვამებზე. კერძოდ, კლიპში წარმოდგენილია "რესპუბლიკელების", "კონსერვატორების", "ლეიბორისტების", "მრეწველების", მოძრაობა "წინ საქართველოსა" და "საქართველოს გზის" ლიდერების განცხადებები.

გიგა ბოკერიას თქმით, კლიპის ავტორმა ანონიმურად დარჩენა მოისურვა, ამიტომ, არ გამჟღავნებულა კლიპის იდეის ავტორის ვინაობა.

მმართველი პარტიის ლიდერები ოპოზიციასთან დებატებზე კვლავაც უარს აცხადებენ. ამას კი იმით ხსნიან, რომ ოპოზიციონერების ყველა განცხადებას და ყველა გამონათქვემს ეთანხმებიან, და შესაბამისად, დებატებში სასაუბრო აღარაფერი რჩებათ. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# ზემო აფხაზეთში

პირველი გვერდიდან

**"ჩვენ გადავლახავთ მდინარეებს, ჩვენ გადავლახავთ დაბრკოლებებს, ჩვენ დავბრუნდებით სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო გზებით, ყველა შემთხვევაში, აუცილებლად დავბრუნდებით. ჩვენ გვინდა დავბრუნდეთ მშვიდობით. ეს არის ზემო აფხაზეთი. ასე ეწოდება დღეიდან ჩხალთის ხეობას, კოდორის ხეობას, მარუხის უღელტეხილს, ყველა იმ ტერიტორიას აფხაზეთში, რომელსაც აკონტროლებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. ეს არის აფხაზეთის ტერიტორიის მესამედზე მეტი, რომელზეც ხორციელდება საქართველოს ხელისუფლების სუვერენიტეტი, სადაც მოქმედებს საქართველოს სასაზღვრო ძალები, სადაც მოქმედებს საქართველოს პოლიცია, სადაც მოქმედებს საქართველოს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები... ჩვენ აქ ვართ ზემო აფხაზეთში, სოხუმთან ახლოს და აქედან არსად წასვლას არ ვაპირებთ!"** - პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის გამოსვლაში საგანგებოდ და გამოკვეთილად აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთში მშვიდობიან დაბრუნებას აპირებს.

ამგვარი ხაზგასმა პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გამოსვლაშიც შეინიშნებოდა: **"ჩვენ მართლაც მშვიდობით გვინდა დაბრუნება და დავბრუნდებით კიდეც. ჩვენ არ გვინდა ჩვენი შვილების ომში მონაწილეობა, ჩვენ არ გვინდა ძმათა მკვლელი ომი."** გამოთქმაში "ჩვენი შვილები" ბურჯანაძე როგორც ქართველ, ასევე აფხაზ და ოს ახალგაზრდებს გულისმობდა. მიუხედავად სამშვიდობო იდეის ერთგულებისა, საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ქვეყანა აუცილებლად გამთლიანდება. **"ყველას უნდა ესმოდეს, რომ საქართველო არ დარჩება დაქუცმაცებული. ჩვენ გავაერთიანებთ ჩვენს სამშობლოს,"** - აცხადებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

გუშინ საქართველოს პატრიარქი ილია მეორე საუბრობდა ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის აუცილებლობაზე, როგორც საქართველოს გაერთიანების უმთავრეს გარანტზე. ჩვენი ერთად ყოფნის გარეშე, პატრიარქს აფხაზეთის დაბრუნება ვერ წარმოუდგენია.

ზემო აფხაზეთიდან პატრიარქმა ერთდროულად მიაწვდინა ხმა აფხაზებს და ქართველებს. ილია მეორე საგანგებოდ შეეხმიანა თავის სულიერ შვილებს, რომლებიც ეთნიკურად აფხაზები არიან: **"მივმართავ ყველას, აფხაზეთში მცხოვრებს, აფხაზებს, ქართველებს, სხვებს და განსაკუთრებით, ჩემს სულიერ შვილებს - აფხაზებს: თქვენ თუ გინდათ გადარჩენა აფხაზი ხალხისა, თქვენ თუ გინდათ გადარჩენა აფხაზეთისა, უნდა ვიყოთ ერთად. ჩვენ უნდა ვიყოთ ერთად საქართველოს ერთ სახელმწიფოში. ამ შემთხვევაში აფხაზეთი გადარჩება."**

ზემო აფხაზეთში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებიდან, სხვა ოფიციალურ წარმომაგენლებთან ერთად, ძალოვანი უწყების მინისტრებიც იმყოფებოდნენ. თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, როემლმაც თვენახევრის წინ დატოვა ჯერ კიდევ კოდორის ხეობად წოდებული აფხაზეთის ტერიტორია, გაკვირვება ვერ დაფარა იმ სამშენებლო ტემპებით, რომლის შედეგებიც გუშინ ზემო აფხაზეთში იხილა.

**"ექვს სოფელში მიმდინარეობს ინტენსიური მშენებლობა. მე ვამაყობ, რომ ვარ ქართველი. ჩვენ, ქართველებმა, შევძელით ის, რაც ფილმებში გვინახავს,"** - ამგვარად გამოხატა თავისი ემოციები შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ზემო აფხაზეთში მშენებლობა კვლავ გაგრძელდება. აქ დაგეგმილია მრავალი ობიექტის, მათ შორის, სათხილამურო სკოლის გახსნა.

ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და საქართველოს კათალიოკოს-პატრიარქმა ზემო აფხაზეთში რამდენიმე სოფელი მოინახულეს. ისინი იმყოფებოდნენ სოფელ აჟარაშიც ე. წ მანქანების სასაფლაოზე. ეს ის ადგილია, სადაც ცამეტი წლის წინ სოხუმიდან მომავალი ასობით ადამიანი დაიღუპა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აფხაზეთის ლეგიტიმურ მთავრობას ილორის წმინდა გიორგის ხატი აჩუქა. უახლოეს მომავლისათვის გათვალისწინებულია ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიისათვის რეზიდენციის აშენება. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს სურს, რომ ცხუმ-აფხაზეთის მიტროლპოლიტმა რაც შეიძლება მალე შეძლოს თავისი ხალხის გვერდზე ყოფნა. პატრიარქმა ითხოვა, რომ რეზიდენციის აშენებამდე დროებითი შენობა გამოიძებნოს. ამ ინიციატივას იქ მყოფი საზოგადოება ემოციებით შეხვდა.

მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ აფხაზეთი დიდი საერთაშორისო პოლიტიკის ნაწილია. ზემო აფხაზეთში გახსნილ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციის შტაბ-ბინას პრეზიდენტი "დროებითს" უწოდებს. **"გზა აფხაზეთამდე ზემო აფხაზეთზე გადის,"** - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი და დასძენს, რომ სოხუმი **"აქვე, ხელის გაწვდენაზეა"**.

# რეალური საფრთხე

პირველი გვერდიდან

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კოსოვოს აღიარების შემთხვევაში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობის შესაძლებლობაზე არაერთხელ მიანიშნა, თუმცა სხვადასხვა კონტექსტში. კერძოდ, ეს არგუმენტი მან სხვადასხვა დროს ხან სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის, ხან თვითგამოცხადებული სახელმწიფოების "თვითგამორკვევის უფლების" მხარდასაჭერად გამოიყენა.

ამასობაში, მოლაპარაკებებმა კოსოვოსა და მეტოხიის მომავალი სტატუსის შესახებ სერიოზული შედეგები დღემდე ვერ გამოიღო. მოლაპარაკებები სერბეთის, კოსოვოს ალბანური მთავრობის, კოსოვოელი სერბებისა და "საკონტაქტო ჯგუფის" (დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, აშშ-ს, საფრანგეთის, გაეროს, რუსეთისა და ნატო-ს წეარმომადგენლების მონაწილეობით) შემადგენლობით მომდინარეობს.

კოსოვოს მოლაპარაკებებზე გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, ფინელი დიპლომატის მარტი აჰტისაარის განცხადებით, მილაპარაკების დრო შეზღუდული არ არის, თუმცა იგი პროცესის წლის ბოლომდე დასრულებას აპირებს. **"ეს უსასრულო პროცესი არ არის და დადგება დრო, როცა მხარეების პოზიციების დაახლოება აუცილებელი გახდება,"** - განაცხადა მარტი ახრტისაარმა.

თუმცა, სერბეთის პოზიცია შეუვალია - ბელგრადი კოსოვოს დამოუკიდებლობას არასდროს დათანხმდება და ალბანელებით დასახლებულ მხარეს სთავაზობს "უფრო მეტს, ვიდრე ავტონომიაა, მაგრამ უფრო ნაკლებს, ვიდრე დამოუკიდებლობა".

ამავე დროს, დასავლეთის ქვეყნების მხრიდან სულ უფრო ხშირად ისმის განცხადებები კოსოვოს დამოუკიდებლობის პერსპექტივების შესახებ, თუმცა, რუსეთისგან განსხვავებით, ისინი კოსოვოს პრეცედენტის "უნიკალურობას" უსვამენ ხაზს.

**"ეს საფრთხე რეალურია. კოსოვოს საკითხი დიდი ხანია განიხილება. თუ დამოუკიდებლობის აღიარების პრეცედენტი იქნა დაშვებული, ეს იქნება გამოწვევა და საფრთხე საქართველოსთვის,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტმა ალექსანდრე რონდელმა.

თუმცა, ექსპერტის თქმით, კოსოვოს სტატუსის გარშემო რთული პროცესები მიმდინარეობს, სადაც მრავალი ქვეყანაა ჩართული, მათ შორის რუსეთი, აშშ, ევროპის სახელმწიფოები, გაერო, და გასთვალისწინებელია თავად სერბეთის პოზიციაც. აქედან გამომდინარე, კოსოვოს სტატუსის საკითხზე დღესდღეობით ერთიანი შეხედულება არ არსებობს. ალექსანდრე რონდელის აზრით, შესაძლოა, მოლაპარაკებები დაგეგმილზე უფრო მეტ ხანს გაგრძელდეს.

**"უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მიიღებენ თუ არა გადაწყვეტილებას სერბეთის თანხმობის გარეშე. თუმცა, კოსოვოს აღიარება ავტომატურად არ ნიშნავს პრეცედენტის გავრცელებას,"** - აცხადებს რონდელი.

ექსპერტი ვარაუდობს, რომ შესაძლო გადაწყვეტილებას კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობის თაობაზე გაერო-ს უშიშროების საბჭოში რუსეთი ან ჩინეთი დაბლოკავს.

**"პრეზიდენტი, ბუნებრივია, ამ ვითარებაში ნეიტრალური ვერ დარჩება, მან ხალხს სიმართლე უნდა უთხრას. ეს არის რეალიზმი და ნდობა საკუთარი ხალხის მიმართ. მას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია და ეს უნდა გვესმოდეს,"** - აცხადებს ალექსანდრე რონდელი მიხეილ სააკაშვილის განცხადების კომენტირებისას.

# 27 სექტემბერი თბილისში

პირველი გვერდიდან

**"ჩვენი ძირითადი მოთხოვნაა გაიცეს კომპესაციები და მეტი ყურადღება მიექცეს იქაურ მოსახლეობას, იქნება ეს დასაქმების პრობლემა თუ სხვა. აუცილებლად მიგვაჩნია გამოძიების დაწყება იმ პირთა მართ, რომლებმაც აფხაზეთში სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს,"** - განაცხადა დავითაიამ.

პარლამენტის წინ გუშინ ოპოზიციური ფრთის წარმომადგენლებიც მივიდნენ. პარტია "სამართლიანობის" ლიდერის კოკო გამსახურდიას განცხადებით, მისთვის 27 სექტემბერი ყველაზე ტრაგიკული დღეა.

საარჩევნო ბლოკის "დავითაშვილი- ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა გუშინ გლდანში აღმართული, აფხაზეთში დაღუპულ გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკო და მათ ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგო. მემორიალზე იმ მებრძოლთა სახელებია ამოკვეთილი, რომელებიც აფხაზეთის ომში გლდანი-ნაძალადევის რაიონიდან წავიდნენ. დავითაშვილმა გუშინ სიტყვით მიმართა დაღუპულ გმირთა ოჯახებსა და დევნილებს, რომლებსაც თავისი წინასაარჩევნო



დაპირებებიც გააცნო. მისი თქმით, სახელმწიფომ დევნილებს ყველანაირი დახმარება შეუწყვიტა და არჩევნებში მისი გამარჯვების შემთხვევაში, იგი აპირებს აღადგინოს შეღავათები, არსებული 11-ლარიანი შემწეობა კი 30 ლარამდე გაზარდოს.

გუშინ, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას საფლავთან მისი მეგობრები, ხელისუფლების წარმომადგენლები და "სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის" წევრები შეიკრიბნენ. სამშობლოსთვის დაღუპულთა სულის მოსახსენებლად გუშინ სოლოლაკში, ამაღლების ტაძარში საგანგებო პანაშვიდი აღევლინა.

აფხაზეთში დაღუპულ გმირთა ახლობლები გმირთა მოედანზე მდებარე მემორიალთან შეიკრიბნენ. მემორიალი გვირგვინით შეამკო საქართველოს პირველმა ლედიმ სანდრა რულოვსმა.

აფხაზეთში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს პატარებმაც. "თიბისი ბანკის" მხარდაჭერით, გუშინ შოთა რუსთაველის ძეგლთან, აქცია - "ჩვენი სახლი - ერთიანი საქართველო" გაიმართა. აქციაში წყნეთში მცხოვრები დევნილი ბავშვები მონაწილეობდნენ, რომლებიც მხატვარ რომან აფაქიძის ხელმძღვანელობით, წყნეთის სამხატვრო ჯგუფში არიან გაერთიანებულნი. ბავშვებს სახატავი მასალა (მუყაო, საღებავები და ფუნჯები) დაურიგდათ, რომლითაც შექმნეს ნახატები თემაზე - "ჩემი სახლი - ერთიანი საქართველო".

## პუტინს მესამედ არ აირჩევენ

რუსეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჩრდილოეთ ოსეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინიციატივა არ დააკმაყოფილა. ინიციატივა ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანასა და რუსეთის პრეზიდენტის ზედიზედ მესამე ვადით არჩევაზე დაწესებული აკრძალვის მოხსნასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას ეხებოდა.

შესაბამისი საინიციატივო ჯგუფი ჩრდილოეთ ოსურმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ "თანხმობა და სტაბილურობა" 7 სექტემბერს შექმნა. **ინტერპრესნიუსი**

# რუსეთი "გაყინულ კონფლიქტებზე" ერთპიროვნულ კონტროლს კარგავს

პირველი გვერდიდან

თავად ამ ფაქტის გარდა, რუსული მედია იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ერმოლოვკას საგუშაგო იმ ტერიტორიის სიახლოვეს მდებარეობს, სადაც **"ცოტა ხნის წინათ სააკაშვილმა სამხედრო პოლიცია გადასვა და არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები"**.

თავისი დიდი მფარველების ასეთი ქმედებებითა და განცხადებებით გამხნევებული თვითმარქვია რესპუბლიკების წარმომადგენლები "გაბედულად" იმაღლებენ ხმას სამშვიდობო ფორმატის შესაძლო შეცვლის წინააღმდეგ.

**"სუამ-ის წევრი ქვეყნების გააქტიურება გაართულებს მოლაპარაკებების პროცესს"**, - ისე წუხს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მურატ ჯიოევი, თითქოს, ამ პროცესს დღემდე რაიმე არსებითი შედეგი მოეტანოს. ჯიოევს, ცხადია, "სათანადო არგუმენტებიც" მოეპოვება იმის "დასასაბუთებლად", თუ რატომ არის "სუამიზაცია" ცუდი.

**"სუამ-ში ის ქვეყნები შედიან, რომლებიც კონფლიქტებში უშუალო მხარეს წარმოადგენენ. ამიტომ, სავარაუდოა, რომ მათი მიდგომები ცალმხრივი იქნება. შესაბამისად, ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნება კონფლიქტების რაიმე სამართლიან დარეგულირებაზე,"** - "ობიექტური მედიატორის" - რუსეთის - გარეშე სამშვიდობო პროცესი ვერ წარმოუდგენია ჯიოევს.

სამხრეთ ოსეთის დიპლომატიური უწყების წინამძღოლის მახვილ მზერას არც ის გამორჩენია, რომ **"მას შემდეგ, რაც სუამის რიგებიდან უზბეკეთი გავიდა, ამ ორგანიზაციაში ანტირუსული მიმართულება გაძლიერდა"**.

**"მრავალი წლის განმავლობაში რუსეთის სამშვიდობო მისია წარმატებული იყო. ამიტომ, უნდა გამოვიდეთ ამ რეალობიდან და არა ცალკეული ხელმძღვანელების ამბიციებიდან,"** - რუსებთან დამშვიდობების ფიქრიც კი ზარავს მურატ ჯიოევს...

სუამ-ის ქვეყნების ინიცტივასთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება აქვს გაზეთ "კომერსანტს".

**"ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნიდან მოსკოვის პოზიციებზე მძლავრი ზეწოლა იმ საფრთხეს უკავშირდება, რომელიც უახლოეს ხანში რუსეთის მიერ არაღიარებული რესპუბლიკების ცნობას გულისხმობს,"** - იუწყება გაზეთი.

"კომერსანტი" იმ გარემოებასაც უსვამს ხაზს, რომ სუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე მიწვეული არ ყოფილა რუსეთის წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვი პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე არსებული ყველა კონფლიქტის მოწესრიგების გარანტს წარმოადგენს, მაშინ, როდესაც აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დევიდ კრამერი.

იგივე "კომერსანტი" იმასაც დაასკვნის, რომ გაერო-ს სესიის დღის წესრიგში კონფლიქტების საკითხის შეტანა რუსეთის დამარცხებას ნიშნავს, ვინაიდან კონფლიქტის ზონაში განთავსებული რუსი სამშვიდობოების არაეფექტურობის მანიშნებელია.

ოფიციალურ მოსკოვსა და მასზე "ყურებამდე შეყვარებულ" სეპარატისტებს სხვა გარემოებაც აშფოთებთ. ერთია, რომ გაერო-ს გენერალური ასამბლეის სესიაზე პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე არსებული "გაყინული კონფლიქტების" თემის განხილვა დაიწყო, რაც რუსეთს დღემდე თავის "ექსკლუზიურ" უფლებად მიაჩნდა, მეორე კი - ის, რომ შესაძლოა, ამ სესიაზე გაერო-მ, "გაყინულ კონფლიქტებთან" დაკავშირებით, კონკრეტული გადაწყვეტილებაც (რეზოლუცია) მიიღოს.

**"ვინაიდან კონფლიქტების საკითხი სესიის დღის წესრიგში მოხვდა, ლოგიკური იქნება, თუ მისი განხილვის დასრულების შემდეგ, გაჩნდება რაღაც დოკუმენტი, რომელშიც საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიცია იქნება ასახული,"** - ვარაუდობს მოლდოვას რეინტეგრაციის მინისტრი ვასილი შოვა.

მის მოსაზრებას, გარკვეულწილად, ადასტურებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებული ერთი საკმაოდ მშრალი ინფორმაცია: **"რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა მიიღო გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელი საქართველოს საკითხებში ჟან არნო. საუბრის დროს განხილული იქნა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საკითხში არსებული მდგომარეობა, აგრეთვე უახლოეს მომავალში ამ საკითხთან დაკავშირებული გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გასატანი რეზოლუციის პროექტი."**

ასე რომ, უნდა თუ არა ეს მოსკოვს, "გაყინული კონფლექტების" თემა თანდათან გამოდის მისდამი "ერთპიროვნული დაქვემდებარებიდან".

# რუსეთის საგარეო უწყება საქართველოს ხელისუფლებას "სახიფათო და არადროულ" ქმედებებში ადანაშაულებს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ თბილისში აკრედიტირებული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელთათვის 27 სექტემბერს კოდორის ხეობაში მიწვევის ფაქტს რუსეთის საგარეო უწყება ეხმაურება.

როგორც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალურ კომენტარშია აღნიშნული, საქართველოს ხელისუფლების ეს ნაბიჯი "სახიფათო და არადროულია". "ნათელია, რომ არაფერს, გარდა ქართულ-აფახური ურთიერთობების კიდევ უფრო გართულებისა, ამგვარი ქმედება არ მოიტანს", - აღნიშნულია განცხადებაში, თუმცა იქვეა მითითებული, რომ თბილისი სწორედ ამაზე აკეთებს გათვლას.

რუსეთის საგარეო უწყება აცხადებს, რომ მთავარი მხარეებს შორის ნდობის აღდგენაა, რასაც მათი აზრით, "პირველ რიგში, კოდორის ხეობის ზედა ზონიდან ქართული სამხედრო ფორმირებების გაყვანა შეუწყობს ხელს".

"მიგვაჩნია, რომ ამ ეტაპზე საჭიროა არა დიპლომატთათვის "ექსკურსიების" მოწყობა კოდორში, არამედ გაერო-ს მისიისა და დსთ-ის სამშვიდობოთა მიერ ამ რეგიონის სერიოზული, პროფესიული მონიტორინგის ჩატარება", - აღნიშნულია განცხადებაში. **ინტერპრესნიუსი**


■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

მოკლედ

## ოსმა სეპარატისტებმა 54 წლის თამაზ ხადური ჩაცხრილეს

სოფელ ქვეშში, საკუთარ ვენახში 54 წლის თამაზ ხადურს შეიარაღებულმა ოსმა ფორმიანებმა, რომლებიც "ჟიგულის" მარკის ავტომანქანით გადაადგილდებოდნენ, "აკაეს"-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარღიდან ცეცხლი გაუხსნეს. თამაზ ხადურს ჯერ მუცლის არეში მიაყენეს ცეცხლნასროლი დაზიანება, შემდეგ კი დაჭრილს უკვე ახლო მანძილიდან კიდევ ერთხელ ესროლეს.

თამაზ ხადური საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა. მოსახლეობა აცხადებს, რომ თითოეული იქ მცხოვრები აბსოლუტურად დაუცველია. სოფელი ქვეში სამ ოსურ სოფელს - არცევს, გოიაანთკარს და მაკტისუბანს ესაზღვრება.

ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ შეიარაღებული ოსები სისტემატურად გადაადგილდებიან ქართულ სოფელში. გარდაცვლილის ოჯახის წევრები და ახლობლები ხადურის ვინმესთან დაპირისპირებას გამორიცხავენ. **ინტერპრესნიუსი**

## ქართულ მიკროავტობუსებზე თავდასხმებს პერმანენტულად ახორციელებენ

გუშინ ცხინვალის ცენტრში შეიარაღებულმა ოსმა ფორმიანებმა ქართველი მგზავრებით სავსე მიკროავტობუსს, რომელიც გორიდან დიდი ლიახვის ხეობაში გადაადგილდებოდა, ცეცხლი გაუხსნეს.

მიკროავტობუსის მძღოლმა მოახერხა დიდი ლიახვის ხეობაში შეღწევა. მძღოლები აცხადებენ, რომ ცხინვალში გავლა უკვე შეუძლებელია. ბოლო დღეების მანძილზე უკვე მესამე სამგზავრო ავტობუსზე მოხდა თავდასხმა. ადგილობრივი მოსახლეობა უკიდურესად შეშფოთებულია. არ გამორიცხავენ, რომ რუსული მხარე ყოველ წუთს მორიგ პროვოკაციას განახორციელებს.

ბოლო სამი დღის განმავლობაში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მომხდარი თავდასხმის ეს უკვე მეშვიდე ფაქტია.

ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის სარდლის პაატა ბედიანაშვილის განცხადებით, ბოლო პერიოდის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. ოსური მხარე და, ასევე, რუსი სამშვიდობოებიც არაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ვითარება სტაბილური იყოს. **ინტერპრესნიუსი**

## იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის N7 დაწესებულებაში პატიმარი, 43 წლის ვაგიფ ახმედოვი გარდაიცვალა. მას პოსტინფარქტული კარდიოსკლეროზისა და გულის II ხარისხის უკმარისობის დიაგნოზი ჰქონდა დასმული. გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი ზემოაღნიშნული დაავადებების ფონზე განვითარებული გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა.

ახმედოვი 2004 წლის აგვისტოში ნარკოდანაშაულისათვის დააკავეს. მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი.

26 სექტემბერს პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი ოთარ ხარაზი გარდაიცვალა. 50 წლის ოთარ ხარაზის გარდაცვალების სავარაუდო მიზეზი სეფსისური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა.

ოთარ ხარაზი სამართალდამცავებმა შარშან, 5 მარტს ნარკოტიკული დანაშაულის ბრალდებით დააკავეს.

პატიმარი ნუგზარ ჩავლეიშვილი გარდაიცვალა შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრში. ჩავლეიშვილი იუსტიციის სამინისტროს ბათუმის N3 საპყრობილედან, მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 18 აგვისტოს გადაიყვანეს.

ოფიციალური ინფორმაციით, სექტემბრის თვეში საქართველოს სხვადასხვა საპყრობილეებში 12 პატიმარი გარდაიცვალა. **24 საათი**

## სააღსრულებო ბიუროს სამი თანამშრომელი დააკავეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის აჭარის სააღსრულებო ბიუროს თანამშრომელთა მოულოდნელი ნარკოლოგიური შემოწმება ჩაატარა. ბიუროში თექვსმეტი სასამართლო აღმასრულებელი და სააღსრულებო პოლიციელი მუშაობს.

შემოწმებისას სამ მათგანს ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება დაუდგინდა. გენერალური ინსპექციის ინფორმაციით, შემოწმების შედეგად ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება დაუდგინდათ სააღსრულებო პოლიციელ ჯ. შ.-ს, სასამართლო აღმასრულებლებს - მ. ფ.-სა და რ. ს.-ს. მათ სასამართლომ ადმინისტრაციული ჯარიმა დააკისრა; ამასთან, აღნიშნული თანამშრომლები თანამდებობიდან გათავისუფლდნენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "თანასწორობის ინსტიტუტის", გირგვლიანისა და რობაქიძის მშობლების განცხადება

არასამთავრობო ორგანიზაცია "თანასწორობის ინსტიტუტის" წევრებმა, სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის დედებმა და ირაკლი ბათიაშვილის მეუღლემ სოლიდარობა გამოუცხადეს აფხაზეთში დაღუპულთა ოჯახებს და საზოგადოებას სამართლიანობისთვის ბრძოლისთვის მოუწოდეს.

ამირან რობაქიძის დედის ია მეტრეველის განცხადებით, თუ საზოგადოება საქართველოში არსებულ უსამართლობას შეურიგდება, ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულებების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

"მაშინ, როდესაც სასამართლო ხელისუფლება მოზარდს 10 წელიწადს უსჯის, მხოლოდ იმისთვის, რომ დაზარალებულს ნაკაწრი ეტყობოდა, ამირან რობაქიძის მკვლელობაში ბრალდებულს 4 წელი მიუსაჯეს", - განაცხადა ია მეტრეველმა.

ირაკლი ბათიაშვილის მეუღლე ძალოვან სტრუქტურებს სთხოვს, 2 კვირაში მისცენ საპყრობილეში მეუღლის მონახულების საშუალება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მარიამ ბათიაშვილი "უკომპრომისო შიმშილობას" აცხადებს.

სანდრო გირგვლიანის დედის ირინა ენუქიძის თქმით, იგი არ გაჩერდება, ვიდრე მისი შვილის მკვლელობის შემკვეთებს არ დასჯიან.

"თანასწორობის ინსტიტუტის" წევრმა ლაშა ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ 27 სექტემბერი ქართველების გენოციდის დღეა, ხელისუფლება კი დღესაც აგრძელებს ქართველი ერის გენოციდს. მისივე თქმით, საზოგადოება იბრძოლებს მანამ, სანამ ეს პროცესები არ შეწყდება. **ინტერპრესნიუსი**

## მებაჟე და იმპორტიორი დააპატიმრეს

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველომ საბაჟო-გამშვებ პუნქტ "სარფის" მებაჟე მოსე ბერიძე და იმპორტიორი დავით ჩაფიძე დააკავა. მათ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა სასამართლომ უკვე შეუფარდა

ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, დავით ჩაფიძემ სარფის საბაჟოზე იმპორტის სახით დიდი რაოდენობით სუნამო და სხვადასხვა შერეული საქონელი შემოიტანა. მებაჟე მოსე ბერიძისთვის მას ეს საქონელი არც დაუმალავს, თუმცა გარიგების შედეგად მებაჟემ პროდუქცია იმპორტიორს განბაჟების გარეშე გამოატანა.

გამოძიება საბაჟო წესის დარღვევის მუხლითა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით მიმდინარეობს. **მედიანიუსი**

## თემურ თათარაშვილს აღმკვეთ ღონისძიებას დღეს შეუფარდებენ

ცნობილ ქართველ მომღერალს თემურ თათარაშვილის აღმკვეთ ღონისძიებას დღეს შეუფარდებენ. თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი დილის 10 საათზე დაიწყება. საქმეს მოსამართლე მამუკა ნოზაძე განიხილავს.

თემურ თათარაშვილს ბრალი 260-ე მუხლით წაუყენეს, რაც ნარკოტიკების რეალიზაციას გულისხმობს და, დამტკიცების შემთხვევაში, 6-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა მომღერალი 25 სექტემბერს დააკავეს. მას დაკავებისას "სუბუტექსის" აბები აღმოაჩნდა. **ინტერპრესნიუსი**

# "გრუ-ს" ოთხი მაღალჩინოსანი - დივერსანტები

პირველი გვერდიდან

სამართალდამცველები ყველა სახის ტრანსპორტისა და მოქალაქეთა გადაადგილებას მკაცრად აკონტროლებდნენ, თუმცა პოლიციის მობილიზების მიზეზებთან დაკავშირებით კომენტარს არავინ აკეთებდა.

მოგვიანებით, რუსი და ქართველი ჯაშუშების მასობრივი დაპატიმრებების შესახებ ინფორმაცია შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გაახმაურა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, შსს-ს კონტრდაზვევრვის დეპარტამენტმა გრუ-ს ქსელი გამოავლინა და გრუ-ს ოთხ ოფიცერთან ერთად, საქართველოს ათზე მეტი მოქალაქე დააკავა. მათ, ვანო მერაბიშვილის ინფორმაციით, ერევანში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების (44843 სამხედრო ნაწილიდან, რუსეთის დაზვერვის კადრის ოფიცერი, პოლკოვნიკი ანატოლ ივანეს ძე სინიცინი ხელმძღვანელობდა. ვანო მერაბიშვილის განცხადებით, ანატოლ სინიცნი გორსა და საქართველოს სხვა რეგიონებში განხორციელებული ტერაქტების ორგანიზატორია.

**"დაკავებულებს რამდენიმე თვეა ვაკვირდებით. ისინი თვეების განმავლობაში ახორციელებდნენ სადაზვერვო საქმიანობას თბილისსა და ბათუმში. დღეს დანამდვილებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ისინი საქართველოში სერიოზულ პროვოკაციას გეგმავდნენ. სწორედ აღნიშნული პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით დავაკავეთ ისინი,"** - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა და დაკავებულთა გვარები დაასახელა.

თბილისში დაკავებულია გრუ-ს პოლკოვნიკი ალექსანდრე სავვა და პოდპოლკოვნიკი დიმიტრი კაზანცევი. ბათუმში აიყვანეს პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ზავგოროდნი და მაიორი ალექსანდრე ბარანოვი. დასაკავებელთა სიაში იყო გრუ-ს პოლკოვნიკი კონსტანტინე პიჩუგინიც, რომელმაც თავი ამიერკავკასიის სამხედრო დაჯგუფების შტაბს შეაფარა. სწორედ მის დასაკავებლად შემოარტყეს ალყა შტაბის შენობას, მაგრამ გრუ-ს პოლკოვნიკი კოლეგებმა არ გაწირეს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა რუსულ მხარეს მიმართეს, მიიღონ სათანადო ზომები ამ ადამიანის გადასაცემად, ვანო მერაბიშვილი არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა რუსმა სამხედროებმა კონსტანტინე პიჩუგინი დიპლომატიური გზებით რუსეთში გააპარონ.



გოგიტა ბახაიძის ფოტო

*ამიერკავკასიის სამხედრო დაჯგუფების შტაბის შენობა რამდენიმე საათის მანძილზე ალყაში იყო.*

სახელმწიფო ღალატისა და ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებულია საქართველოს 12 მოქალაქე და ძებნაში იმყოფება ერთი - ზია სამნიძე, რომელიც 6 სექტემბერს დაკავებული იგორ გიორგაძის მომხრის რამაზ სამნიძის ძმაა. წინასწარი დაკავების საკანში არიან გადაყვანილნი: არტაშეს ბალოიანი, ვიქტორ ორეხოვი, ალექსანდრე ზალინინი, ვიქტორ ზაბროდინი, იური ზაბროდინი, გოდერძი ძულიაშვილი, გია კაკაურიძე, აზიზ ასლანიანი, კარენ აბოიანი, პეტრე აშრაფიანი, ბესო გაბაიძე.

**"აღნიშნული ჯგუფი თვეების განმავლობაში აგროვებდა მონაცემებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობაზე, საქართველოს ნატო-სთან ინტეგრაციის პროგრამებსა და სამომავლო გეგმებზე, საქართველოს ენერგოუსაფრთხოებაზე, ოპოზიციურად განწყობილ პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე, თავდაცვის სამინისტროს ცალკეულ დანაყოფებზე, პირად შემადგენლობაზე და შეიარაღებაზე, სამხედრო შესყიდვებზე, საზღვაო პორტებზე, სარკინიგზო კომუნიკაციებზე, მათ ტვირთბრუნვაზე, კონფლიქტის ზონაში განთავსებულ საჯარისო ფორმირებებზე, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების წვრთნებზე",** - აცხადებს შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც ირწმუნება, რომ დაკავებულთა დანაშაულის დასამტკიცებლად ქართველ სამართალდამცველებს საკმარისი მტკიცებულებები აქვთ.

ვანო მერაბიშვილი აცხადებს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები აღნიშნულ ჯგუფთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი სხვა პირების დადგენა-დაკავების მიზნით.

რაც შეეხება გუშინ დაკავებული ჯგუფის ლიდერს ანატოლ ივანეს-ძე სინიცინის, რომელიც გორის ტერაქტის ორგანიზატორადაც დასახელდა. სავარაუდოდ, ის უნდა იყოს ანატოლ ივანეს-ძე სისოევი, რომლის შესახებაც საქართველოს ხელისუფლება, მათ შორის შს მინისტრიც წლების მანძილზე საუბრობდნენ და რომელსაც გორის ტერაქტის ორგანიზატორად მოიხსენებდნენ.

გორის ტერაქტის შემდეგ შს მინისტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთიდან კოკოითის მრჩევლად მივლინებულმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს კადრის მაღალჩინოსანმა ანატოლი ივანეს ძე სისოევმა ე. წ. ოსური "ოპოლჩენიის" ბაზაზე შეარჩია და ჩამოაყალიბა დაახლოებით 120-კაციანი დანაყოფი, რომლის 60 წევრი, რუსი ოფიცრების ხელმძღვანელობით, სადაზვერვო-დივერსიულ მომზადებას გადიოდა ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე, დარიალის ხეობაში დისლოცირებულ სამხედრო ბაზაზე, რუსეთის ფედერაციის 58-ე არმიის სამხედრო პოლიგონზე.

სისოევის მითითებებით და რუსი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, დანაყოფის წევრების მიერ 2004 წლის ოქტომბერ-დეკემბერში დაიგეგმა და შიდა ქართლში განხორციელდა დივერსიულ-ტერორისტული აქტების სერია, რომლებმაც სერიოზული ზიანი მიაყენეს საქართველოს ენერგოსისტემის, კავშირგაბმულობისა და სარკინიგზო ტრანსპორტის ობიექტებს. "სორ"-ის ტერორისტულმა დაჯგუფებამ განახორციელა შემდეგი ტერორისტული აქტები: 2004 წლის 9 ოქტომბერს გორის რაიონის სოფელ შავშვების მიმდებარე ტერიტორიაზე 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი "ქართლი-2"-ის N365 და "ლიახვი"-ს N57 ანძების აფეთქება, რამაც საქართველოს ენერგოსისტემა მწყობრიდან გამოიყვანა;

2004 წლის 9 ოქტომბერს კასპის რაიონში "გრკალი-მეტეხი"-ს გადასარბენზე რკინიგზის ლიანდაგის აფეთქება და 2004 წლის 17 ნოემბერს ხაშურის სოფელ ჩორჩანასთან მდებარე ნავთობსადენის რადიოგადამცემი სადგურის აფეთქება;

ასევე, დაგეგმილი იყო შვეულმფრენის ჩამოგდება საზენიტო კომპლექს "იგლა"-თი, რაც ვერ განხორციელდა, ჯგუფისგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

ზუსტად ორი წლის წინ, გორის ტერაქტამდე რამდენიმე თვით ადრე, 2004 წლის 8 აგვისტოს, მაშინ, როცა ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა კულმინაციას მიაღწია და როცა საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტში "მესამე ძალის" მონაწილეობის თაობაზე ალაპარაკდა, ანატოლ სისოევის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაშინდელი მოადგილე ნიკა ტაბატაძე საუბრობდა. მას შემდეგ, რაც ქართულ-ოსური კონფლიქტის მიმდინარეობისას, საქართველოს საჰაერო სივრცე რუსულმა ვერტმფრენებმა რამდენჯერმე უკანონოდ გადმოკვეთეს და რასაც საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის პრინციპული განცხადება-მუქარა მოჰყვა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ სპეციალური ბრიფინგი ჩაატარა. ნიკა ტაბატაძემ გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ვლადიკავკაზის სიახლოვეს მდებარე რუსულ ბაზაზე "სპუტნიკში" რუსი სამხედროები წვრთნიან ე.წ. სამხრეთ ოსეთის 200 მცხოვრებს, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ სხვადასხვა აქტებს გეგმავენ. ნიკა ტაბატაძის განცხადებით, სამხედრო წვრთნებს ხელმძღვანელობდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის სამხედრო თანაშემწე ანატოლი სისოევი. მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ ნიკა ტაბატაძემ ფოტოჩვენებაც მოაწყო. მის მიერ ჟურნალისტებისთვის ნაჩვენებ ფოტოებზე გადაღებული იყო ცხინვალში მოძრავი მანქანა, რომელიც ვლადიკავკაზში გალაგებული რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 58-ე დივიზიის კუთვნილება გახლდათ და რომელსაც იყენებდნენ საქართველო-ოსეთის კონფლიქტში სპეციალურად გაწვრთნილი შეიარაღებული პირების გადასაყვანად. ეს ის 58-ე დივიზია გახლავთ, რომლის შესახებაც ვანო მერაბიშვილი გორის ტერაქტისას საუბრობდა და სადაც ტერორისტული ჯგუფები გადიოდნენ სადაზვერვო-დივერსიულ მომზადებას.

ვლადიკავკაზში დაბანაკებული ანატოლ სისოევის დაჯგუფების შესახებ, მოსკოვში რუსეთის თავდაცვის მინისტრთან სერგეი ივანოვთან შეხვედრისას ორი წლის წინ საუბრობდა თავდაცვის მაშინდელი მინისტრი გიორგი ბარამიძე.

შსს-ს ინფორმაციით, რუსეთის სპეცსამსახურის კადრის ჩინიანი ოფიცერი, რომელმაც საქართველოში რამდენიმე ტერორისტუილ-დივერსიული აქტი დაგეგმა და რომელიც სამხედრო წვრთნას უტარებდა სპეცჯგუფებს, ქართველი სამართალდამცველების მიერ ძებნილია. საქართველოს შსს-მ რუს კოლეგებს 18 წერილი გაუგზავნა და სისოევის დაკავების საქმეში დახმარებას სთხოვდა, თუმცა - უშედეგოდ. რუსეთის შსს-ს მიერ გამოგზავნილი პასუხით, სისოევზე ინფორმაციის გაცემა რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს ეწინააღმდეგება.

*24 საათი*



# წარსულის გაკვეთილები

*პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო პრემიების კომიტეტი აღარ არსებობს. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ამიერიდან ქართული შემოქმედებითი ელიტა ორი მნიშვნელოვანი ჯილდოს, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების გარეშე დარჩება? როგორ გადაწყდება რუსთაველის სახელობის პრემიის ბედი, ამის შესახებ არაფერია ცნობილი. ამ ეტაპზე მხოლოდ ის ვიცით, რომ სახელმწიფო პრემიები ლიტერეტურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში წლეულს აღარ გაიცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში კონკურსი სექტემბერში უნდა გამოცხადებულიყო. ამის სანაცვლოდ კულტურის სამინისტროს შენობაში შეხიზნულმა კომიტეტმა, რომელიც სულ რამდენიმე კაცით იყო დაკომპლექტებული, პრეზიდენტისგან ხსენებული ინსტიტუციის გაუქმების განკარგულება მიიღო. მიზეზი რატომღაც არ სახელდება, ამიტომ მანამდე ის მაინც ვიკითხოთ, როდის და რა პირობებში დაარსდა ეს ორი პრემია.*

სოფიო თოდუა

1964 წლის 10 მარტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ქართული ლიტერატურის, სახვითი ხელოვნების, თეატრალური ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის შემდგომი განვითარების მიზნით დააწესა შოთა რუსთაველის სახელობის ოთხი პრემია ლაურეატის დიპლომითა და მოწმობით, ლაურეატის ოქროს მედლითა და ფულადი ჯოლდოთი. პრემია სამ წელიწადში ერთხელ გაიცემოდა და ბოლო დროს ფულადი ჯილდო 15 ათასი ლარით განისაზღვრა. ამას დაემატა თვიური გრანტი (300 ლარამდე) რუსთაველის პრემიის უკლებლივ ყველა მფლობელისთვის. გაგანია საბჭოთა პერიოდში დაარსებული ეს პრემია, რასაკვირველია, პოლიტიკური კონიუნქტურისგან თავისუფალი ვერ იქნებოდა. ახლა იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა იდეოლოგიისთვის ისეთი შემოქმედებითი ელიტა იყო მისაღები, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში ფორმით ეროვნულ, ხოლო შინაარსით სოციალისტურ ნაწარმოებებს ქმნიდა, აღარ გაგვიკვირდება, რომ დღეს ამ პრემიის ლაურეატთა ნაწილი სამართლიანად ირიცხება "წითელი ინტელიგენციის" რიგებში. ამისდა მიუხედავად, რუსთაველის პრემიის ლაურეატები ისინიც გახდნენ, ვისაც ნებისმერ დროს, ნებისმიერ ქვეყანაში ხელის აუკანკალებლად დაადგამდნენ დაფნის გვირგვინებს. ვერ გეტყვით, შეგნებულად მოხდა ეს თუ შეუგნებლად, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **კონსტანტინე გამსახურდია, ლადო გუდიაშვილი, ანდრია ბალანჩივაძე, გოგლა ლეონიძე, ელენე ახვლედიანი, სერგო ზაქარიაზე, ვასო გიძიაშვილი, მურმან ლებანიძე, ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, რევაზ ლაღიძე, მერაბ ბერძენიშვილი, ნიკო კეცხოველი, მირზა გელოვანი, ჯანსუღ კახიძე, რევაზ ინანიშვილი, სერგო ქობულაძე, ვერიკო ანჯაფარიძე, სოსო ჩხაიძე, თენგიზ აბულაძე, რობერტ სტურუა, გია ყანჩელი, ოთარ ჭილაძე, ელისო ვირსალაძე, გურამ ქუთათელაძე, სესილია თაყაიშვილი, ანა კალანდაძე, ბიძინა კვერნაძე, აკაკი შანიძე, ანზორ ერქომაიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ტარიელ ჭანტურია, ნინო ანანიაშვილი, ვახტანგ დავითაია, ოთარ იოსელიანი** და კიდევ ბევრი სხვა აუცილებლად გადასწონის სხვა დანარჩენებს, რომელთა შემოქმედება საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დავიწყებას მიეცა. რაც შეეხება სახელმწიფო პრემიას 7 ათასი ლარის ოდენობით, რომლის მფლობელი ყოველწლიურად შვიდი კანდიდატი ხდებოდა, იგი 1992 წელს დაარსდა. ამ პრემიის წინამორბედად თავისუფლად შეგვიძლია მოვიაზროთ სტალინისა თუ საბჭოთა კავშირის სახელობის პრემიები, მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაარსებული ეს ჯილდო მაინც სახელმწიფოებრიობის აღდგენასთანაა ასოცირებული. მიზეზი გასაგებია: არ მეგულება არც ერთი მეტ-ნაკლებად წარმატებული და კულტურასთან წილნაყარი სახელმწიფო, სადაც მსგავსი პრემიები არ დაეწესებინოთ. პირადად მე ისიც მახარებდა, რომ მისი მფლობელები მხცოვანი მწერლების, მუსიკოსებისა თუ მხატვრების გვერდით ნიჭიერი ახალგაზრდებიც გახდნენ. ეს სიაც ერთობ შთამბეჭდავია და ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. რაც შეეხება სხვა პრემიებსა და ჯილდოებს, რომლებსაც კერძო პირები აარსებენ, რაც მეტი იქნება, მით უკეთესი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა დაიბანოს და ცნობილ მწერალსა თუ კომპოზიტორს ზურგი შეაქციოს. სხვათა შორის, ბოლოს და ბოლოს ჩვენც თუ გვეღირსება კანონი ქველმოქმედების შესახებ და აქაურ თუ უცხოელ ბიზნესმენებს სახელმწიფო ქველმოქმედების სანაცვლოდ გარკვეულ შეღავათებს დაუწესებს, დარწმუნებული ვარ, საპრემიო ფონდები ერთიორად გაიზრდება.

პრეზიდენტს სახელმწიფო პრემიების კომიტეტი, რასაკვირველია, კერძო ინტერესების გამო არ გაუუქმებია. წინააღმდეგ შემთხვევაში ტარიელ ჭანტურიასა (კომიტეტის თავმჯდომარე) და ლია სტურუას (თავმჯდომარის მოადგილე) ნაცვლად სხვა პერსონებს ვიხილავდით - მათ, ვინც დღევანდელ ხელისუფლებას ყოველთვის გვერდში უდგას. როგორც ჩანს, საქმე გაცილებით რთულადაა და მიზეზებიც, შესაბამისად, სხვაგან უნდა მოვიძიოთ.

კარს მომდგარი არჩევნების წინ უხერხულად მეჩვენება იმაზე მსჯელობა, რატომ სიამოვნებს ხელისუფლებას დითირამბების მოსმენა და რა ბედი ეწევათ ხოლმე პანეგირიკების ავტორებს მორიგი რეფერენდუმის შემდეგ. არც იმაზე ღირს ყურადღების გამახვილება, რომ გაუთავებელი ტაშფანდური, რასაც უკვე ყოველდღე გვთავაზობენ, ხალხის დაუკითხავად იმართება, თუმცა ამაში ჩვენივე ფული იხარჯება. ამ საკითხზე ბევრი დაიწერა, ბევრიც ითქვა და კარგია ეს თუ ცუდი, ამას მომავალი გვიჩვენებს. გვეუბნებიან და ჩვენც გვინდა ვირწმუნოთ, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ. გვჯერა, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ ამ სახელმწიფოსკენ მიმავალი გზა ია-ვარდით მოფენილი არ იქნება და ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიწევს, ამიტომ სასოწარკვეთილებაში რომ არ ჩავვარდეთ და სამყარო შეფერადებულად აღვიქვათ, იქნებ, გართობა და დროსტარება სხვადასხვა ფორმით ჩვენთვისვე იყოს სასარგებლო. რა ჯობია, როცა ახალგაზრდებს, რომელთაც ჯერაც ახსოვთ ჩაბნელებული და გამოყინული სახლები, სამშობლოს სიყვარულს პატრიოტული ბანაკების გაშენებით ასწავლი და ფანტასმაგორული პროექტების განსახორციელებლად ათასებს არ იშურებ! თუ სახელმწიფო გქვია, ჯარისკაციც უნდა დააპურო, უფასო სასადილოც უნდა გახსნა, უპატრონო ბავშვებსაც მოუარო, საავადმყოფეობიც ააშენო და, სხვათა შორის, ჯილდოებიც გასცე. წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ერთი კითხვა მაინც ჩნდება: არიან თუ არა ქართული ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლები ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქეები თუ უკლებლივ ყველა "წითელ ინტელიგენციას" უნდა გადავაყოლოთ? და თუ არიან, განა, რა თანხებთან არის დაკავშირებული ხსენებული პრემიების დაწესება, რომ სახელმწიფომ მათ გაცემაზე ხელი აიღოს და ნიჭიერ შემოქმედს სრული იგნორირება გაუწიოს? გაგვიხარდებოდა, თუ რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების სანაცვლოდ ახალ პრემიებს შემოგვთავაზებდნენ (თუმცა არა მგონია, ამ შემთხვევაში სახელის შეცვლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდეს), მაგრამ ასე რომ იყოს, ამ ინიციატივის შესახებ ზარ-ზეიმით გვამცნობდნენ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გინდა არ გინდა, გამსახურდიას მმართველობის ხანა გახსენდება. სასაცილო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ გამსახურდიას რეჟიმის დამხობა მაშინდელი ინტელიგენციის განაწყენებამ გამოიწვია. მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, რომელიც იმავდროულად მწერალი, მთარგმნელი და მეცნიერი გახლდათ, ბევრ მის კოლეგას სრულიად დაუმსახურებლად შეურაცხყოფა მიაყენა და ამით საზოგადოების გვარიანი ნაწილი გადაიმტერა. ისედაც, როცა იცი, რომ შენი ქვეყნის მეხუთე კოლონა სწორედ "შემოქმედებითი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებითაა" დაკომპლექტებული, აჯობებს, ეს ხალხი სხვა ხერხებით გამოააშკარავო და ზედ ისინიც არ მიაყოლო, ვისაც საზოგადოება განსაკუთრებულ პატივს მიაგებს. მახსოვს, როგორ წაართვეს თავის დროზე ექვსი თუ შვიდი "ვოლგა" მწერალთა კავშირს და რა რეზონანსი მოჰყვა გამსახურდიას ამ გადაწყვეტილებას - სწორედ "წითელი ინტელიგენციის" ხელშეწყობით. მსგავსი მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს. ბოლოს და ბოლოს, მეხსიერება ყველას ერბაშად არ დაგვებინდა. იმ დროს რა დამავიწყებს, როცა შუაგულ რუსთაველზე აგიზგიზებულ კოცონს ქართველი მწერლების, მათ შორის პირველხარისხოვანი მწერლების წიგნები შეუკეთეს?!

სამწუხაროდ, ისტორია მეორდება და უნდა ვაღიაროთ, რომ ეს ჩვენი პატიოსანი გვამები ვერც საკუთარ და ვერც სხვათა შეცდომებზე ვერაფერს სწავლობენ. სრულიად უფუნქციოდ დარჩენილი მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, არქიტექტორთა და სხვა შემოქმედებითი კავშირები დღევანდელ ხელისუფლებას ქართულ მწერლობასთან, მხატვრობასთან, მუსიკასთან აქვს გაიგივებული და მტკიცედ სწამს, რომ საზოგადოებაც იგივეს ფიქრობს. ცოტა არ იყოს, დამაფიქრებელია, როცა პრეზიდენტის სიახლოვეს ერთი გონიერი ადამიანიც არ ჩანს, ვინც ქვეყნის პირველ პირს ახლო წარსულს შეახსენებდა, მით უფრო, რომ რუსეთს, ჩვენდა სავალალოდ, ახლაც შეუძლია წყლის ამღვრევა და თუ საჭიროდ ჩათვლის, ნაფტალინიან "წითელ ინტელიგენციას" ფრანგულ სუნამოს ადვილად აპკურებს. აი, ამის მერე კი იმასაც განუმარტავდა, რომ იმ წესიერ, ნიჭიერ, უპრეტენზიო და მატერიალურად შეჭირვებულ ინტელექტუალურ ელიტას სახელმწიფოსაგან დაფასება ისევე სჭირდება, როგორც პრეზიდენტს სჭირდება მათი ხმები არჩევნების დროს.

## გიდონ კრემერი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი მევიოლინის გიდონ კრემერის გასტროლისთვის ემზადება. კრემერი თეატრის სცენაზე კონცერტს 9 ოქტომბრისთვის გეგმავს. ამის შესახებ ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის გენერალურმა დირექტორმა, რეჟისორმა დავით საყვარელიძემ განაცხადა. მისი თქმით, გიდონ კრემერის ჩამოსვლა ქართულ მუსიკალურ მოვლენათა ისტორიაში უპრეცედენტოა, რადგან ამ დონის ვიოლინოზე შემსრულებელი საქართველოს არასოდეს სწვევია.

კრემერი თბილისში თავის კვარტეტთან ერთად და ასევე ცნობილ შემსრულებელთან კატია კანავისთან ერთად ჩამოვა. მუსიკოსები XX საუკუნის კლასიკურ ნიმუშებს, მათ შორის, გია ყანჩელის ნაწარმოებებს შეასრულებენ. კრემერი ლიტვაში დაიბადა და მუსიკალური განათლება რუსეთში მიიღო, თუმცა უკვე 30 წელია დასავლეთში მოღვაწეობს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში უკრაინის წელი იწყება

დღეს საქართველოში საზეიმოდ გაიხსნება უკრაინის წელიწადი. ღონისძიების ორგანიზატორთა უკრაინული მხარის წარმომადგენლის მიკოლ სპისას განცხადებით, უკრაინის დღეებს საქართველოში კულტურის მინისტრი იგორ ლიხოვი გახსნის.

ღონისძიების ფარგლებში ერთი წლის განმავლობაში პერიოდულად გაიმართება მხატვართა გამოფენები, კინოჩვენებები, ჩატარდება ხალხური და თანამედროვე მუსიკის კონცერტები. პროგრამის ფარგლებში თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებს უკრაინის რეგიონების ხელმძღვანელები ეწვევიან, რომლებიც ადგილობრივ რეგიონულ წარმომადგენლებს შეხვდებიან. ზოგიერთ მათგანს მომავალი ურთიერთთანამშრომლობის გეგმა უკვე შემუშავებული აქვს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ჩინური ფაიფური "ქარვასლაში"

29 სექტემბერს გალერეა "ქარვასლაში" გაიხსნება ჩინური ფაიფურისა და ფოტოების გამოფენა. გალერეა "ქარვასლის" საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელის თიკო ჯანყარაშვილის განცხადებით, გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება თანამედროვე ფაიფურით ნაკეთები ნივთები, რომლებიც ძველებური ნიმუშების ასლებს წარმოადგენს. გამოფენას ორგანიზებას უწევს ჩინეთის საელჩო. ჩინური ფაიფურის გამოფენა "ქარვასლაში" ერთ თვეს გაგრძელდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# GWS-ის სტრატეგია ამართლებს

"ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" პროდუქციის ექსპორტს ბალტიისპირეთის ქვეყნებშიც ზრდის





*"ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის" (GWS) მიერ წარმოებული ბრენდები "თამადა", "ძველი თბილისი" და "ჭაჭა განსაკუთრებული" ბალტიის ქვეყნებში, უკვე წარმოდგენილ მსოფლიოში ცნობილ ფრანგულ, ავსტრალიურ და ჩილეს ღვინოებს კონკურენციას ჯერ კიდევ 1998 წლიდან უწევს. რუსეთში ღვინის ექსპორტის შეჩერების შემდეგ "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" მაქსიმალურად აფართოებს მოქმედების არეალს და ისევე, როგორც იაპონიაში, აშშ-ში, ინგლისში, უკრაინაში, ბელორუსში, ყაზახეთში თუ სხვადასხვა თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში, ბალტიისპირეთის ქვეყნების ბაზარზეც ზრდის პროდუქციის ექსპორტს.*

სწორედ ორმხრივი ბიზნესინტერესი გახდა იმის საფუძველი, რომ "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიამ" (GWS) ესტონელთა დელეგაციას საქართველოში უმასპინძლა. GWS-ის პარტნიორი დისტრიბუტორი კომპანიის "პერნო რიკარ ესტონეთის" ხელმძღვანელობის, ესტონეთის მსხვილი სუპერმარკეტების ქსელების, რესტორნების მფლობელების და ესტონური ტელეკომპანია "მეორე არხის" წარმომადგენლები საქართველოს ხუთი დღით ესტუმრნენ. ვიზიტი საქართველოში რთველის პერიოდს დაემთხვა და ესტონელებმა თელავში "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიის" ქარხანა და ვენახები მოინახულეს, "თამადისა" და "ძველი თბილისის" ასორტიმენტის ღვინოები კი უშუალოდ მათი წარმოების ადგილას დააგემოვნეს.

GWS მარკეტინგისა და გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორი ლევან კობერიძე აღნიშნავს, რომ **"ეს არის გაყიდვების გაზრდისათვის განხორციელებული მიზანმიმართული პროგრამა და კომპანია რეგულარულად ჩაატარებს მსგავს ღონისძიებებს. უახლოეს მომავალში დაგეგმილია ლატვიის და ლიტვის დელეგაციების ჩამოყვანა. ასეთი ნაბიჯებით კომპანია შეეცდება გარკვეულწილად შეავსოს რუსეთის ბაზრის დანაკლისი. ხაზგასასმელია ისიც, რომ ესტონეთის ბაზარზეც საკმაოდ ბევრია იაფფასიანი ფალსიფიცირებული ქართული ღვინოები. ასეთი ვიზიტები იმასაც შეუწყობს ხელს, რომ სწორი და ობიექტური შეფასება მიეცეს ქართული ღვინის ხარისხს და არჩევითობის პრინციპს სავაჭრო ქსელების წარმომადგენლების მიერ."**

აღსანიშნავია, რომ "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" უკვე კარგა ხანია მუშაობს ბალტიისპირეთის ქვეყნებში, ხოლო რუსეთის ბაზარზე ქართული სასმელების ექსპორტის შეჩერების მიუხედავად GWS-ის დამფუძნებელი, ალკოჰოლური სასმელების წარმოება-დისტრიბუციაში სიდიდით მეორე მულტინაციონალური ჯგუფი Pernod Ricard (პერნო რიკარი), აქტიურად უწყობს ხელს კომპანიას ახალი ბაზრების მოძიებაში, როგორც ლევან კობერიძე აღნიშნავს, **"GWS ცდილობს მაქსიმალურად აითვისოს ბაზარი, გაზარდოს გაყიდვები. სწორედ ამ მიზნის განხორციელებას ისახავდა ესტონელების ბიზნესტური საქართველოში. ჩამოსული იყო საკმაოდ დიდი და წარმომადგენლობითი ჯგუფი - გაყიდვის წერტილების, სუპერმარკეტების, რესტორნების მფლობელები, ღვინის შემსყიდველები და ამ საკითხებზე მომუშავე ესტონეთის მედია. ერთი სიტყვით, ისინი, ვინც ამ ბაზარზე სამომხმარებლო აზრის ფორმირებას უწყობს ხელს."**

ლევან კობერიძის შეფასებით, **"ბალტიისპირეთის ქვეყნების ბაზარი სწრაფად მზარდია. ამ ბაზარზე კონკურენციის ხარისხი საკმაოდ მაღალია - მასზე სრულყოფილად არის წარმოდგენილი როგორც ძველი, ისე ახალი მსოფლიოს ღვინოები (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი, ჩილე, ავსტრალია), ასე რომ, GWS-ის ღვინოების საფუძვლიანი დამკვიდრება ამ ქსელში მხოლოდ მისი საუკეთესო ხარისხის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" იქ ორი ბრენდით არის წარმოდგენილი - "თამადა", რომელიც პრემიალურ ასორტიმენტს წარმოადგენს და "ძველი თბილისი". მაგარი ალკოჰოლური სასმელებისგან გაყიდვაშია ასევე "ჭაჭა განსაკუთრებული".**

მთავარი კი ის გახლავთ, რომ არსებობს ორმხრივი ინტერესი, პარტნიორული შესაბამისობა და რეალურად საქმის კარგად კეთების მონდომება, ამიტომაც ზრდის ტენდენცია შესაბამისად დიდი იქნება, ზუსტად ისევე, როგორც GWS-ის ღვინოების დისტრიბუციისას იაპონიაში, აშშ-ში, ინგლისში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა თუ სხვადასხვა თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში.

და კიდევ, ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც ლევან კობერიძე აღნიშნავს **"ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" ყოველთვის იყო ორიენტირებული ახალი ბაზრების ათვისებაზე. რუსეთის ბაზართან დაკავშირებულმა კრიზისულმა სიტუაციამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მსგავსი ნაბიჯები აუცილებელია და გათვლილია გრძელვადიან სტრატეგიაზე. ამიტომ მნიშვნელოვანია მაქსიმალურად გავაფართოვოთ ჩვენი მოქმედების არეალი და გეოგრაფია, არ ვიყოთ დამოკიდებული მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის ბაზარზე. მუდმივად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ახალი ბაზრების ათვისებაზე. ამჯერად უკვე მიღწეულია შეთანხმება კანადაში, ასევე პოლონეთში ექსპორტთან დაკავშირებით."**

რაც შეეხება ფასებს, "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანიაში" აღნიშნავენ, რომ **"GWS-ს ეგრეთ წოდებული ერთიანი საფასო პოლიტიკა აქვს და მის ღვინოსაც სტაბილური ფასი გააჩნია. ქართული ღვინო საკმაოდ ძვირი ღირს, მაგრამ ეს მისი რეალური ღირებულება გახლავთ. GWS-ის ღვინოები ბალტიისპირეთის ქვეყნებში ავსტრალიური, სამხრეთ აფრიკის, ჩილეს, ფრანგული ღვინოების საფასო სეგმენტში შედის."**

ინფორმაციისათვის - "ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია" (GWS) 1993 წლიდან ფუნქციონირებს. GWS აწარმოებს ღვინის ორ ბრენდს - "თამადა" და "ძველი თბილისი", აგრეთვე ჭაჭას, რომელსაც მისი ხარისხის შესაბამისად "ჭაჭა განსაკუთრებული" ჰქვია. დღეისათვის GWS ლიდერია ქართული ღვინის პრემიალურ სეგმენტში ანუ მოწინავე პოზიცია უკავია მაღალფასიან და მაღალხარისხოვან ღვინოებს შორის. კომპანიის პრიორიტეტი საუკეთესო ხარისხის პროდუქციის წარმოებაა, რისი საფუძველიც გახლავთ კომპანიის ორიენტაცია მარკეტინგზე და მუდმივი ზრუნვა მომხმარებელზე.

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

UNDP Sida

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge

# ვენეციიის ბიენალეს დღიური

## ქალაქები, არქიტექტურა და საზოგადოება

ლენა კილაძე

ეს ქალაქი არავის ტოვებს გულგრილს.

ხუროთმოძღვრებსა და მშენებლებს უყვართ ვენეცია, როგორც საუკეთესო მაგალითი ადამიანის ნიჭის გამოვლენისა - ქალაქი წყალზე, რომელიც ლოგიკის და ბუნებრივი პირობების მიუხედავად, დღესაც აღაფრთოვანებს მნახველს. რომანტიკოსებს მოსწონთ ეს ატმოსფერო ელეგანტური მხატვრული "ქაოსისა", ჩვეულებრივი მოგზაურები კი გაკვირვებული უყურებენ ამ ზღაპრულ სამყაროს თავისი ყოველდღიურობიდან. და კიდევ ამ ქალაქში მანქანები არ არიან და ალბათ ამიტომ გრძნობენ თავს ასე მნიშვნელოვნად აქ მოგზაურები.

ვაპორეტოს (ვენეციის ძირითადი სატრანსპორტო საშუალება) კრუიზი წყალზე, პატარ-პატარა ხიდები ყოველ ნაბიჯზე. აქა-იქ ბათქაშაყრილი ძველი სახლები, ყვავილები აივანზე, დილაობით ეკლესიის ზარების დაუსრულებელი ხმა და ცხელი ყავის სურნელი... სუვენირების მაღაზიები, მოხატული ნიღბები, ფერად-ფერადი...შუშა მორანოდან და რა თქმა უნდა სან-მარკოს მოედანი, სადაც სალამოობით ორკესტრი ნოსტალგიურ მელოდიებს უკრავს და მტრედები, მტრედები, მტრედები...

ქალაქის მთავარი მოედანი მარკოზ მახარებლის სახელს ატარებს. ტაძარიც მისი სახელობისაა, რადგანაც სწორედ აქ არის დასვენებული მისი წმინდა ნაწილები. ქალაქის სიმბოლოც - ლომი მარკოზ მახარებელთანაა გაიგივებული, თუმცა დღეს ეს ბევრს როდი ახსოვს და ლომს უბრალოდ ქალაქის, კინოფესტივალის ან ბიენალეს სიმბოლად მიიჩნევენ.

გადმოცემის თანახმად, მარკოზ მახარებელი ალექსანდრიის გზაზე ქრისატიანობის მოწინააღმდეგეებმა შეიპყრეს და აწამეს. მე-8 საუკუნემდე მისი სხეული იმყოფებოდა ალექსანდრიაში და კინაღამ განიცადა ვანდალური შეურაცყოფა მუსულმანების მიერ. ვენეციელმა ვაჭრებმა დაიცვეს მისი სხეული - მოათავსეს რა კალათაში, სადაც ღორის ხორცი ინახებოდა (უწმინდური მუსულმანებისათვის) და ფარულად გადმოასვენეს ვენეციაში. აქ, ვენეციის დოჟის ბრძანებით, პირველი ტაძარი აიგო 828 წელს. ახალი ტაძრის აგებისას, 1094 წელს, წმინდა ნაწილები დაიკარგა და შემდგომ სასწაულებრივად აღმოჩნდა დამალული ტაძრის სვეტში. მარკოზის ცხოვრება ტაძრის კედლებზე მოზაიკის სახითაა გადმოცემული.

### ვენეციის ბიენალე ვენეციიდან

ვენეცია მთელი წლის განმავლობაში ემზადება ზაფხულისათვის. ეს საუკეთესო ტურისტული სეზონია და კიდევ ესაა ბიენალე - გაიგივებული ამ ქალაქთან. ყველგან ქალაქში განწყობაა დიდი ზეიმის. კინოფესტივალი მთავრდება და იწყება ბიენალე, რომლის თემატიკა მოიცავს არქიტექტურას, მუსიკას, ცეკვას, თეატრს, კინოს. ჰეფენინგის განწყობა და უამრავი ახალგაზრდა ქალაქში მსოფლიოს ყველა კუთხიდან.

წლევანდელი არქიტექტურის მე-10 საერთაშორისო გამოფენის თემა ქალაქი იყო: "ქალაქები, არქიტექტურა და საზოგადოება".

არქიტექტურული გამოფენები ლოკალიზებულია ორ ძირითად ადგილას - არსენალეზე (სადაც გემთსაშენი ქარხანა იყო და ეხლა უშველებელი პავილიონია) და ჟარდინიში (ბაღების ადგილი), სადაც სხვადასხვა ქვეყნების პავილიონებია განთავსებული (თუმცა ცალკეული გამოფენები ქალაქის სხვადასხვა კუთხეშიცაა მიმობნეული).

შეიძლება ითქვას, რომ ბიენალეს ოფიციალური გახსნით ყველაზე საინტერესო, დაძაბული და მუშა ნაწილი მთავრდება. წლევანდელი პროგრამა ძალიან საინტერესო იყო, რადგანაც პირველად ვენეციის ბიენალეს ისტორიაში, ბიენალეს თემა ზოგადად ვიწრო არქიტექტურის ფარგლებს სცილდებოდა და ქალაქს, მის პრობლემებს, საზოგადოებისა და ქალაქის ურთიერთობას, მომავალი ქალაქის სახეს ეხებოდა.

როგორი უნდა იყოს დიდი ქალაქების როლი ახალი, უკეთესი, საზოგადოების ჩამოყალიბებაში გლობალური ურბანიზაციის ფონზე? ეს იყო მთავარი კითხვა, რომელიც ჟღერდა და რომელზეც პასუხს სხვადასხვა პავილიონი ან არქიტექტორი სრულიად განსხვავებულს გვთავაზობდა. ამავე საკითხებს ეძღვნებოდა მთავარი გამოფენაც - "ქალაქები, არქიტექტურა, საზოგადოება" - რომლის კურატორი თანამედროვეობის ცნობილი არქიტექტორი, ქალაქმგეგმარებელი და მკვლევარი რიჩარდ ბარდეტი იყო.

პარალელურად ორი აქტუალური თემატური პროექტი "ქვის


ვენეცია

ქალაქები" (მიძღვნილი ტრადიციული ქვის არქიტექტურის აღდგენისაკენ) და ქალაქი-პორტი (როგორც განმსაზღვრელი ზღვის ქალაქების როლისა) მიმდინარეობდა.

იტალიის პავილიონი წარმოადგენდა ფრანკო პურინის მიერ ორგანიზებულ, ბიენალეს ისტორიისადმი მიძღვნილ საინტერესო გამოფენას და აერთიანებდა ვორკშოფებს, შეხვედრებს, კონფერენციებს და სასწავლო აქტივობებს ცნობილი არქიტექტორების მონაწილეობით.

ყველაზე ინოვაციური და მნიშვნელოვანი კი ალბათ ის იყო, რომ ეს ბიენალე გამოფენის ფარგლებს გასცდა და რეალური გადაწყვეტილებებისაკენ ნაბიჯი გადადგა. ამ კუთხით მოეწყო ინოვაციური შეხვედრა მსოფლიოს უდიდესი ქალაქების მერების (რომლებიც სპეციალურად მოიწვიეს) და ქალაქის მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებისა (რომელთაც ეხებათ ქალაქის მართვის პრობლემები) ურბანიზმის ექსპერტებთან, რათა მათ ერთად განეხილათ და განესაჯათ ქალაქების ტრანსფორმირების და მათი მართვის პრობლემები, აგრეთვე მეტროპოლიების სამომავლო როლი.

პირველად ბიენალეს ისტორიაში, მოეწყო სერია შეხვედრა-საუბრებისა მოწვეულ სტუმრებთან, თანამედროვეობის ყველაზე ცნობილ არქიტექტორებთან: რენცო პიანო და რიჩარდ როჯერსი (როგორც პომპიდუს ცენტრის ავტორები და ბიენალეს მთავარი მონაწილე პერსონაჟები: პიანოს პროექტი ჰქონდა წარმოდგენილი ფოსტერთან ერთად და როჯერსი ოქროს ლომს ელოდებოდა), ნორმან ფოსტერი, მაქსიმილიანო ფუქსასი - დღევანდელ იტალიელ არქიტექტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, ზაჰა ჰადიდი - ალბათ ერთადერთი ქალი-არქიტექტორი მთელს ისტორიაში, რომელმაც ასეთ აღიარებას მიაღწია, რემ კოოლჰაასი - ყველაზე პოპულარული ახალგაზრდებს შორის თავისი წიგნებისა და ინოვაციური პროექტების გამო (რომელთა შორის ერთ-ერთი უკანასკნელი პრადას კოლექციის მოძრავი გამოფენაა), პაოლო პორტოგეზი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული არქიტექტურული გამოფენის გაჩენა ბიენალეზე და რიჩარდ ბარდეტი - წლევანდელი ექსპოზიციის კურატორი. ეს იყო უნიკალური საშუალება ახალგაზრდა არქიტექტორებისა და პრესის წარმომადგენლებისათვის დაესვათ აქტუალური შეკითხვები და მოესმინათ მეტრების პოზიცია ქალაქთან მიმართებაში. თანაც ეს საუბრები ისეთი უშუალო და საინტერესო იყო, რომ ბევრ ლექციას ჯობდა. ერთი სირთულე არსენალეს თეატრის მცირე ზომა იყო, რაც არ აძლევდა საშუალებას ყველა მსურველს მოხვედრილიყო დარბაზში. გარეთ დარჩენილი სტუდენტები კარებთან ელოდნენ არქიტექტორებს, რათა იქ გაეგრძელებინათ პოლემიკა ქალაქის თემაზე.

### ქალაქები, არქიტექტურა, საზოგადოება

ძირითადი გამოფენა **"ქალაქები, არქიტექტურა და საზოგადოება"**, ფოკუსირდებოდა იმ საკვანძო პრობლემებზე, რომელიც დღევანდელი დიდი ქალაქების მეტროპოლიების წინაში დგას - მიგრაციიდან, მდგრად განვითარებამდე.

300-მეტრიანი დარბაზი მასპინძლობდა 4 კონტინენტის 16 ქალაქს: შანხაი, ბომბეი, ტოკიო, კარაკასი, მეხიკო, სან პაულო, ლოს ანჯელესი, ნიუ იორკი, იოჰანესბურგი, ქაირო, სტამბული, ლონდონი, ბარსელონა, მილანი, ტურინი. გამოფენა საოცრად შთამბეჭდავი იყო თავისი მასშტაბებით, დასმული ამოცანებითა და მიწოდების ეფექტური ხერხებით. აქ მისი უდიდებულესობის, ქალაქის სრულ ტყვეობაში იმყოფებოდი.

თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით (აუდიო-ვიზუალური ეფექტები, კინოპროექცია, ჰალოგრამა, ინსტალაცია, თუ უკვე "ჩვეულებრიბი" სივრცითი სამგანზომილებიანი მაკეტები) შექმნილი აუტენტური "ფოტოგრაფია" ურბანული სიტუაციის და არქიტექტურული სამყაროსი, სადაც ერთმანეთს ენეცვლებოდა ნიუ იორკი, ბომბეი, კარაკასი, ტოკიო და შენც საშუალება გქონდა გემოგზაურა ოთხივე კონტინენტზე, თანამონაწილე გამხდარიყავი ამ დიდი ქალაქების ცხოვრებისა, გეფიქრა მათ პრობლემებზე. ძალაუნებურად მსოფლიო მოქალაქის განცდაც გიჩნდებოდა და რიჩარდ ბარდეტთან ერთად ეძებდი პასუხს შეკითხვებზე, თუ როგორი მომავალი ექნება ქალაქს?

აქვე არსენალეზე წარმოდგენილი იყო ჩვენი დროის ცნობილი ოსტატების **რენცო პიანოს** და **ნორმან ფოსტერის** ძალიან საინტერესო გამოფენა-პროექტი, - **ქალაქი ქალაქში** - მილანის ხვალინდელი დღე დღეს - იდეალური დასახლების მოდელი მილანისთვის: ახალი საცხოვრებელი რაიონი, შექმნილი როგორც ქალაქი ქალაქში, ხედვა 21-ე საუკუნის არქიტექტურული გარემოსი.

საერთოდ, მთელი ექსპოზიცია და ერთიანობა ყველა გამოფენის, მიწოდების მრავალმხრივი ხერხები, სხვადასხვა მულტიმედია საშუალებები და ეფექტები, ექსპოზიციის ახალი სამეტყველო ენა, მასალის მიწოდების არაორდინალურობა, ხელოვნების სხვადასხვა დარგის სინთეზი (ასე სახასიათო თანამედროვე ხელოვნებისათვის), თეატრალურობა, ინსტალაციებისა და პერფორმანსების პრივალირება, მხოლოდ გიძლიერებდა ნანახის განცდას და ნელ-ნელა ამ პრობლემების ეპიცენტრში ექცეოდი, სხვადასხვა ქალაქის სატკივარსა თუ მომავლის იდეებს ითავისებდი და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობაც გიძლიერდებოდა. ალბათ სწორედ ეს იყო მთავარი ჩანაფიქრი ამ გამოფენის ორგანიზატორების.

**პავილიონების ინაგურაციებიდან** ყველაზე უფრო ლუქსემბურგის, საფრანგეთის და ჩინელი არქიტექტორის მი კიუს პავილიონის გახსნა დამამახსოვრდა, თუმცა თავისთავად ბევრი პავილიონი მომეწონა.

ჩინელმა არქიტექტორმა ძველი ქალაქის, ტონგ ლის (რომელიც იუნესკოს პატრონაჟის ქვეშ იმყოფება), ექვსათასწლოვანი განვითარების სურათი წარმოადგინა. ეს პროექტი საოცარი აღმოსავლური გემოვნებით და საკუთარი კულტურის დიდი სიყვარულით გამოირჩეოდა. ეს იყო ფიქრი ტრადიციულ კულტურაზე, მისი მრავალმხრივი კვლევა, წარმოჩენა, ისტორიული ქალაქის დღევანდელი ფუნქციის გააზრება და ახალი მოდელის შეთავაზება. ჩინური არქიტექტურის პირველსაწყისების ანალიზი კედელზე, დინასტიების მიხედვით, საოცარი ხალხური მუსიკა, წყლის ავზი ნამდვილი წითელი თევზებით და ვიზუალური პროექცია "ორდინარული ქალაქური ცხოვრებისა". ეს ყველაფერი ერთობლიობაში საოცრად გხიბლავდა და დიდ ინტერესსაც გიჩენდა ამ არქიტექტურის მიმართ. ეს იყო მარტივი და დახვეწილი მოდელი ისტორიული ქალაქის მდგრადი განვითარებისა, სადაც ახალი ორგანულ კავშირს ამყარებს კულტურულ და ბუნებრივ გარემოსთან. ეს კონცეფცია, ვფიქრობ ძალიან საინტერესოა საქართველოსათვის, სადაც ისტორიული ქალაქების განვითარება კრიზისულ სტადიას განიცდის.

ლუქსემბურგის პავილიონი, რომელსაც "მოინახულეთ სამოთხე" ერქვა, თეატრალიზებული აქციით გაიხსნა: კლასიკური მუსიკისა და საოპერო არიების თანხლებით (ცოცხალი შესრულება) მიმდინარეობდა საბალეტო დადგმა ვენეციით გამოწვეული ასოციაციების თემაზე, სადაც წამყვანი ადგილი ოტელოსა და დეზდემონას სიყვარულის ამბის გაცოცხლებას ეთმობოდა. როგორც საწყისი ადგილი შექსპირის ტრაგედიისა (ოტელოს პირველი აქტი), ვენეციიდან იგი ინაცვლებდა კულტურულ ასოციაციათა სფეროში და პროვოცირებას ახდენდა ფიქრისა კულტურათა დიალოგის შესახებ, რომელიც სხვადასხვა ენის მიუხედავად ყველასათვის გასაგები შეიძლება იქნას (მიმართვის ტექსტი, რომელსაც პავილიონის კურატორი კითხულობდა, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ და ჩინურ ენაზე ჟღერდა).

საფრანგეთის პავილიონი - კოლაბორაციული პროექტი, რომლის ავტორი ცნობილი თანამედროვე ფრანგი არქიტეტორი პატრიკ ბუშანი იყო, აერთიანებდა არქიტექტორის, მხატვრების, სტუდენტების, ინჟინრების, ბოტანიკოსების და მზარეულის ნამუშევარს. ეს იყო მეტაფორა სახლისა, რომელიც შენი საკუთარი და ამავე დროს, საზოგადო შეიძლება იყოს. თავისი ინსპირაციით ეს პავილიონი მართლა ბევრი ადამიანისათვის სახლად იქცა. "ყველა ეპოქა ამ იმიჯის (სახლის და ქალაქის) საკუთარ ვარიაციას ქმნის.

ესაა ადგილი შეკითხვებისა და ადგილი პროგრესისა. იგი ქმნის სამუშაო ადგილს მრავალი ადამიანისათვის, რომელთაც უნდაც ქმედება და ამავე დროს აძლევთ მათ საშუალებას ჯგუფის ნაწილად იგრძნონ თავი", - ამბობს პატრიკ ბუშანი. და მართლაც 25-კაციანი ახალგაზრდების ჯგუფი აქვე ცხოვრობდა, აკეთებდა საჭმელს, გთავაზობდათ დასალევს. ზედა სართულზე მოთავსებული იყო შხაპები და რეალური საუნა, აქვე იყო ბოტანიკოსებთან ერთად გაშენებული ბაღი და პატარა აუზი... მთელი მიკრო სამყარო, სადაც ყოველთვის იყო კარი ღია სტუმართათვის - აქ შეძლებდი დასვენებას და ფიქრს არქიტექტურაზე, ან უბრალოდ პავილიონების დათვალიერებით დაღლილი საკუთარ სახლში იგრძნობდი თავს.

რუსეთის პავილიონი (რომლის შენობა შჩუსევის მიერაა აგებული 1914 წელს) ჩემი სტუდენტობის პერიოდის ყველა ახალგაზრდა არქიტექტორის კუმირის, ალექსანდრ ბროდსკის ინსტალაციას წარმოადგენდა - "დასახლებული პუნქტი". ბროდსკი და უტკინი ე.წ. ქაღალდის, კონცეპტუალური არქიტექტურის ფუძემდებლები, მრავალი საერთაშორისო პრემიის ლაურეატები და 80-ანი წლების არქიტექტურული ახალგაზრდობის ლიდერები იყვნენ. ბროდსკი ხელოვნებაში როგორც არქიტექტორი მოვიდა და დაუბრუნდა არქიტექტურას, როგორც ხელოვანი. ვირტუალური ოფორტების მერე სკულპტურასა და მულტიმედიურ ინსტალაციებზე გადაერთო. ამ მხრივ ბროდსკის პოეტური ნიჭი უნიკალურია. დღევანდელი ინსტალაცია თავისუფლად შეიძლება გამოფენილიყო ხელოვნების ბიენალეზე. წარმოდგენილი პროექტი (მისი გარკვეული გაგებით) - ესაა სივრცე ყოველდღიური ცხოვრების და მისი თემაა მახსოვრობა. ეს პერსონალური მახსოვრობაა: ადგილის, არქიტექტურის, წიგნების, ამბების, ყოფის. ქალაქი ბროდსკისათვის მახსოვრობის ინსტრუმენტია. წარმოდგენილი პროექტი გულწრფელი, სახუმარო და ირონიული ინტერპრეტაციაა საცხოვრებელი ერთეულისა ქალაქში, დასახლებულ პუნქტში თავისი უნიფორმით და ყოველდღიური რიტუალებით.

ეს ერთგვარი რომანტიული სევდაა, სევდა დაკარგული ქალაქის, ან დაკარგული უდარდელობის, ან სევდა მარტოობისა ამ ქალაქსა და სამყაროში. სამყაროში, რომელიც ტექნიკურ ინოვაციებზეა ორიენტირებული და სადაც პატარა ოთახია დარჩენილი პოეზიისა და არქიტექტურისათვის. ცარიელ პატარა ოთახში სკამი, მაგიდა, საწოლი და ფანჯარაა მხოლოდ. ფანჯარაში კი ხედი (ამჟამად ვენეციის) - ერთგვარი სურათი "ორდინარული ადამიანის საცხოვრებელი გარემოსი".

ამ რამოდენიმე პავილიონის გარდა, გამოფენაზე ძალიან ბევრი იყო საინტერესო: გერმანელებს ჰქონდათ გრანდიოზული პროექტი დაფუძნებული მცირე დეტალების ტრანსფორმაციაზე ქალაქში - იდეა ძველი სივრცეებისათვის ახალი ფუნქციის მინიჭებისა; იაპონელებს - ტერანობუ ფუჯიმორის, რომელიც მსოფლიოში ერთადერთ სიურეალისტ არქიტექტორადაა აღიარებული, - პროექტი "იაპონური ქალაქების უცნობი არქიტექტურა" (ბუნებრივი მასალისგან აგებული სიურეალისტური არქიტექტურა). პავილიონიც უჩვეული იყო: ფეხზე იხდიდი და როგორც სახლში, ისე შედიოდი. ინგლისელებმა მოულოდნელად ეკოლოგიური პრობლემა და მცირე ქალაქების თემა წამოწიეს შეფილდის მაგალითზე. დანიელმა ახალგაზრდა არქიტექტორებმა, კი ინტერესის ცენტრი ჩინეთში გადაანაცვლეს - მათ კოლაბორაციული პროექტი ჰქონდათ და იმედოვნებდნენ, რომ ეს ჩანაფიქრი რეალობადაც იქცეოდა. ბერძნებმა თავიდან მოახდინეს დეფინიციების შემოტანა და ქალაქის გენეზისზე ორიგინალურად ისაუბრეს ბერძნული კუნძულების მაგალითზე. მოკლედ, ჟარდინიში ქალაქთან დაკავშირებული პრობლემების მთელი კალეიდოსკოპი იყო წარმოდგენილი.

გამოფენიდან მოვდიოდი და ვფიქრობდი ჩემი ქალაქის, თბილისის პრობლემებზე, და ერთმანეთს ენაცვლებოდა ძველი ქალაქის ხედები, რიყე, აბანოთუბანი, კალა, მე-19 საუკუნის ქალაქი თუ ახალი მშენებლობა. ვფიქრობდი, როგორ ნელ-ნელა ინგრევა და ნადგურდება ისტორიული განაშენიანება, როგორ მიმდინარეობს ქალაქის სტრუქტურის რღვევა, რომ ვერ (და არ) ხერხდება ისტორიულ ქალაქში მშენებლობის რეგულირება, რეკონსტრუქცია; ვფიქრობდი იმაზე, თუ რამდენად აქტუალურია ისტორიული და ურბანული ძეგლების, და თავად ქალაქის სახის შენარჩუნების პრობლემა და რაოდენ მნიშვნელოვანია ფიქრი მის ორგანულ განვითარებაზე, მის მომავალზე (ანუ ქალაქის ცენტრის განვითარების კონცეფციის და ზოგადად ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმის არსებობა), ფიქრი ქართული არქიტექტურის ხვალინდელ დღეზე, რომელიც მოახერხებს ქართული არქიტექტურის სამეტყველო ენის შენარჩუნებას და დროის შესასტყვისი სივრცითი ფორმების შექმნას და მეუფლებოდა სევდა იმაზე, რომ ვერ მოვახერხეთ ამ პრობლემების აქტიურად გაჟღერება გამოფენაზე.

ალბათ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს შემდგომ გამოფენებზე მოხდება, რადგანაც ჩვენ ჯერ პირველ ნაბიჯებს ვდგამთ მსოფლიო არქიტექტურულ სამყაროსთან ინტეგრაციის გზაზე და ვფიქრობ, ქართული არქიტექტურა თავის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით და დიდი პოტენციალით გაარღვევს ამ ბარიერს და შემდგომ გამოფენებზე ჩვენთვისაც შესაძლებელი გახდება დროის და დასმული ამოცანებისადმი ადეკვატური გამოხმაურება, არსებული ინფორმაციული ვაკუუმის დაძლევა და მსოფლიო არქიტექტურულ კონტექსტში ჩართვა.


იაპონური პროექტი


ამერიკული პავილიონი


ფრანგული პავილიონი


მომავლის ქალაქი


სიმჭიდროვის პრობლემა ნიუ-იორკში

## შესწორება

ა.წ. 26 სექტემბრის გაზეთ "24 საათის" 212-ე ნომერში საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში - დევნილთა ორგანიზებულად ჩასახლების ადგილებში შენობა-ნაგებობების სარემონტო აღდგენითი სამუშაოების შესყიდვის შესახებ, მე-2 და მე-10 პუნქტებში გაიპარა უზუსტობა: 5 ლოტის ნაცვლად უნდა იყოს 6 ლოტი.

## განცხადება

ქ.ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ მარტი ტიპის სპორტული მოედნების სარეაბილიტაციო სამუშაობის შესყიდვაზე მ/ წლის 5 სექტემბერს გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოავლინა ინდ.მეწარმე "ნოდარ ჩეჩელაშვილი".

გამარჯვებულ პირთან დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება 2006 წლის 27 სექტემბერს.

*სატენდერო კომისია*

## განცხადება ცვლილების შესახებ

2006 წლის 7 სექტემბერს შპს "საქაერონავიგაციის" მიერ საქართველოს საჰაერო სივრცეში არსებული ტრასების, დერეფნებისა და სამოქალაქო აეროდრომების აფრენა-დაფრენის სექტორში საჰაერო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შპს "საქაერონავიგაციის" საქმიანობის დაზღვევის შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში ცვლილების შესახებ მე-3 და მე-4 პუნქტებში დამატებით შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება: მე-3 პუნქტი - ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 2006 წლის 3 ნოემბრის 17:00-საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია"; მე-4 პუნქტი - პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და პირველადი სატენდერო წინადადება (ფასის) ღირებულების მითითების გარეშე, ერთ დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 3 ნოემბრის 10:00-დან 17:00-საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია".

*სატენდერო კომისია*

## ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 20 სექტემბერს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ხეების გადაბელვისა და მოჭრა-გასხვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 20 სექტემბერს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისში, ხეების გადაბელვისა და მოჭრა-გასხვლისათვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და შესყიდვის ობიექტს დაემატოს 1 ლოტი (პოზიცია):

7. ლოტი - ვაშლიჯვარი, გოძიაშვილის ქუჩა (გეოლოგების დასახლებასთან), წყნეთის ქუჩა, სტუდქალაქის ტერიტორია (ვაკე) - 31 ძირი I კატეგორიის ხის გასხვლა; 122 ძირი II კატეგორიის ხის გასხვლა, 3 ძირი I კატეგორიის ხის გადაბელვა, 1 ძირი ხის მოჭრა;

## ც ვ ლ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 27 სექტემბერს, გაზეთ "24 საათში" (N213) გამოქვეყნებულ განცხადებებში, რომელიც შეეხება E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის აღაიანი-სვენეთის მონაკვეთის რეკონსტრუქციის "წინასაპროექტო გამოკვლევა, გარემოზე ზემოქმედების ანალიზს და განსახლების გეგმას".

**ბოლო აბზაცი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

დაინტერესებულ პირებს აღნიშნული დოკუმენტის ინგლისურ და ქართულ ვერსიებს შეუძლიათ გაეცნონ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე wgeoroad.ge ან მიიღონ ამ დოკუმენტების ასლები საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტში, ან აღაიანის, იგოეთისა და სვენეთის საკრებულოებში.

*სატენდერო კომისია*

## "ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 9 იანვრის N1 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ"

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და "საქართველოს დედაქალაქის-ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 1 მარტის N120 ბრძანებულების 30-ე მუხლის შესაბამისად

**ვბრძანებ:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება "ქალაქ თბილისის მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 9 იანვრის N1 ბრძანებაში და ამ ბრძანებით დამტკიცებული ქ. თბილისის მთავრობის რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. მთავრობის სხდომებს ესწრებიან მთავრობის წევრები. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მთავრობის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ნახევარი (მთავრობის სხდომის ქვორუმი).".

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

*ქ. თბილისის მერი გიორგი უგულავა*

# მთელი ქალაქი - "ქარვასლაში"

მზევინარ ხუციშვილი





"ფოტოგრაფია ერთადერთი ენაა, რომელიც მთელ დედამიწაზე ყველასთვის ერთნაირად გასაგებია", - ამბობს გერმანელი ფოტოგრაფი ჰელმუტ გერნსჰაიმი. ამ სიტყვების დადასტურება იყო 26 სექტემბერს "ქარვასლაში" გახსნილი ექვსი გერმანელის ფოტონამუშევრების გამოფენა. გამოფენას პირობითად "მთელი ქალაქი" ეწოდება (მაქს ერნესტის ერთ-ერთი ნამუშევრის მიხედვით) და იგი თბილისის გოეთეს ინსტიტუტის შუამავლობით, გერმანიის უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტმა (ifa) განახორციელა.

გამოფენა "მთელი ქალაქი" არის გამოფენათა ციკლი, რომელიც გერმანიაში მხატვრულ ფოტოგრაფიას ეძღვნება. იგი წარმოადგენს ექვს ფოტოგრაფს გერმანიიდან, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდან საკუთარი თვალით დანახულ ქალაქს გვთავაზობენ. ეს ფოტოგრაფები ეცნობიან ქალაქურ ცხოვრებას და ტრადიციული ფორმით, ამავე დროს სრულიად ახლებურად წარმოაჩენენ ამ ქალაქების საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების თავისებურებებს. გვიჩვენებენ, თუ როგორია ურბანული ცხოვრება გერმანიის დიდი ქალაქების ცენტრსა და პერიფერიებში. თუმცა ყურადღება იმდენად ქალქურ ცხოვრებასა და ადგილობრივ თავისებურებებზე არ არის გამახვილებული, რამდენადაც იმ ადამინებზე, რომლებიც ამ ქალაქებში ცხოვრობენ. ამ ხალხის სამყარო მათი ყოველდღიურობის ამსახველი დეტალებითაა წარმოდგენილი.

გამოფენაზე ფოტოგრაფიული გამოხატვის ექვსი სხვადასხვაგვარი ფორმაა წარმოდგენილი. ისინი გარკვეუწილად ერთიმეორესთანაა დაკავშირებული, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მათგანი მაინც დამოუკიდებლად შეიქმნა.

ევა ბერტრამი გვთავაზობს თავის ფოტოპროექტს "ბარიკადები". ეს არის ცალკეული დეტალები დაბრკოლებებით აღსავსე ყოველდღიური სიტუაციებიდან. ფოტოგრაფი გვიჩვენებს ქალაქის გარეუბნებს, ეზოებსა და შიდა სივრცეებს. ასახავს ისეთ მდგომარეობას, სადაც ადამიანი როგორც ფიზიკურად, ისე მენტალურად ჩაკეტილი და ალყაში მოქცეულია.

მარია ზევცი წარმოგვიდგენს თავის სერიულ ნაშრომს. მისი ფოტოებისგან შექმნილი სურათები ღია და ვიზუალურ დიალოგებს ქმნიან ერთმანეთთან. ერთი გარკვეული ადგილი ქალაქში სხვა ადგილის ასოციაციას იწვევს, მაგრამ ერთად ისინი დასრულებულ სურათს არ იძლევიან. მისგან განსხვავებით, ანდრეას როსტი ეძებს ისეთ მომენტს, სადაც რეალობა თავისთავადაა წარმოდგენილი. მისი სერიის ძირითადი თემა ადამიანია, მისი აფექტური მდგომარეობა და ადამიანური ცდუნებები. ამ ადამიანთა სახლების ინტერიერში იხედება ბერლინში მცხოვრები იაპონელი ფოტოგრაფი ტომო იამაგუჩი, სადაც მას საშუალება ეძლევა შეისწავლოს ევროპული კულტურა.

ულრიხ ვიუსტი ბერლინის ცენტრს ტრანზიტულ ადგილად აღიქვამს. მისი ფოტოები ასახავენ არა ადამიანებს, არამედ იმ სახლებსა თუ შენობებს, რომლებთანაც ადამიანებს თავიანთი ცხოვრების განმავლობაში გარკვეული რამ აკავშირებთ. მიუნხენში მცხოვრები უნგრელი ფოტოგრაფი კი აკვირდება, თუ როგორ "იზრდება" ადამიანი. მისი მთავარი თემაა არა მათი სოციალური მდგომარეობა, არამედ ჩამოყალიბებული პიროვნება.

სამწუხაროდ, ექვსი ფოტოგრაფიდან მხოლოდ ულრიხ ვიუსტი იყო გამოფენაზე. სწორედ მან გახსნა იგი: **"ამ გამოფენამ მრავალი ქვეყანა მოიარა. ძირითადად აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნები: ქაირო, რამალა და სხვა ქალაქები. ყველგან ინტერესით მიიღეს, თუმცა ასეთი ორგანიზებული და კარგი პირობები არსად ყოფილა. ნამუშევრები ერთ დიდ დარბაზშია გამოფენილი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან უფრო შთამბეჭდავი და საინტერესოდ აღსაქმელია".**

ულრიხ ვიუსტი ქართველი ფოტოხელოვანებისთვის ჩაატარებს ვორკშოპს "ქალაქი და მისი არქიტექტურა". გამოფენა 9 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

# რომ არ დაგვავიწყდეს

### გელა ჩქვანავას "ტორეადორების" პრეზენტაცია რუსეთის საელჩოსთან

ია ვეკუა




ამ წიგნის წერა გელა ჩქვანავამ ათი წლის წინ დაიწყო და წლების განმავლობაში წერდა, თუმცა მისი გამოცემა მხოლოდ წელს გადაწყვიტა, რადგან მიიჩნია, რომ ნაწარმოები უკვე მზად არის იმ მკითხველთან შესახვედრად, ვისაც ყველაზე მეტად აინტერესებს, რა ხდებოდა 13 წლის წინ აფხაზეთში. "ტორეადორების" პრეზენტაცია 27 სექტემბერს - სოხუმის დაცემის დღეს რუსეთის საელჩოს წინ გაიმართა, რაც იმთავითვე მოწმობდა, რომ ჩქვანავას წიგნი პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა იყო.

წიგნი გამომცემლობა "დიოგენეს" მიერაა დასტამბული და ორენოვანია. რუსული თარგმანის ავტორი გურამ გვინჩიძეა, ქართულისა კი, ცხადია, გელა ჩქვანავა - პირველი "პენ-მარათონის" გამარჯვებული, "საბას" ლაურეატი საუკეთესო დებიუტისთვის და არაერთი საინტერესო წიგნის ავტორი.

**გელა ჩქვანავა:** "ნაწარმოები ორ ქართველ მებრძოლზეა, რომლებიც რამდენიმე დღით მტრის ზურგში აღმოჩნდებიან და სიცოცხლისთვის იწყებენ ბრძოლას. მინდოდა მკითხველისთვის მეჩვენებინა, რომ მეომრები არ არიან აგრესიული ადამიანები და მათაც იძულებით აიღეს ხელში იარაღი. მათი ადგილი არ არის ამ ომში, საბოლოოდ კი თავიანთი სიკვდილით პროტესტს გამოხატავენ ამ ყველაფრის მიმართ. ის, რომ წიგნის პრეზენტაცია რუსეთის საელჩოსთან გაიმართა, სიმბოლურია. არავის არ უნდა დაგვავიწყდეს, რეალურად რა მოხდა ამ ომში".

აფხაზეთის ომის დასრულების შემდეგ თანამედროვე მწერლებს ხშირად აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ ისინი თავს არიდებდნენ ომის თემას. მათი პასუხი უმეტეს შემთხვევაში ცალსახა იყო - დრო უნდა გავიდეს, ყველაფერი უნდა გავაანალიზოთ, გავიგოთ, რა მოხდა სინამდვილეში. რამდენიმე წლის შემდეგ მართლაც გამოჩნდა რამდენიმე ნაწარმოები აფხაზეთის თემაზე. გელა ჩქვანავა კი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ყველაზე რეალურ ამბავს გამოიგონებს.

გელა ჩქვანავას წიგნის პრეზენტაციის პარალელურად რუსეთის საელჩოსთან სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებული საპროტესტო აქციაც მიმდინარეობდა, რომლის მონაწილეები კიდევ ერთხელ შეახსენებდნენ რუსებს მათ როლს აფხაზეთის ომში. აქციის ორგანიზატორი გამომცემლობა "დიოგენესთან" ერთად ინტერნეტ ჯგუფი "RE:აქცია" იყო, რომელიც უკვე რამდენიმე წელია ამ სახის აქციას ატარებს.

აქციას რამდენიმე ძირითადი მიზანი ჰქონდა: ყურადღება გამახვილებულიყო კონფლიქტის ზონაში არსებულ სიტუაციაზე და მისი მოგვარების დაჩქარებაზე, რუსეთის "სამშვიდობო მისიის" უმოქმედობაზე, ასევე ახალქალაქიდან და ბათუმიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის პროცესზე საზოგადოების მხრიდან კონტროლის საჭიროებაზე.

ივერია მოტორსი



■ ახალი ავტომობილები ხელსაყრელ ფასებში
■ გარანტიით
■ თვითმცლელები, სატვირთოები, სპეცავტომობილები, მაღალი ტვირთამწეობის, მრავალღერძიანი ევრო-2, ევრო-3-ის სტანდარტების.

მისამართი: ქ. თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო, გუდაუთის ქ. N7. ტელ: 34-60-03, 34-16-50; მობ.: 899 51 30 49

## განცხადება

*მთაწმინდა-კრწანისის რაიონის საბინაო ფონდის შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერის საფუძველზე 2006 წლის 13 სექტემბერს ხელშეკრულება გაფორმდა შ.პ.ს. "მშენებელი-89"-სთან, რომელიც ძალაშია 2006 წლის 31 დეკემბრამდე.*

***მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობის სატენდერო კომისია***

## განცხადება განახლებული ტენდერის შესახებ

გაცნობებთ რომ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ ა/წ 12 ივნისს გამოცხადდა ტენდერი ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე: თემა - "კულტურული მემკვიდრეობის ანალიტიკურ-საინფორმაციო სივრცის შექმნა" მეორე ეტაპის პროცედურები განახლდა "სახელმწიფო შესყიდვების" სააგენტოს მიერ 2006 წლის 6 სექტემბრის N7 ოქმის გადაწყვეტილებით, რის საფუძველზეც შეწყვეტილია მიმდინარე წლის 22 აგვისტოს გამოცხადებული განმეორებითი ტენდერი ზემოაღნიშნულ თემაზე.

ახალი გადაწყვეტილების მისაღებად სატენდერო კომისიის სხდომა გაიმართება მიმდინარე წლის 2 ოქტომბრის 15 საათზე.

## სს "ჭიათურმანგანუმის" განცხადების გასწორება

ა.წ. 31.08.06 გაზეთ "24 საათის" 192-ე ნომერში სს "ჭიათურმანგანუმის" გამოცხადებულ განცხადებაში ნაცვლად "აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს განცხადების გამოქვეყნებიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში 10-დან 17 საათამდე" უნდა იკითხებოდეს: "აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველთა განცხადების მიღება მიმდინარეობს განცხადების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში 10-დან 17 საათამდე".

■ დღეს ქალების რაოდენობა ადგილობრივ თვითმმართველობაში 12 % არ აღემატება

ხმა მიეცით ქალებს!

გააძლიერე ქალით ქართული პოლიტიკა

■ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები თანაბარი შესაძლებლობები და უფლებებია ქალისა და მამაკაცისათვის

საინფორმაციო კამპანიის მხარდამჭერია პროექტი "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში"

www.genderandpolitics.ge



# აფიშა

**28 სექტემბერი**

კინო

**"ამირანი"**

**დიდი დარბაზი**
"მაიამის პოლიცია"
დასაწყისი: 14.00; 22.00
"მსოფლიო სავაჭრო ცენტრი"
დასაწყისი: 17.00; 19.30
**მცირე დარბაზი**
"სახლი ტბის პირას"
დასაწყისი: 18.00; 20.00; 22.00

**"რუსთაველი"**

"მსოფლიო სავაჭრო ცენტრი"
დასაწყისი: 14.30
"ჩემი ყოვლისშემძლე შეყვარებული"
დასაწყისი: 17.00; 18.45; 20.30; 22.15

გალერეა

**"ქარვასლა"**

"მთელი ქალაქი"
გერმანიის უცხოეთთან ურთიერთობის ინსტიტუტის ფოტოგამოფენა

**"ჰობი"**

შერეული გამოფენა

**"ვერნისაჟი"**

თენგიზ და გიორგი მირზაშვილების გამოფენა

**ხელოვნების მუზეუმი**

გია ბულაძის პერსონალური გამოფენა
ფერწერა

# თბილისელი ბელგიელი - "წლის ახალგაზრდა მხატვარი"

ლია თოფურია

2006 წლის 19 სექტემბერს ქართველი მხატვარი, ბრიუსელის სამეფო აკადემიის მაგისტრი მარიამ ზალდასტანიშვილი ბელგიის ფრანგულენოვანი საზოგადოების პარლამენტის მიერ დაწესებული პრემიის - "წლის ახალგაზრდა მხატვარი" - ლაურეატი გახდა. ახალგაზრდა მხატვართა კონკურსს ბელგიის ფრანგულენოვანი საზოგადოების პარლამენტი 1994 წლიდან ატარებს. წელს კონკურსში 70 კანდიდატი მონაწილეობდა. ცნობილი მხატვრებითა და ხელოვნებათმცოდნეებით დაკომპლექტებულმა თერთმეტკაციანმა ჟიურიმ კონკურსის დასკვნითი ეტაპისთვის ხუთი მხატვარი შეარჩია და მათი ნამუშევრები პარლამენტის შენობაში გამოფინა. საბოლოოდ, ჟიურის გადაწყვეტილებით, 2006 წლის მთავარი პრემია ქართველ მხატვარს ერგო. ჯილდო მარიამ ზალდასტანიშვილს, საზეიმო ღონისძიებაზე მოწვეული საპატიო სტუმრების თანდასწრებით, ბელგიის ფრანგულენოვანი საზოგადოების პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა ჟან-ფრანსუა ისტასმა პირადად გადასცა.



La Libre BELGIQUE

AUJOURD'HUI, DANS LA LIBRE, SUPPLÉMENT SPÉCIAL SICAV

MARIAM ZALDASTANISHVILI a remporté le Prix "Jeunes Artistes" 2006 du Parlement de la Communauté française (catégorie "peinture et dessin" cette année), pour son oeuvre "9 contours". D'origine et de nationalité géorgienne, cette jeune femme de 24 ans a obtenu en 2006 sa licence en Arts plastiques visuels et de l'espace à l'Académie royale des Beaux-Arts de Bruxelles. Le jury a voulu encourager la sincérité et le potentiel de cette artiste, et le travail de confrontation du volume à la spatialité de "9 contours". ■

როგორც ბელგიური გაზეთი "ა იბრე ელგიქუე" ა.წ. 20 სექტემბერს აღნიშნავს, ამ გადაწყვეტილების მიღებისას ჟიური ქართველი მხატვრის გულწრფელი მიდგომისა და დიდი შემოქმედებითი პოტენციალის, აგრეთვე, სივრცისა და მოცულობისადმი მისი ორიგინალური დამოკიდებულების მხარდაჭერის სურვილით ხელმძღვანელობდა.

ამ სასიამოვნო ამბის გაგების შემდეგ "24 საათი" ბრიუსელში დაუკავშირდა მარიამს და გაესაუბრა მას.

**- რამდენი ხანია, რაც ბელგიაში სწავლობ?**

- 2000 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიის მეორე კურსის სტუდენტი ბელგიაში ჩამოვედი და სამეფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის სახელოსნოში განვაგრძე სწავლა. 2003 წელს გრაფიკის სპეციალობით პირველი დიპლომი მივიღე. შემდეგ კი "ხელოვნების პრაქტიკასა და თეორიაში" მაგისტრის ხარისხი მოვიპოვე. 2004-2006 წლებში წიგნის ილუსტრაციის სპეციალობით ვსწავლობდი და გასულ ივნისს წიგნის ილუსტრაციის სპეციალობით მეორე დიპლომი მივიღე.

**- კონკურსის შესახებ ცოტა უფრო დაწვრილებით მოგვიყევი.**

- ბელგიის ფრანგულენოვანი საზოგადოების პარლამენტი, 1994 წლიდან მოყოლებული, გამორჩეულ ხელოვანს ყოველწლიურად "წლის ახალგაზრდა მხატვრის" პრემიით აჯილდოებს.

ოთხწლიანი როტაციის პრინციპით, პრემია შემდეგ დისციპლინებს ენიჭება: ქანდაკება, ფერწერა და გრაფიკა, ფოტოგრაფია და ბეჭდვითი ხელოვნება და დიზაინი.

წლევანდელი პრემია ფერწერასა და გრაფიკას მიეკუთვნა.

70 კანდიდატიდან ბელგიელი მხატვრებითა და ხელოვნებათმცოდნეებით დაკომპლექტებული თერთმეტკაციანი ჟიურის ყურადღება ხუთი მხატვრის ნამუშევრებმა მიიპყრო. მათ რიცხვში მეც გახლდით.

სექტემბერში ბრიუსელში, ბელგიის ფრანგულენოვანი საზოგადოების პარლამენტის შენობაში, ჩვენი ჯგუფური გამოფენა გაიმართა. გამოფენის გახსნაზე პარლამენტის სხდომათა დარბაზში შედგა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. ჟიურის გადაწყვეტილებით, 2006 წლის "ახალგაზრდა მხატვართა" პრემიის ლაურეატი მე გავხდი.

**- რას ნიშნავს ეს ჯილდო შენთვის, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ის შენი შემდგომი მოღვაწეობისთვის?**

- ეს ჩემთვის დიდი სტიმული და დიდი პასუხისმგებლობაცაა. სასიამოვნოა, როდესაც საყვარელ საქმეში ჩადებულ შრომას კომპეტენტური პროფესიონალები გიფასებენ. ადამიანებმა, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, ჩემს კომპეტენციაში არც მომავალში უნდა შეიტანონ ეჭვი. ეს კი ჩემი მხრიდან დიდ შრომასა და გარკვეულ თავდადებას მოითხოვს.

**- მომავალში რას აპირებ?**

- მინდა ბელგიაში ყოფნის დარჩენილი დრო თბილისისა და ბრიუსელის სამხატვრო სასწავლებლებს შორის სამომავლო თანამშრომლობის ხელშესაწყობად გამოვიყენო. ასევე მინდა საქართველოში სახვითი ხელოვნების სფეროში კონკურსების პრაქტიკის განვითარებას ჩავუყარო საფუძველი (ევროპული მაგალითის მიხედვით). საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიცი, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სტუდენტისა თუ ახალგაზრდა ხელოვანისთვის კომპეტენტური ჟიურის მაღალი შეფასება, დამსახურებული ჯილდო.

რაც შეეხება ჩემს პირად საქმიანობას, დეკემბერში ბელგიური გამომცემლობა "*ტანდემი*" ჩემი ორი წიგნის (ჩემივე ტექსტითა და ილუსტრაციებით) მცირეტირაჟიან გამოცემას გეგმავს.

2007 წელს ლუქსემბურგი ევროპის კულტურის ფესტივალის მასპინძელია. ფესტივალი პროექტ "ლუქსემბურგი და ხუთი რეგიონის" ფარგლებში ხორციელდება და მომდევნო წლის განმავლობაში კულტურის სფეროში სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას ისახავს მიზნად. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად ჩემი ნამუშევრების გამოფენაც მოიაზრება.

ასევე ვთანამშრომლობ საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან. ვცდილობ, ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანო "ევროპის პირველი მოსახლეების" შესახებ ახალი კატალოგის შექმნაში. საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან თანამშრომლობა ჩემთვის უაღრესად დიდი პატივია.

# მიუნხენის საოპერო ფესტივალი

2007 წლის მიუნხენის საოპერო ფესტივალის მთავარ მოვლენად მუსიკის კრიტიკოსები მიიჩნევენ მუსორგსკის ოპერა "ხოვანშჩინას", რომელშიც პაატა ბურჭულაძე თავის ერთ-ერთ საყვარელ პარტიას - დოსიფეის იმღერებს. აღსანიშნავია, რომ რუსმა რეჟისორმა დიმიტრი ჩერნიაკოვმა კლასიკური ოპერა თანამედროვე პოლიტიკურ ტრილერად აქცია.

ამავე ფესტივალზე შედგება ახალგაზრდა ქართველი სოპრანოს ანა კიკნაძის დებიუტი, რომელიც ვერდის "ლუიზა მილერში" მთავარ პარტიას შეასრულებს. მას პარტნიორობას გაუწევენ თანამედროვეობის ცნობილი მომღერლები რამონ ვარგასი, კარლოს კოლომბარა და პაოლო გავანცი.

აღსანიშნავია, რომ წელს მიუნხენის საოპერო ფესტივალზე პაატა ბურჭულაძემ რეჟისორ დორის დერის მიერ დადგმულ ავანგარდისტულ "რიგოლეტოში" სპარაფუჩილეს პარტია შეასრულა.

ამავე ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ოპერა "ბედისწერის ძალა", რომელშიც მონაწილეობდა ევროპაში აღიარებული ქართველი სოპრანო იანო ალიბეგაშვილი. მისი არტისტული ფსევდონიმი იანო თამარი კარგადაა ცნობილი მელომანებისთვის. ვერდის ამ ნაკლებად პოპულარულ ოპერაში იგი ლეონორას პარტიას ასრულებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ოპერისა და ბალეტის თეატრი

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეკონსტრუქცია მომავალ წელს დაიწყება და, სავარაუდოდ, 2009 წლისთვის უნდა დასრულდეს. თეატრის განახლებულ შენობას, სულ მცირე, 60 წლის საექსპლუატაციო ვადა ექნება. ამის შესახებ თეატრის ტექნიკურმა დირექტორმა ზურაბ ლომიძემ განაცხადა. მისივე თქმით, თითქმის მზადაა რეკონსტრუქციის პროექტი, რომელსაც მთლიანად "ქართუ-ჯგუფი" დააფინანსებს.

პროექტის თანახმად, მთლიანად მოდერნიზებული იქნება თეატრის სცენის მექანიზმი, გახმოვანება და განათების სისტემა. ამოქმედდება ახალი სარეპეტიციო დარბაზები. V-VI სართულები მთლიანად საბალეტო დასს დაეთმობა.

"საუკეთესო პირობები შეექმნება თეატრის ორკესტრს. მათთვის დამონტაჟდება ახალი სარეპეტიციო ორმო, რათა ხმის ნიველირება მოხდეს. დღემდე მათ ჩვეულებრივ დარბაზში უწევდათ რეპეტიციების გავლა. რესტავრაცია ჩაუტარდება ფოიეს, დარბაზს. შეიცვლება კომუნიკაციებისა და განათების სისტემები", - განაცხადა ლომიძემ.

მისივე თქმით, მექანიზაციებთან და ტექნიკასთან დაკავშირებულ საქმიანობას ძირითადად უცხოელი სპეციალისტები შეასრულებენ. წინასწარ დათვალიერებაში გერმანელი და შვედი სპეციალიტები მონაწილეობდნენ.

თეატრის ახლანდელი შენობის პროექტის ავტორია ლერი მეძმარიაშვილი, რომელმაც თეატრის შიდა სტრუქტურა 35 წლის წინ მოაწყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ახალი ქართული დოკუმენტური ფილმი

ოქტომბერში დაიწყება ახალი ქართული დოკუმენტური ფილმის "მესხების კუნძულის" გადაღება, რომელიც იმერეთისა და გურიის რეგიონში ჩასახლებული ე.წ. თურქი მესხების ყოფა-ცხოვრებას ასახავს.

როგორც ფილმის ავტორმა მანანა ლოლაძემ აღნიშნა, ფილმში უმთავრესად ადგილობრივ მოსახლეობასთან მესხების ინტეგრაციის პრობლემა გაშუქდება. პარალელურად კი მათი ყოფა, კულტურა და ტრადიციები წარმოჩინდება.

"მიუხედავად იმისა, რომ მესხები გურიასა და იმერეთში 80-იანი წლებიდან ცხოვრობენ, მათი სრული ინტეგრაცია დღემდე არ მომხდარა. ფილმის მიზანი არ არის პრობლემის პოლიტიკურ ჭრილში განხილვა. უბრალოდ, ფილმში აისახება ამ ხალხის კულტურა, ტრადიციები და ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება", - განაცხადა ლოლაძემ.

მისივე თქმით, ფილმს გადაიღებენ ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალსა და სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთში.

"მესხების კუნძული" წლის ბოლომდე დასრულდება და მისი პრეზენტაციაც გაიმართება.

პროექტი ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## განცხადება

2006 წლის 16 ნოემბერს, 13 საათზე, ქ. თბილისში, 300 არაგველის ქ. №24-ში, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართება საგურამო-წითელი ხიდის მაგისტრალური გაზსადენის სამუშაო-ტექნიკური პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია საქართველოს 700 მმ-იანი მაგისტრალური გაზსადენის საგურამო-წითელი ხიდის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. თბილისი 300 არაგველის ქ. №24-ში;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, ქ. თბილისი გულუას ქ. №6;
- სამეცნიერო-კვლევითი ფირმა "გამა"-ს ოფისში, ქ. თბილისი მერაბ ალექსიძის ქ. №9 ა.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 15 ნოემბრის 18 საათამდე.

***საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დირექცია***

თბილისის მერია და საკრებულო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული ეკონომისტი, ღირსების ორდენის ორგზის კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე

**ვლადიმერ პატეიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



"საქართველოს ბანკი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა "საქართველოს ბანკის" დამფუძნებელი და წლების განმავლობაში მისი პრეზიდენტი ბატონი **ვლადიმერ პატეიშვილი**.

ვლადიმერ პატეიშვილმა დიდი ამაგი დასდო "საქართველოს ბანკის" განვითარებას და წარმატებულ საფინანსო ინსტიტუტად ფორმირებას. ხანგრძლივი დროის პერიოდში ბატონი ვლადიმერი უცვლელად ხელმძღვანელობდა "საქართველოს ბანკს". მისი ინიციატივით არაერთ საინტერესო წამოწყებასა და პროექტს ჩაეყარა საფუძველი, რამაც "საქართველოს ბანკი" ავტორიტეტულ და მოწინავე საფინანსო ორგანიზაციად აქცია.

"საქართველოს ბანკი" გულისტკივილს გამოთქვამს ბატონი ვლადიმერ პატეიშვილის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.




**"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით**

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით (40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39



**სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge





24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



„ტოიოტა" მალე პირველი გახდება **B3**

ვაქირელები ყურძენზე ფასის აწევას ისევ აქციებით ცდილობენ **B2**

Nissan-ის და Renault-ის ალიანსი Ford-თან მოლაპარაკებას აპირებს



**B3**

## კმაყოფილი მინისტრი და უკმაყოფილო კახელები

ყურძნის მოსავალი წელს 20 პროცენტით ნაკლებია

მარიამ ჭაჭვაძე

*„რთველი 2006" კახეთში დასასრულს უახლოვდება. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია - რუსული ემბარგოს მიუხედავად, წელს გლეხები ყურძნის რეალიზაციას სერიოზული პრობლემების გარეშე ახერხებენ, თუმცა კახელები საბაზრო ფასით მაინც უკმაყოფილოები არიან.*





**B2**

## საქართველოში ნავთობის მოპოვება შემცირდა

სახელმწიფო ნავთობკომპანიამ და კონტრაქტორებმა შვიდ თვეში 7 ათასი ტონა ნედლი ნავთობი მოიპოვეს

ნინო ნატროშვილი

*ნავთობი რაც უფრო მსუბუქია და ამტანობის მეტი ხარისხი გააჩნია, მსოფლიო ბაზარზე მით უფრო ძვირად ფასობს. ამ მხრივ ქართული ნავთობი ერთ-ერთი საუკეთესოა - აქვს დაბალი ხვედრითი წონა და ე.წ. „ბრენდის ტიპის" ჯგუფს განეკუთვნება. არსებობს მძიმე, დაბალი ხარისხის ნავთობი, რომელიც „ურალის ტიპის" ჯგუფშია გაერთიანებული. მას რუსეთში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში მოიპოვებენ. ამ ქვეყნების საბადოებიდან ამოღებული ნავთობისაგან განსხვავებით, ქართული „შავი ოქრო" ლონდონის ბირჟაზე 1,5 დოლარით უფრო ძვირად იყიდება.*



**B4**

## მიმზიდველი და იაფი პორტუგალიური ქონება

გოჩა ქიმუცაძე

*პორტუგალია საკმაოდ პატარა ქვეყანაა, კერძოდ, მისი ფართობი 92391 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, მოსახლეობა კი 10 მილიონზე ოდნავ მეტია, რომელთაგან ქალაქებში - 35 პროცენტი, დანარჩენი კი სოფლად ცხოვრობს. ამასთან, ევროპული პარამეტრების მიხედვით, პორტუგალია ნაკლებად განვითარებული ქვეყანა გახლავთ. კარგა ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ეს სახელმწიფო ძლიერი მეტროპოლია იყო და კოლონიებიდან სიმდიდრე უხვად შემოსდიოდა. ჰოდა, პორტუგალია ევროპულ სამრეწველო მონსტრებს გვარიანად ჩამორჩა, თუმცა ამ ქვეყნის ეკონომიკა ბოლო დროს მაინც საკმაოდ ნორმალური ტემპით ვითარდება. განსაკუთრებით საკურორტო ბიზნესი ყვავის - ყოველწლიურად ქვეყანა 2 მილიონამდე უცხოელ ტურისტს მასპინძლობს. პორტუგალია ხომ უზარმაზარი და მშვენიერი ზღვისპირა ზოლით, შესანიშნავი პირობებით და დაბალი ფასებით არის განთქმული.*



**B3**

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3083 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9823 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4731 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7375 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8114 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1323 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2969 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3032 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2150 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4165 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3341 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1461 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1493 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2988 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1886 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2473 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4022 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5596 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1648 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4478 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3143 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2664 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5589 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5837 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0650 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,0964 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4531 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5136 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4135 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4694 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8100 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0086 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1369 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4416 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2385 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4026 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0779 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2195 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2232 |



### კახეთში 140 ტონამდე ყურძენის მოსავალი მოვიდა

სოფლის მეურნეობის მინისტრის მიხო სვიმონიშვილის ინფორმაციით, "კახეთში 90 ათასი ტონა ყურძენი უკვე დაბინავებულია და სეზონის დასრულებამდე დარჩენილი 45 ათასი ტონა ყურძნის დაბინავებაც მოესწრება, მით უმეტეს, რომ სათანადო მოთხოვნა უკვე არსებობს," - აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხო სვიმონიშვილი.

მინისტრის შეფასებით, კომპანიებმა პრეზიდენტის დავალება კარგად შეასრულეს და მთავრობას ყურძნის დაბინავებაში დიდი დახმარება გაუწიეს.

"მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელთან შედარებით კახეთში ყურძნის მოსავალი 20 პროცენტით ნაკლები, სამაგიეროდ, ხარისხი იყო გაუმჯობესებული და კარგი ყურძნიდან წარმოებული ღვინო საუკეთესო იქნება," - მიიჩნევს სვიმონიშვილი.

შეგახსენებთ: კახეთში ყურძენს სხვადასხვა ფასი ჰქონდა და მისი ღირებულება 30-50 თეთრის ფარგლებში მერყეობდა. ხოლო წითელი საუკეთესო ჯიშის ყურძნის ღირებულება კი 0,7-1,2 ლარი იყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

### რაჭაში 4-5 ათასი ტონა ყურძნის მოსავალს ელიან

კახეთში რთველის დასრულების შემდეგ ყურძნის ჩაბარების საგანგებო შტაბი რაჭაში გადაინაცვლებს და მუშაობას იქ გააგრძელებს. ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა მიხო სვიმონიშვილმა სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მინისტრის ინფორმაციით, რაჭაში, სავარაუდოდ, 4-5 ათასი ტონა ყურძენი იქნება დასაბინავებელი, რაც სამინისტროს გათვლებით იმდენივეა, რაც კახეთის ერთ სოფელში მოწეული ყურძენი. როგორც სვიმონიშვლმა განმარტა, ყურძნის ფასის განსაზღვრაში კახეთის მსგავსად რაჭაშიც არ ჩაერევა.

### ქართული თხილისა და დაფნის ფოთლის ექსპორტი ევროპაში მნიშვნელოვნად გაიზრდება

ქართული თხილისა და დაფნის ფოთლის მწარმოებლები პროდუქციის ექსპორტს ევროპის ბაზარზე მნიშვნელოვნად გაზრდიან. ამის შესახებ დასკვნას პროექტ AgVANTAGE-ის ექსპერტები აკეთებენ, რომლებიც 16-20 სექტემბერს პოლონეთში გამართულ სოფლის მეურნეობის საერთაშორისო გამოფენის შედეგებს ემყარებიან.

20-მდე პოლონურმა და ევროპულმა კომპანიებმა გამოფენაზე წარმოდგენილი ქართული პროდუქციის, განსაკუთრებით კი, თხილისა და დაფნის შეძენის დიდი ინტერესი გამოთქვეს. ექსპერტთა განცხადებით, ამ დაინტერესების და არაერთი კონტრაქტის გაფორმების საფუძველი თხილის ფასმა და ხარისხმა განაპირობა, რის შედეგადაც წლის ბოლომდე საქართველოდან ევროპაში დამატებით ექსპორტირებული იქნება 600 ტონა სხვადასხვა სახეობის თხილი.

AgVANTAGE-ს ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მომავალი წელს სეზონზე დაფნის ფოთოლზე დაკვეთა 300 ტონას მიაღწევს. გამოფენაზე ასევე ყურადღება მიექცა ქართულ ჩაის, აჯიკასა და ღვინოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოდან განხორციელებულმა ექსპორტის მოცულობამ 248 968,8 ათასი აშშ დოლარი შეადგინა

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საქართველოდან მსოფლიოს ქვეყნებში განხორციელებულმა ექსპორტის მოცულობამ 248 968,8 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, განხორციელებული ექსპორტიდან დსთ-ს ქვეყნებზე 119 188,6 ათასი აშშ დოლარი მოდის, ევროკავშირის ქვეყნებზე - 38 461,8 ათასი, სხვა ქვეყნებზე - 91 318,4 ათასი დსთ-ს ქვეყნებს შორის საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის მოცულობით თურქმენეთი ლიდერობს - 44 494,5 ათასი აშშ დოლარი. მეორე ადგილს, 23 091,8 ათასი აშშ დოლარით, სომხეთი იკავებს, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი - 20 218,4 ათასი დოლარით. რუსეთში განხორციელებულმა ექსპორტის მოცულობამ 10 154,2 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. დსთ-ს ქვეყნებს შორის საქართველოდან განხორციელებული ექსპორტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მოლდოვაზე მოდის. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში 60,1 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოდან რუსეთში განხორციელებული ექსპორტის მოცულობა 33 მილიონი აშშ დოლარით შემცირდა

მიმდინარე წლის მეორე კვარტალში საქართველოდან რუსეთში განხორციელებული ექსპორტის მოცულობამ 10 მილიონ 154 ათას 200 აშშ დოლარი შეადგინა და ის, პირველ კვარტალთან შედარებით, 33 მილიონ 614 ათას 400 ლარით შემცირდა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, რუსეთთან ექსპორტის შემცირება მინერალური და ალკოჰოლური სასმელების რუსულ ბაზარზე შეტანის აკრძალვამ განაპირობა.

სტატისტიკური მონაცემებით, თუ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპორტის მოცულობა მთელს მსოფლიოში 46 მილიონ 2 ათას 600 აშშ დოლარს შეადგენდა, მეორე კვარტალში იგი 20 მილიონ 787 ათას 400 აშშ დოლარით შემცირდა და 25 მილიონ 215 ათას 200 აშშ დოლარი შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოში საიმპორტო ნავთობის ღირებულება გაიზარდა

საქართველოში საიმპორტო ნავთობპროდუქტებზე ფასები გაიზარდა. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირიდან აცნობეს.

კავშირის ცნობით, 2006 წლის 27 სექტემბერს საერთაშორისო ფასები ერთ ტონა ნავთობპროდუქტებზე, რომლითაც საქართველოში იმპორტი ხორციელდება, შეადგენს: ბენზინი (Premium Gasoline 50 PPM) 520.25 (+ 17.75); ნაფთა (NAFTA) 478.75 (+ 4.25); ნავთი (Jet Fuel (max)) 582.00 (+ 15.00); **დიზელი (Gasoil.0.2%) 536.25 (+ 8.75);** მაზუთი (Maze) 255.50 (+ 7.25); **ნავთობი (Brand) 58.43 (+ 0.86) ბარელზე;** ნავთობი (Urals) 56.54 (+ 0.92) ბარელზე.

კავშირის ინფორმაციით, მსოფლიოში ნავთობზე ფასები შემცირდა - 26 სექტემბერს მსოფლიოს წამყვან ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე IPE Brent Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 60,12 (-0,68) აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო Light Sweet Crude ტიპის ნავთობის ფასმა ბარელზე 61,01 (-0,44) აშშ დოლარი. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ვაქირელები ყურძენზე ფასის აწევას ისევ აქციებით ცდილობენ

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირის მოსახლეობამ გუშინ საპროტესტო აქცია გამართა. მათი პროტესტის მიზეზი სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ვაქირულას ჯიშის ყურძენზე გაკეთებული განცხადებები და ამ ყურძენზე დაბალი ფასის დაწესება გახდა.*



ვაქირელი ვახტანგ ნანობაშვილი, უკვე მრავალი წელია, მამაპაპისეულ ვენახს უვლის. როგორც იგი ამბობს, მან სწორედ ვაზიდან აღებული მოსავლით ასწავლა შვილებს და დააოჯახა. კახელების უმრავლესობის მსგავსად, ყურძენი ნანობაშვილის ოჯახისთვისაც საარსებო წყაროა. წელს კი ბატონმა ვახტანგმა არ იცის, მოწეული მოსავალი ვის ჩააბაროს, რადგან საწარმოები იმის ნახევარსაც არ იხდიან, რაც მან ვენახს დაახარჯა. როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, ამაზე იგი ხმას არ ამოიღებდა, რომ არა თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება გურჯაანში გამართულ პრესკონფერენციაზე: იმ შემთხვევაში, თუ ვინმე რთველის მიმდინარეობაზე აუგს იტყოდა ან აქციებს მოაწყობდა, იგი მათ დაჭერით ემუქრებოდა. ვაქირელები "რთველის გენერალს" აქციით პასუხობენ. **"სანამ რთველი დაიწყებოდა, ოქრუაშვილი იყო მოსული და გვაიმედებდა, რომ ჩვენი ყურძენი 40 თეთრი ეღირებოდა და მას ქარხნები უპრობლემოდ ჩაიბარებდნენ. მაგრამ საქმე-საქმეზე რომ მიდგა, ქარხნებმა ყურძნის მიღებაზე უარი გვითხრეს, ოქრუაშვილი კი აღარ გამოჩენილა. როცა საწარმოები ყურძნის მიღების გუნებაზე დადგნენ, მოსავალი უკვე განახევრდა,"** - ამბობს ვახტანგ ნანობაშვილი.

სოფლის მეურნეობის სამინისტრო და პრეზიდენტის რწმუნებული ამბობენ, რომ პრეტენზია, რის გამოც ვაქირელები აქციებს მართავენ, უსაფუძვლოა, რადგან ამ ტერიტორიებზე გაშენებული ვაქირულას ჯიშის ყურძენი ჰიბრიდია (ამის შესახებ "24 საათი" ორი კვირის წინ წერდა) და იგი ღვინის წარმოებაში აკრძალულია. **"ადრე, როცა საფერავის ჯიში იშვიათობა იყო, ქარხნები ვაქირულას იბარებდნენ და საფერავად ასაღებდნენ. ეს სწორედ ერთ-ერთი მიზეზია, რის გამოც რუსეთმა თავის ბაზარზე ემბარგო დაგვიწესა. ამას კი ახლა აღარ დავუშვებთ,"** - ასე განუმარტავდა გლეხებს პეტრე ცისკარიშვილი.

**"ასეთ გაუგებრობასა და ქაოსში მედიკო მეზვრიშვილმა ჩაგვაგდო და პასუხიც მან უნდა აგოს. ჰიბრიდი მან დაარქვა ჩვენს ყურძენს. და თუ ამ ყურძნით სამწამლავი მზადდება, მაშინ მთელი რუსეთი ამოწყვეტილი უნდა იყოს,"** - ამბობს ვაქირელი თემურ ხატიაშვილი.

აქცია რამდენიმე საათს გაგრძელდა, თუმცა უშედეგოდ. იმ შემთხვევაში, თუ ვაქირელებს საწარმოებმა დაწესებულ 20 თეთრზე მეტი თანხა არ გადაუხადეს, ისინი საპროტესტო აქციების გამართვას კვლავაც გეგმავენ.

# კმაყოფილი მინისტრი და უკმაყოფილო კახელები

პირველი გვერდიდან

კახეთში რთველის დასრულებამდე დაახლოებით ერთი კვირაა დარჩენილი, თუმცა უკვე თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ წლევანდელი რთველი მნიშვნელოვანი ექსცესების გარეშე ჩაივლის. არადა, იმის ალბათობა, რომ ღვინის ქარხნები წელს კახელი გლეხებისგან ყურძენს საერთოდ არ შეისყიდდნენ, საფუძველს მოკლებული არ იყო, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ წელს, და სავარაუდოდ, მომავალ წელსაც ქართული ღვინისთვის რუსული ბაზარი დახურული იქნება.

სოფლის მეურნეობის "რთველი 2006"-ის ცენტრალური შტაბის კოორდინატორის გიორგი ცხაკაიას ინფორმაციით, ამ დროისთვის 60 ათას ტონამდე ყურძენია დაკრეფილი, აქედან 30 ათასზე მეტი ღვინის მწარმოებელმა კომპანიებმა და ქარხნებმა შეისყიდეს. **"დაკრეფილი ყურძნის 65 პროცენტზე მეტი რქაწითელზე მოდის, დანარჩენი კი - საფერავზე. საერთო ჯამში წელს კახეთში შარშანდელზე ნაკლებ მოსავალს უნდა ველოდოთ,"** - დასძინა გიორგი ცხაკაიამ "24 საათთან" საუბრის დროს.

რთველის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ კეთდებოდა პროგნოზი, რომ წელს კახეთში 170 ათასი ტონა ყურძენი უნდა დაკრეფილიყო. თუმცა ახლა უკვე ირკვევა, რომ წლევანდელი მოსავალი 130 ათას ტონას არ გადააჭარბებს. გიორგი ცხაკაია ამ სხვაობას წლევანდელი ზაფხულის ხანგრძლივი გვალვებითა და სექტემბერში რამდენჯერმე მოსული სეტყვით ხსნის.

მისივე თქმით, პრეზიდენტის მიერ ბიზნესმენებისთვის მიცემულ დავალებას დღემდე 200-მდე კომპანია გამოეხმაურა. მათ მთლიანობაში 3 ათას ტონაზე მეტი ყურძენი შეისყიდეს გლეხებისგან და როგორც გიორგი ცხაკაია ამბობს, კერძო სექტორის მიერ ყურძნის შესყიდვის პროცესი კიდევ გრძელდება. **"ყველაზე სასიხარულო ის არის, რომ ბიზნესკომპანიები ძალიან აქტიურობენ, ზოგიერთი მათგანი ათობით ტონა ყურძენს ყიდულობს. სწორედ ამიტომაც ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ წელს არც ერთი კილო ყურძენი გაუყიდავი არ დარჩება,"** - ასეთ ოპტიმისტურ განცხადებას შტაბის კოორდინატორი აკეთებს.

ყურძნის რეალიზაციაზე მეტად კახელებს ამ პროდუქტის ფასი აღელვებთ. გლეხები ამტკიცებენ, რომ წელს ქარხნები ყურძენს ყველაზე დაბალ ფასებში ყიდულობენ. ფასით უკმაყოფილო ზოგიერთი გლეხი ვენახების გაჩეხვით იმუქრება. **"წელს პირველად აღმოიფხვრა ის მანკიერი ტენდენცია, რომ ყურძნის ფასებს სახელმწიფო ამტკიცებდა. ფასი წელს ბაზარმა თავად დაარეგულირა. წელს სახელმწიფო მხოლოდ რთველის ორგანიზაციით შემოიფარგლა,"** - თავის მხრივ, თავს იმართლებს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი.

ცნობისათვის: წელს 1 კილო "რქაწითელის" მინიმალური ფასი 28 თეთრი დაფიქსირდა, მაქსიმალური - 60 თეთრი, ხოლო "საფერავის" - 80 - 1.20 თეთრი.

"რთველი 2006"-ის ცენტრალური შტაბისგან განსხვავებულ ინფორმაციას ავრცელებს თავად სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მან განაცხადა, რომ კახეთში, უკანასკნელი მონაცემებით, დაახლოებით 80 ათასი ტონა ყურძენია დაკრეფილი, საიდანაც 35 ათასი ტონა ღვინის ქარხნებმა შეისყიდეს. **"დაახლოებით ასეთივე რაოდენობის ყურძენი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში კერძო პირებმა გაიტანეს. 30 ათასი ტონა ყურძენი კი გლეხებმა საკუთარი მეურნეობისთვის დაიტოვეს,"** - აღნიშნა მინისტრმა.

სვიმონიშვილის თქმით, კახეთში დასრულების შემდეგ რთველი რაჭაში მალევე დაიწყება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინასწარი მონაცემებით, ამ რეგიონში დაახლოებით 3-4 ათასი ტონა ყურძენი მოიკრიფება. ვარაუდობენ, რომ რთველი კახეთში ერთ კვირაში, 5 ოქტომბრისთვის დასრულდება.

ამ დღეებში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ღვინის ქარხნები, ძირითადად, საკუთარ ვენახებში მოწეულ ყურძენს ამუშავებენ, გუშინ მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს კატეგორიულად უარყო. სვიმონიშვილი აღიარებს, რომ წელს, შარშანდელთან შედარებით, ყურძნის მოსავალმა როგორც კახეთში, ისე მთლიანად საქართველოში, 20 პროცენტით იკლო. თუმცა წლევანდელი მოსავალი გაცილებით ხარისხიანია. საერთო ჯამში, მიხეილ სვიმონიშვილი "რთველი 2006"-ის შედეგებით ცალსახად კმაყოფილია.

მთავრობის გუშინდელ სხდომაზე მან მადლობა გადაუხადა იმ კერძო კომპანიებს, რომლებიც პრეზიდენტის ინიციატივას გამოეხმაურნენ.

# ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოში 250 მლნ ევროს ღირებულების 30 ახალ პროექტს განახორციელებს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭო საქართველოში ბანკის მუშაობის ახალ სტრატეგიას ორ კვირაში განიხილავს. ამის შესახებ ჟურნალისტებს ბანკის ბიზნეს-ჯგუფის ხელმძღვანელმა ოლივიე დეკამმა განუცხადა.

მისი თქმით, ახალი სტრატეგია საქართველოში ბანკის ოთხ პრიორიტეტს განსაზღვრავს.

ოლივიე დეკამის განცხადებით, პირველი პრიორიტეტი ენერგეტიკაა, რაშიც ენერგოეფექტურობა, ენერგოუსაფრთხოება და ენერგომატარებლების ტრანზიტი იგულისხმება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მეორე პრიორიტეტი საქართველოს რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარება გახდება. ამ სფეროში ძირითადი ინვესტიციები მუნიციპალურ საწარმოებში ჩაიდება, რომლებიც ნარჩენების გადამუშავებითა და წყალმომარაგებით არიან დაკავებული.

ევროპის ბანკის მესამე პრიორიტეტს აგროსამრეწველო კომპლექსში, ტურიზმისა და მომსახურების სფეროში მომუშავე ადგილობრივი საწარმოების მხარდაჭერა წარმოადგენს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მეოთხე და მთავარი პრიორიტეტი საქართველოს საბანკო სექტორთან თანამშრობლობაა. ევრობანკი ქართულ ბანკებს გაფართოებასა და კონსოლიდაციაში დაეხმარება.

ოლივიე დეკამმა აღნიშნა, რომ მომავალ წელს, ევროპის ბანკი საქართველოში 250 მლნ ევროს ღირებულების 30 ახალი პროექტის რეალიზაციის დაწყებას გეგმავს.

*პრაიმ-ნიუს ბიზნესი*

### მთავრობამ 2007 წლის ბიუჯეტის პარამეტრები მოიწონა

მთავრობამ 2007 წლის ბიუჯეტის პარამეტრები მოიწონა, რომელიც ოქტომბრამდე პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეგზავნება. ფინანსთა მინისტრის მოადგილის ლაშა გოცირიძის განმარტებით, 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრები 3 900 მილიონი იქნება. იმავდროულად შემოსავლები 350 მილიონით გაიზრდება. "მიუხედავად იმისა, რომ 1 სექტემბრიდან ახალი საბაჟო კოდექსი ამოქმედდა და ზოგიერთი საბაჟო გადასახადი გაუქმდა, ამ კუთხით 2007 წელს ბიუჯეტს 160 მილიონი დაჯდება, თუმცაღა მთავრობაში ვიმედოვნებთ, რომ 2007 წლის ბოლოს შემოსავლების მატება 350 მილიონი იქნება," - განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ლაშა გოცირიძემ. გოცირიძის ინფორმაციით, სოციალური სფერო მილიარდი ლარით დაფინანსდება. აქედან სკოლების რეაბილიტაციისათვის 150 მილიონი ლარია გამოყოფილი. თავდაცვის სამინისტრო მთლიანობაში 393 მილიონით დაფინანსდება, ხოლო შსს - 246 მილიონი ლარით. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის სხვადასხვა მიმართულებით დაახლოებით 700 მილიონი დაიხარჯება, სადაც გზების რეაბილიტაციისათვის 550 მილიონამდეა გათვალისწინებული. ხოლო ენერგეტიკის სექტორის რეაბილიტაცია 2007 წლისათვის 100 მილიონით დაფინანსდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ე.წ სამხრეთ ოსეთსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის გაზსადენის მშენებლობა უპრეცედენტო რელიეფურ პირობებში განხორციელდება

ე.წ სამხრეთ ოსეთსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის გაზსადენის მშენებლობის დაწყება წლის ბოლომდე იგეგმება. ამის შესახებ განცხადება მხარეებს შორის გამართულ შეხვედრაზე გაკეთდა. "შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მშენებლობის დაწყებამდე ყველა საკითხი კომპლექსურად უნდა გადაწყდეს, ვინაიდან მაღალმთიან რაიონებში მშენებლობა უნიკალური მოვლენაა," - ნათქვამია ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლების პრესსამსახურის განცხადებაში. პროექტი 163-კილომეტრიანი გაზსადენის აგებას ითვალისწინებს, რომლის 92,8-კილომეტრიანი მონაკვეთი ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე განთავსდება. მისი დაფინანსებითვის ფედერალური ბიუჯეტიდან 500 მილიონი რუბლი გამოიყოფა. სამუშაოებს სააქციო საზოგადოება "პრომგაზი" ახორციელებს. გაზსადენზე 11 გაზგამანაწილებელი სადგური, 4 ტექნოლოგიური გვირაბი და 22 მდინარეზე გადასასვლელი დამონტაჟდება. გაზსადენი ზღვის დონიდან 3 ათასი მეტრის სიმაღლეზე უნდა დამონტაჟდეს. ანალოგიურ რელიეფზე მუშაობის გამოცდილება მსოფლიო პრაქტიკას არ გააჩნია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოში 33 მცირე ჰესი ლიცენზიის გარეშე იმუშავებს

"ელექტროენერგიისა და გაზის" შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, მცირე ჰიდროელექტროსადგურებს უფლება მიეცათ, ელექტროენერგია ლიცენზირების გარეშე და თავისუფალი ტარიფებით აწარმოონ. საქართველოს ელექტროენერგიის მარეგულირებელი კომისიის ინფორმაციით, აღნიშნული შეღავათები ხელს შეუწყობს ინვესტორების მოზიდვას მცირე ჰესების მშენებლობაში ინვესტირების ჩასადებად. ცნობისთვის, საქართველოში სულ 33 მცირე ჰესია და მათი სიმძლავრე 10 მეგავატს არ აღემატება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ბათუმში ახლო მომავალში ორი ახალი ქარხანა ამოქმედდება

ბათუმში ქიმიურ-ფარმაცევტული და ელექტრომექანიკური ქარხნები ახლო მომავალში ამოქმედდება, - აცნობეს პრაიმ-ნიუს ბიზნესს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტიდან. "აღნიშნულ ქარხნებში 400-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება. გარდა ამისა, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში ამოქმედდება ციტრუსკომბინატი, მუშაობას შეუდგება ციტრუსების გადამამუშავებელი კომპანია "ნარინჯი" და ციტრუსის რეალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემა მთლიანად მოგვარდება," - აცხადებენ დეპარტამენტში. აღნიშნული წყაროს ცნობით, კომპანია "ნარინჯი" არა მხოლოდ გადაამუშავებს ციტრუსებს, არამედ დააფასოებს მას და ქართულ ხილს მსოფლიო ბაზარზე გაიტანს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## Time Warner-მა AOL France-ის გაყიდვა გადაწყვიტა

მსოფლიოს უმსხვილესმა მედიაკომპანიამ, ამერიკულმა Time Warner-მა თავისი ევროპული ბიზნესის რესტრუქტურიზაციის ფარგლებში შვილობილი კომპანია AOL-ის ფრანგული ქვეგანყოფილების ფირმა Neuf Cegetel-ისათვის მიყიდვა გადაწყვიტა. სავარაუდოდ, გარიგების ღირებულება 365 მილიონ დოლარს შეადგენს. Neuf Cegetel -ი ფიქსირებული სატელეფონო კავშირის სიდიდით მეორე ფრანგული ოპერატორია. გარიგების განხორციელებას საფრანგეთის მთავრობის ნებართვა სჭირდება, რის მიღებასაც, სავარაუდოდ, ორი თვე დასჭირდება. Time Warner-ის ხელმძღვანელობა აპირებს, AOL France-ის რესურსები ონლაინ სერვისებისა და კონტექსტური სარეკლამო სისტემის განვითარებას მოახმაროს და უარი თქვას ევროპაში სატელეფონო და ინტერნეტ-მომსახურებაზე. შეგახსენებთ, რომ Time Warner-მა AOL-ის გერმანული განყოფილება ერთი თვის წინ Telecom Italia-ს მიყიდა. სამომავლოდ კი AOL-ის ბრიტანული ფილიალის გასხვისებასაც აპირებს.

## აზერბაიჯანის ნავთობკომპანია საქართველოში ნავთობპროდუქტების საცალო ვაჭრობის ქსელის შექმნას გეგმავს

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია საქართველოში ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელებას გეგმავს. საქართველოში შეიქმნა შპს "SOCAR Energy Georgia," რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია, იგი საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტებს განახორციელებს.

პირველ ეტაპზე იგეგმება ნავთობპროდუქტების საცალო ვაჭრობის ქსელის შექმნა და უკვე არსებულის შესყიდვა. სწორედ ამ სავაჭრო ქსელის საშუალებით მოხდება აზერბაიჯანული ნავთობპროდუქტების გაყიდვა.

გარდა ამისა, იგეგმება სხვა ეკონომიკური პროექტების განხორციელებაც, თუმცა ყველაფერი მაინც ნავთობს დაუკავშირდება. აღნიშნული პროექტების განხორციელების დროს საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები დასაქმდებიან. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მსოფლიოში ოქროში ჩადებულმა ინვესტიციებმა 129,7 ტონას მიაღწია

2006 წლის განმავლობაში მსოფლიოში ოქროზე მოთხოვნილება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ოქროში ჩადებული ინვესტიციები 19%-ით გაიზარდა და 129,7 ტონას მიაღწია. ფულად გამოხატულებაში ოქროში განხორციელებული ინვესტიციები 75%-ით გაიზარდა და 2,618 მილიარდი დოლარი შეადგინა.ლონდონის ბირჟაზე ჩატარებულმა სავაჭრო გარიგებებმა გასული წლის მაჩვენებელს 47%-ით გადააჭარბა - უნცია ოქროზე 627,41 დოლარი ანუ 26 წლის განმავლობაში სარეკორდო მაჩვენებელი შეადგინა. ამასთან, ოქროზე მაღალმა ფასებმა ხელი შეუწყო მასზე მოთხოვნილების შემცირებას. სტატისტიკის მიხედვით, მიმდინარე წლის მეორე კვარტალში, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ოქროზე მოთხოვნილება 16%-ით შემცირდა.ამავე დროს, თანხაში გამოხატული მოთხოვნილება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 23%-ით გაიზარდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## CredAgro-ოს იტალიურმა სარეიტინგო სააგენტომ მაღალი რეიტინგი მიანიჭა

აზერბაიჯანის არასაბანკო საკრედიტო ორგანიზაციამ CredAgro იტალიის სარეიტინგო სააგენტო Microfinanza-სგან რეიტინგი პირველად მიიღო. ამის შესახებ სააგენტო "ტრენდს" CredAgro-ს დირექტორმა ელდარ ჯაფაროვმა განუცხადა. მისი თქმით, ორგანიზაციამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე მინიჭებული რეიტინგებიდან ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო.

CredAgro-ს მეორე დონის რეიტინგი - BBB მიენიჭა. რეიტინგი აღნიშნულ ორგანიზაციას უმაღლესი მენეჯმენტისთვის, ეფექტური დეცენტრალიზაციისთვის, სხვადასხვა სახის საკრედიტო პროდუქტისთვის და დივერსიფიცირებული საკრედიტო პორტფელის მაღალი ხარისხისთვის მიენიჭა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# მიმზიდველი და იაფი პორტუგალიური ქონება

პირველი გვერდიდან



### ზღვისა და ღვინის ქვეყანა

ბოლო დროს პორტუგალიაში უცხოური კაპიტალის შედინებამ იმატა, რაც ეკონომიკის ზრდამ განაპირობა. ამ დროისათვის ქვეყანაში უძრავ ქონებას თითქმის 350 ათასამდე უცხოელი ფლობს. შესაბამისად, უძრავი ქონების ფასი ნელა, მაგრამ სტაბილურად იზრდება. ექსპერტთა აზრით, მომავალში პორტუგალიური კაპიტალის გაძვირება კვლავაც გაგრძელდება.

ამგვარი პროგნოზის გაკეთების საშუალებას ქვეყანაში არსებული კარგი ეკონომიკური და საინვესტიციო სიტუაცია, უცხოელთა დაინტერესების და ცხოვრების დონის ზრდა განაპირობებს. ასე რომ, შეგიძლიათ ამ ქვეყანაში უძრავი ქონება მშვიდად შეიძინოთ.

მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული მოთხოვნილებით საკურორტო ზონაში არსებული უძრავი ქონება სარგებლობს, ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, პორტუგალიაში დაბალი ფასებია. ამიტომაც არის, რომ უცხოელები პორტუგალიურ ზღვისპირა კურორტებზე უძრავი ქონების შეძენისაკენ ისწრაფვიან.

ნებისმიერ უცხოელს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი რეზიდენტი, პორტუგალიური კანონები უძრავი ქონების შეძენის და ბიზნესის წარმოების სრულ თავისუფლებას აძლევს. მცირე შეზღუდვა სოფლის მეურნეობისათვის, განსაკუთრებით კი, მევენახეობისათვის განკუთვნილ მიწებს ეხება. მოგეხსენებათ, პორტუგალიური ღვინოები განთქმულია მთელს მსოფლიოში და ამ ქვეყანაში მევენახეობას დიდ ყურადღებას აქცევენ.

### შემოსავლიანი საქმე

პორტუგალიაში კაპიტალდაბანდებისას, თავდაპირველად შესაბამის სააგენტოს უნდა მიმართოთ, რომელიც სასურველ ქონებას მისი ღირებულების 1-15 პროცენტის სანაცვლოდ გიპოვნით. ამის შემდეგ, კარგი იქნება, თუ რომელიმე ბანკს მიმართავთ და აღნიშნული ქონების შეფასებას სთხოვთ, რომ ყოველგვარი გაუგებრობა და აგენტისაგან გაცურება, რაც საკმაოდ ხშირი მოვლენაა, თავიდან აიცილოთ. ეს მომსახურება 200-600 ევრო დაგიჯდებათ. ამის შემდეგ საქმეში ჩაერთვებიან იურისტი და ნოტარიუსი. პირველის მომსახურება გარიგების ღირებულების 1-2 პროცენტი, მეორის კი 2-2,5 პროცენტი დაგიჯდებათ. ისინი კონტრაქტს მოამზადებენ, რომელსაც ხელს თქვენ და გამყიდველი მოაწერთ და შემდეგ, გარიგების სრულ რეგისტრაციამდე ბანკში სპეციალურ ანგარიშზე დეპოზიტის სახით გარიგების ღირებულების 10-30 პროცენტს მოათავსებთ. პორტუგალიური კანონების მიხედვით, თუ მყიდველი ვალდებულებებს არ შეასრულებს, დეპოზიტს კარგავს, ხოლო თუ ასე გამყიდველი მოიქცევა, დეპოზიტს ორმაგად აანაზღაურებს. პორტუგალიური კანონების მიხედვით, უცხოელი ადგილობრივ მოქალაქეზე გაცილებით მკაცრად იბეგრება და სახელმწიფო ხაზინას შეძენილი ქონების ღირებულების 15 პროცენტს უხდის. რაც შეეხება ყოველწლიურ გადასახადს, იგი ყველასათვის ერთნაირი, საკმაოდ დაბალია, ქონების ღირებულებაზე გახლავთ დამოკიდებული და 0,4 პროცენტიდან 8 პროცენტამდე მერყეობს. უახლოესი მემკვიდრისათვის ქონების დატოვება ან ჩუქება პორტუგალიაში არ იბეგრება, ხოლო თუ თქვენი საკუთრება ნაკლებად ახლო მემკვიდრეს უნდა გადაეცეს, მაშინ მისი ღირებულების 10 პროცენტის გადახდა მოგიწევთ.

თუ თქვენი ქონების იჯარით გაცემა გსურთ, მაშინ უკვე, ფაქტობრივად, მეწარმედ ჩაითვლებით და მიღებული შემოსავლის 40 პროცენტის გადახდა მოგიწევთ. ხოლო თუ მომავალში საკუთრების გაყიდვა გადაწყვიტეთ, მოგების 15-40 პროცენტი, მისი რაოდენობის მიხედვით, დაიბეგრება.

რაც შეეხება კრედიტს, პორტუგალიური ბანკები მოქალაქეობის ან რეზიდენციის არმქონე პირებზე კრედიტის გაცემისაგან თავს იკავებენ. სამაგიეროდ, ასე არ იქცევიან ოფშორული ბანკების ფილიალები, რომლებიც პორტუგალიაში მრავლადაა და შესაძენი ქონების გარანტიით მისი ღირებულების 65 პროცენტს მაქსიმუმ 20 წლის ვადით მოგართმევენ. საპროცენტო განაკვეთი 6-11 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პორტუგალიაში უძრავი ქონება არცთუ ისე ძვირია. მშვენიერ დედაქალაქ ლისაბონში, მეგაპოლის პორტუში და შედარებით პატარა საკურორტო ქალაქებში 1 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს 500-3000 ევროს ფარგლებში შეიძენთ. განსაკუთრებით სიძვირე ისტორიული მნიშვნელობის უბნებში და პრესტიჟულ საკურორტო ზონებშია, სადაც 1 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის ფასი 1000-დან 7000 ევრომდე მერყეობს. თუ მაინცდამაინც დიდი მოთხოვნილება არ გაქვთ, ზღვის პირას მშვენიერ, მოკრძალებულ ვილას 70-150 ათასი ევროს ფარგლებში შეიძენთ, ხოლო თუ დიდძალ ფინანსებს ფლობთ, მაშინ გაცილებით ძვირი, მილიონი ევროსა და კიდევ მეტის ღირებულების აპარტამენტების ყიდვა შეგიძლიათ.

რაც შეეხება მიწის ნაკვეთს, საკურორტო ზონაში მისი შეძენა 200-2000 ევროს ფარგლებში შეიძლება. მიწის ფასი ტურისტული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობისათვის ხელსაყრელობის მიხედვით მატულობს. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ პორტუგალია საკმაოდ მიმზიდველი გახლავთ, მშენებლობა არცთუ ისე ძვირი დაგიჯდებათ, ქვეყანაში კი ტურისტული ბიზნესი ყვავის და თქვენი საქმე უდავოდ დიდ შემოსავალს მოგიტანთ.

# "ტოიოტა" მალე პირველი გახდება

მერაბ ლორთქიფანიძე





მსოფლიოში სიდიდით მეორე ავტომწარმოებელმა, იაპონურმა კომპანია "ტოიოტამ" გამოაცხადა, რომ 2008 წელს მისი წარმოების მოცულობა 9,8 მილიონ ავტომობილს მიაღწევს. ეს კი იმას მოასწავებს, რომ იაპონური ავტოგიგანტი მსოფლიოს ლიდერობას ჩამოართმევს "ჯენერალ მოტორსს".

"ტოიოტამ" თავისი მიზნის შესახებ ტოკიოში სპეციალურად ჩატარებულ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა. ასეთი ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთების უფლებას კი იაპონური ავტოგიგანტის მარკეტოლოგებს ის გარემოება აძლევს, რომ სტაბილურად იზრდება მათ მიერ წარმოებული ავტომობილების რაოდენობა და ტენდენციაც ისეთია, რომ ზრდის ტემპი არ შემცირდება, თუ არ გაიზარდა.

შეგახსენებთ, რომ "ტოიოტა" მსოფლიოს მეორე ავტომწარმოებელი 2003 წელს გახდა, როცა გაყიდვებით გადაასწრო მეორე ამერიკულ კომპანია "ფორდ მოტორს". თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლა "ფორდიც" და "ჯენერალ მოტორსიც" კრიზისში არიან, ადვილი სავარაუდოა, რომ "ტოიოტა" თავის მიზანს აუცილებლად მიაღწევს.

იმავე პრესკონფერენციაზე "ტოიოტამ" გამოაცხადა, რომ შარშან 8,13 მილიონი ავტომობილის რეალიზება შეძლო, წელს კი გაყიდვები 8,85 მილიონამდე გაიზრდება. ამ მონაცემებში გათვალისწინებულია "ტოიოტას" ჯგუფში შემავალი ორი იაპონური კომპანიის, "ჰინოსა" (სატვირთო ავტომობილები და სპეცტექნიკა) და "დაიჰაცუს" (მცირელიტრაჟიანი ავტომობილები) გაყიდვები. ყველა სიკეთესთან ერთად, კომპანიამ პირველ ფისკალურ კვარტალში, რომელიც 30 ივნისს დასრულდა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სუფთა მოგება 39 პროცენტით გაზარდა. მთლიანობაში კი სუფთა მოგებამ 3,1 მილიარდი დოლარი შეადგინა. ეს მაშინ, როცა "ფორდიც" და "ჯენერალ მოტორსიც" მილიარდობით დოლარს ზარალობენ.

"ტოიოტას" პრეზიდენტი კაცუაკი ვატანაბე იმედოვნებს, რომ მისი კომპანიის მიერ დასახული მიზანი გადაჭარბებით შესრულდება. ოღონდ, "აჩქარებას არ ვაპირებთ. გავიზრდებით ისე, რომ პროპორციულად გავამყაროთ ჩვენი ყველა პოზიცია," - ამბობს ვატანაბე და დასძენს, რომ წარმოების ზრდის პარალელურად, "ტოიოტა" სამუშაო ადგილებსაც მნიშვნელოვნად გაზრდის. კერძოდ, 2010 წლამდე შტატის 8 000 ახალი ინჟინრით შევსებაა დაგეგმილი.

პარალელის გავლება ამჯერადაც უპრიანია - "ჯენერალ მოტორსისა" და "ფორდის" რესტრუქტურიზაციის გეგმები ათეულობით ათასი სამუშაო ადგილის შემცირებას და ათზე მეტი (შესაბამისად, 12 და 14) ქარხნის დახურვას ითვალისწინებს. შესაბამისად, ორივე ამერიკული კომპანია წარმოებასაც შეამცირებს. ისინი იმედოვნებენ, რომ სრულად დატვირთავენ თავიანთ ქარხნებს და ამით მნიშვნელოვნად შეკვეცენ ხარჯებს. შედარებისთვის, ქარხნების სრულად დატვირთვის პრობლემა ნაკლებად აწუხებს "ტოიოტას".

"ტოიოტა" არ მალავს, რომ გაყიდვების ზრდას მეტწილად აზიის ბაზრის (არა იაპონური) ხარჯზე იმედოვნებს. აზიის ბაზარზე კი ყველაზე მნიშვნელოვანი ჩინეთისა და ინდოეთის (უფრო "დაიჰაცუსთვის") სწრაფად მზარდი ბაზრებია. თუმცა, ყოველივე სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იაპონური ავტოგიგანტი არ აპირებს განვითარებას აშშ-სა და ევროპაში. უბრალოდ, ამ ორ ბაზარზე ზრდა შედარებით უმნიშვნელო იქნება. იმავდროულად, "ტოიოტას" მარკეტოლოგები იაპონიის ბაზარზე არანაირ ზრდას არ გეგმავენ .

ანალიტიკოსების აზრით, "ტოიოტამ" დიდი სარგებელი ნახა საწვავზე ფასების უსაშველო ზრდით. საქმე ისაა, რომ იაპონური კომპანიის ავტომობილები საწვავის ეკონომიური მოხმარებით გამოირჩევიან და იმ დროს, როდესაც ამერიკის ბაზარზე მცირდება არაეკონომიური ამერიკული ავტომობილების გაყიდვები, იაპონურებისა, პირიქით - იზრდება.

მსოფლიოში თუ მეორე კომპანია გახდა, "ტოიოტას" აშშ-ში მესამე პოზიცია უკავია. თუმცა ესეც სერიოზული მიღწევაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ აქამდე აშშ-ს ბაზარზე სამი მოწინავე პოზიცია მხოლოდ ამერიკულ კომპანიებს ეკავა. წელს კი "ტოიოტამ" პირველად შეძლო "კრაისლერის" (დაიმლერკრაისლერის ამერიკული შტო) უკან მოტოვება. არადა, ამ უკანასკნელს ეს პოზიცია 1950 წლის შემდეგ უცვლელად ეკავა.

ეგ კიდევ არაფერი, შორს არც ის დროა, როცა "ტოიოტა" აშშ-შიც მეორე უდიდესი ავტომწარმოებელი გახდება - იმ დროს, როცა მსოფლიოს უდიდეს და, რაც მთავარია, გაჯერებულ ავტობაზარზე იაპონური გიგანტის გაყიდვები სტაბილურად იზრდება, "ფორდისა" - მცირდება.

თუ შარშან "ტოიოტას" წილად აშშ-ში გაყიდული ავტომობილების 13,8 პროცენტი მოდიოდა, აგვისტოს მონაცემებით იაპონელთა წილი 16,1 პროცენტამდე გაიზარდა. ზრდა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდება მას შემდეგ, რაც ნოემბერში ამოქმედდება სან ანტონიოში (შტატი ტეხასი) მშენებარე ქარხანა. მეტიც, ერთი კვირის წინ იაპონურმა კომპანიამ ვუდსტოკში (შტატი ონტარიო) საფუძველი ჩაუყარა კიდევ ერთი ახალი ამწყობი ქარხნის მშენებლობას.

ამ ორ ქარხანაში "ტოიოტა" იმ კლასის (პიკაპები და უგზოობის მოდელები) ავტომობილების წარმოებას აპირებს, რომლებიც აშშ-ს ბაზარზე ტრადიციულად დიდი პოპულარობით სარგებლობს. კერძოდ, კომპანია მერმის დაახლოებით 200 000 ცალ პიკაპ "ტუნდრას" გაყიდვას ვარაუდობს. ეს მაშინ, როცა წელს სულ რაღაც 79 000 ცალი "ტუნდრა გაიყიდება.

გარდა ამისა, "ტოიოტა" დიდ ყურადღებას უთმობს თავის ლუქსის კლასის მწარმოებელ შტო "ლექსუსს". კომპანიის მარკეტოლოგების გეგმის მიხედვით, მალე მთელ მსოფლიოში გაყიდული "ლექსუსების" რაოდენობა ნახევარ მილიონს გადააჭარბებს. ეს იმის ნახევარიც არაა, რასაც ამ მარკის ორი მთავარი კონკურენტი, "მერსედეს-ბენცი" და "ბეემვე" ჰყიდის, თუმცა ამ ეტაპზე იაპონურ გიგანტს ეს გარემოება არ აღელვებს.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდა გაგრძელდა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა გაგრძელდა. ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა ნავთობის გაიაფებამ და დოლარის კურსის გამყარებამ. ამასთან, ანალიტიკოსები იმედოვნებენ, რომ ბოლო დროს გავრცელებული დამაიმედებელი მაკროეკონომიკური ინფორმაციების ფონზე ფედერალური სარეზერვო ფონდი ძირითადი საპროცენტო განაკვეთის კვლავ გაზრდის გადაწყვეტილებას არ მიიღებს. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,81 პროცენტით, 11.669,39 პუნქტამდე გაიზარდა. 0,55 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.261,34 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,75 პროცენტით, 1.336,34 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობი კვლავ გაიაფდა

გუშინწინდელი გაძვირების შემდეგ, გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) კვლავ ფასების მცირე კლება დაფიქსირდა.

კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 60,12 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 60,91 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, მისმა ფასმა ოდნავ მოიმატა და 1 მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის (1 ბრიტანული თერმული ერთეული 1055,06 ჯოულს შეესაბამება) ღირებულებამ 4,526 დოლარი შეადგინა.

"შავი ოქროს" გაიაფების მიზეზი გუშინწინდელი გაძვირების შემდეგ მოგების ფიქსაცია და ყველა ის ფაქტორი გახლდათ, რომლებმაც ბოლო დროს ნავთობის ფასის კლება განაპირობა. კერძოდ, როგორც ცნობილი გახდა, ამერიკაში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ისევ საკმარისი მარაგი არსებობს და კვლავინდებურად სიმშვიდეა ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ.

რაც შეეხება ოპეკ-ის მიერ ნავთობის მოპოვების შესაძლო შემცირებას, ამგვარი საფრთხე კვლავ არსებობს და, ანალიტიკოსთა აზრით, რომ არა იგი, "შავი ოქრო" უფრო მნიშვნელოვნად გაიაფდებოდა.

## ძვირფასი ლითონების ფასმა მოიმატა

გუშინ ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქრო 0,2 პროცენტით გაძვირდა და 597,1 დოლარი შეადგინა, რაც უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. ვერცხლის ფასმა 0,17 პროცენტით, 11,495 დოლარი/უნციამდე მოიმატა, პალადიუმი 0,46 პროცენტით, 318,65 დოლარი/უნციამდე გაძვირდა. რაც შეეხება პლატინას, მისმა ფასმა 0,14 პროცენტით მოიკლო და 1 უნციის ღირებულებამ 1131,6 დოლარი შეადგინა.

ექსპერტთა აზრით, ოქროს გაძვირების მიზეზი დოლარის კურსის გამყარება და მსოფლიოს წამყვან ბანკებში ოქროს რეზერვების შემცირების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია გახდა, რამაც მისი შესყიდვებისადმი ინტერესის გაზრდა და, პარალელურად, ვერცხლის გაძვირება განაპირობა. პლატინის გაიაფების მიზეზი კი კვლავინდებურად მოგების ფიქსაცია გახლდათ.

## Nissan-ის და Renault-ის ალიანსი Ford-თან მოლაპარაკებას აპირებს

იაპონური Nissan Motor-ის და ფრანგული Renault-ის ალიანსსა და ამერიკულ General Motors-ს შორის მოლაპარაკებები, უკვე ორ თვეზე მეტია, მიმდინარეობს, მაგრამ მათ შორის კავშირის შექმნა სულ უფრო საეჭვო ხდება. ამიტომაც, ფრანგულ-იაპონური ალიანსი მეორე ამერიკულ ავტოგიგანტ Ford Motor-სთან მოლაპარაკებების დაწყებას გეგმავს. გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკული კომპანიის თავკაცმა უილიამ კლეი ფორდ უმცროსმა Nissan-ის და Renault-ის თავკაცს კარლოს გონს ჯერ კიდევ ერთი თვის წინ შესთავაზა, თუ GM-თან მოლაპარაკებები შედეგს ვერ გამოიღებდა, Ford-თან კავშირის დამყარებაზე ეფიქრა.

აგრეთვე, ცნობილი გახდა, რომ კომპანიების წარმომადგენლები უახლოეს დღეებში შეხვედრას და სიტუაციის განხილვას გეგმავენ. ამასთან, კომპანია Ford Motor-მა განაცხადა, რომ თავისი ევროპული პრემიუმ-კლასის ბრენდების გაყიდვას არ აპირებს. კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ამერიკული ავტოგიგანტი Jaguar-ს, Volvo-ს და Land Rover-ს შეინარჩუნებს. რაც შეეხება Aston Martin-ს, მისი გაყიდვის შესაძლებლობას არ გამორიცხავენ.

## Bacardi-ის 42 Below-ს შეძენა სურს

ალკოჰოლური პროდუქციის განთქმული მწარმოებელი, კომპანია Bacardi სასმელების მწარმოებელი ახალზელანდიური კომპანია 42 Below-ს შეძენას გეგმავს. როგორც ცნობილი გახდა, Bacardi 91 მილიონი დოლარის გადახდას აპირებს, ეს კი 42 Below-ს ერთ აქციაზე 0,5 დოლარს ნიშნავს, რაც საბაზრო ღირებულებას 35 პროცენტით აღემატება.

თუმცა, ექსპერტთა ვარაუდით, ამ გარიგების შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ კომპანიის აქციების კურსი საგრძნობლად აიწევს.

გავრცელებული ინფორმაციით, Bacardi-ის უკვე განუცხადეს თანხმობა ჯეფ როსმა, გრანტ ბეიკერმა, სტივენ სინკლერმა და დევიდ რაიტმა, რომლებიც 42 Below-ს აქციების 53 პროცენტს ფლობენ. როსის განცხადებით, Bacardi-ის წყალობით 42 Below ჭეშმარიტად მსოფლიო ბრენდი გახდება.

## EBRD-ი საქართველოში სულ უფრო აქტიურდება




*გუშინ "თი-ბი-სი ბანკში" ამერიკის სავაჭრო პალატის, აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) წარმომადგენლებისა და ქართველი ინვესტორების მონაწილეობით სემინარი - "კავკასიის ბაზრის გაფართოება: მრავალმხრივი ფინანსური და აშშ-ს სამთავრობო დახმარება" - გაიმართა.*

შეხვედრაზე უცხოელმა სტუმრებმა ადგილობრივ მეწარმეებს ის გზები და მეთოდები გააცნეს, რომლის მეშვეობითაც EBRD-ისგან საკუთარი ბიზნეს-პროექტების დაფინანსების მოპოვებას შეძლებენ.

"ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ფეხდაფეხ მისდევს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და ცდილობს, ქვეყანაში უფრო აქტიურად იყოს წარმოდგენილი. მისი მეშვეობით საქართველოში, მხოლოდ წელს, 120-130 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. მომავალ წელს ეს თანხა კიდევ უფრო გაიზრდება," - აცხადებდა გუშინ EBRD-ის წარმომადგენელი კავკასიის რეგიონში მაიკ დეივი.

აღნიშნული თანხები 20-25 პროექტზე გაიხარჯება. EBRD-ის პრიორიტეტები ენერგეტიკის, ინფრასტრუქტურის, საბანკო სექტორებს და ადგილობრივ წარმოებას უკავშირდება.

საქართველოში "ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის" პორტფელის ზრდის ხელშემწყობ მიზეზად ბანკის წარმომადგენლობაში 2004 წელს გარდამავალი ეკონომიკის ადრეულ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ინიციატივის (ETCI) ჩამოყალიბებას ასახელებენ. ETCI-ის მიზანი ახალი "გამარტივებული მეთოდით" საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყირგიზეთში, მოლდოვაში, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში საბაზრო აქტივობის ხელშეწყობაა, რაც მეტი რაოდენობით მცირე პროექტების დაფინანსებას, ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკური რეფორმების წახალისებას გულისხმობს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი 1991 წელს, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისთვის საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასვლაში დახმარების მიზნით შეიქმნა. დღეისთვის ბანკის კაპიტალი 20 მილიარდი ევროა. თავად, საქართველო EBRD-ს 1992 წელს მიუერთდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თავისი ხელსაყრელი მდებარეობის გამო, თბილისში "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის" რეგიონული ოფისი ჩამოყალიბდა, რომელსაც EBRD-ის დირექტორი კავკასიაში, მოლდოვასა და ბელორუსში მაიკლ დეივი უხელმძღვანელებს. **24 საათი**

### ბანკ "რესპუბლიკის" მორიგი სიურპრიზი

ბანკმა "რესპუბლიკამ" კიდევ ერთი ახალი მომსახურება დანერგა: პლასტიკური ბარათის მფლობელებს საშუალება ეძლევათ, გადარიცხონ თანხა ბარათიდან ბარათზე ბანკის ბანკომატის მეშვეობით. კლიენტებს საშუალება ეძლევათ, დაზოგონ დრო და გადარიცხონ ფული მათთვის ყველაზე ხელსაყრელ დროს. მომსახურებით შეუძლიათ ისარგებლონ Georgian Card-ის წევრი ბანკების მიერ გამოშვებული ბარათების მფლობელებმა. 2006 წლის ბოლოს ბანკი გეგმავს, გააფართოოს მომსახურება სხვა საპროცესინგო ცენტრების წევრ ბანკების ბარათებზე და ხელმისაწვდომი გახადოს საერთაშორისო მომხმარებლებისთვისაც.

ამგვარი მომსახურება საქართველოში პირველმა ბანკმა "რესპუბლიკამ" დანერგა. აქამდე ქართულ ბაზარზე მოქმედ არც ერთ სხვა ბანკს ასეთი ტიპის მომსახურება და კომფორტი არ შეუთავაზებია კლიენტებისთვის. ამ მომსახურების მთავარი უპირატესობა ის გახლავთ, რომ ბარათიდან ბარათზე თანხის გადარიცხვა ონლაინ რეჟიმში ხორციელდება და თანხა ბარათის მფლობელისთვის სწრაფად ხელმისაწვდომი ხდება.

უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ბანკი კონცენტრირებას ახდენდა სწრაფად მზარდ საცალო-საბანკო ბაზარზე და ამჟამად ბარათების ბაზრის 30%-ს აკონტროლებს. ბანკ "რესპუბლიკას" დღეისათვის ჰყავს ბარათის 70000 მფლობელი.

### ამინდი

| | 28/09 | 29/09 | 30/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 19 | 18 | 20 |
| რიგა | 19 | 20 | 20 |
| ვილნიუსი | 18 | 21 | 20 |
| მოსკოვი | 19 | 18 | 16 |
| მინსკი | 21 | 22 | 21 |
| პარიზი | 20 | 20 | 20 |
| რომი | 25 | 26 | 26 |
| ლონდონი | 20 | 19 | 18 |
| მადრიდი | 26 | 23 | 22 |
| ბონი | 21 | 21 | 21 |
| ვარშავა | 22 | 21 | 22 |
| ათენი | 24 | 25 | 25 |
| ბერნი | 22 | 21 | 22 |
| ამსტერდამი | 17 | 17 | 17 |
| ოსლო | 16 | 18 | 16 |
| ანკარა | 27 | 25 | 25 |
| ვარნა | 23 | 23 | 22 |
| დელი | 43 | 42 | 41 |
| ტოკიო | 26 | 25 | 26 |
| კოპენჰაგენი | 17 | 17 | 17 |
| ბაქო | 22 | 23 | 24 |
| ერევანი | 27 | 30 | 29 |
| ასტანა | 6 | 11 | 12 |
| ჰელსინკი | 13 | 15 | 17 |
| დუბლინი | 15 | 15 | 15 |
| ლისაბონი | 23 | 23 | 22 |
| პრაღა | 21 | 22 | 22 |
| სოფია | 16 | 18 | 21 |
| ბუდაპეშტი | 25 | 25 | 26 |
| ბუხარესტი | 18 | 21 | 25 |

# საქართველოში ნავთობის მოპოვება შემცირდა

პირველი გვერდიდან

გასულ წლებთან შედარებით, საქართველოში ნავთობის მოპოვების მოცულობა შემცირდა. ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ცნობით, 2006 წლის შვიდი თვის მონაცემებით, "საქნავთობმა" 8 700 ტონა ნედლი ნავთობი მოიპოვა; ამერიკულმა "ფრონტერამ", რომელიც კახეთში საქმიანობს, დროის ამ მონაკვეთში - 3 300 ტონა, შვეიცარულმა კომპანია NLP-ემ - 10 450 ტონა, ხოლო "კანარგო ენერჯიმ" 14 600 ათასი ტონა ნედლი ნავთობი მოიპოვა. შვიდი თვის განმავლობაში საქართველოში სახელმწიფო კომპანიამ და კონტრაქტორებმა ჯამში 37 ათასი ტონა ნავთობი მოიპოვეს.

ს.ს საქართველოს ნავთობის ეროვნული კომპანიის მონაცემებით კი, 2005 წელს საქართველოს ნავთობმომპოვებელ სექტორში სულ 66 702 ტონა ნავთობია მოპოვებული. აქედან "საქნავთობმა" 13 635 ტონა ნედლი ნავთობი მოიპოვა, ხოლო კონტრაქტორებმა - 53 067 ტონა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უცხოურმა ნავთობმომპოვებელმა კომპანიებმა, 2004 წელთან შედარებით, მოპოვება 32 842 ტონით შეამცირეს.

ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილის ალეკო ჭაბუკიანის განმარტებით, ნავთობმოპოვების შემცირება სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული. "ნავთობის მოპოვება, ძირითადად, ძველი საბადოებიდან ხდება. სწრაფად იცვლება ნავთობის მოპოვების ტექნოლოგია. საჭიროა ტექნიკური გადაიარაღება და ინვესტიციები, ყველაფერი ეს ერთად ნედლი ნავთობის მოპოვებას გაზრდის," - განუცხადა "24 საათს" ალეკო ჭაბუკიანმა.

1 300 ჭაბურღილიდან დღეს მაქსიმუმ 100 ჭაბურღილია მოქმედი. არსებობს თავის დროზე ლიკვიდირებული ჭაბურღილების გამოცოცხლების პერსპექტივაც. ქვეყანაში საკმაოდ ბევრი ასათვისებელი ნავთობსაბადოა. საკმარისი რესურსია იმისათვის, რომ 2010 წლისთვის საქართველო ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნად იქცეს. მაგრამ ეს საკმაოდ კაპიტალტევადი საქმეა. ერთი საბადოს გახსნას დაახლოებით 150-200 მილიონი დოლარი სჭირდება, ასევე ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც ყოველწლიურად იხვეწება.

თუ წარსულს თვალს გადავავლებთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოში ნავთობის მოპოვების მაღალი ტემპები არსებობდა. ქართველმა მენავთობეებმა ყველაზე დიდ წარმატებას გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მიაღწიეს. 1981-1984 წლებში თელეთში მდებარე სამგორის მცირე საბადოდან ნავთობის მოპოვებამ 3 მილიონ 300 ათას ტონას გადააჭარბა. საერთოდ, საქართველოში ნავთობისა და გაზის გავრცელება რეგიონულ ხასიათს ატარებს. გეოლოგთა განმარტებით, სამგორის საბადოს მსგავსი ნავთობის მარაგი საქართველოში არსებობს, თუმცა ეს საბადოები გასახსნელია.

როგორც ამბობენ, სამგორის საბადოს პრეცედენტმა საქართველოში ინვესტორთა ჩამოსვლა განაპირობა.

2000 წელს შემოვიდნენ დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცარიის, გერმანიის, კანადის მსხვილი ინვესტორები. თუმცა ნავთობმოპოვების ბიზნესში "ბიპის", "ტოტალის","შევრონის" მსგავსი კომპანიების ნაცვლად, საშუალო დონის ერთობლივი საწარმოები ჩამოყალიბდა, მათთვის მისაღები რისკის ფაქტორითა და მოგების მოლოდინით. ინვესტორებმა საერთო ჯამში 206,4 მლნ დოლარის კაპიტალდაბანდებები განახორციელეს. ათი წლის განმავლობაში გაბურღულია 35 ათასი გრძივი მეტრი და მოპოვებულია 800 ათასი ტონა ნავთობი და 135 მლნ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი. ექსპერტების გათვლებით, ამ ინვესტიციების პირობებში 300-400 გრძივი მეტრის გაბურღვა იყო შესაძლებელი.

ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს ინფორმაციით, ამ ეტაპზე ნავთობის მოპოვება და საძიებო სამუშაოები საქართველოს ტერიტორიაზე ჭალადიდში, სუფსაში, შრომისუბანში, ნორიოში, საცხენისში, სამგორი-პატარძეულში, თელეთში, რუსთავში, მწარეხევში, ბაიდაში, ტარიბანაზე, მირზაანში, პატარა სირაქში, ნაზარლებში მიმდინარეობს. გაზის საბადოებია სამგორში, რუსთავში და ნინოწმინდაში.

ამჟამად აღნიშნულ ტერიტორიაზე მუშაობს კომპანია "ფრონტერა", "კანარგო", "ანადარკო" და "ბრიტიშ პეტროლიუმი". ბოლო მონაცემებით, კომპანია "ფრონტერამ" წელს 30 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა. კვლევებს შავი ზღვის შელფზე აგრძელებს ამერიკული "ანადარკო . თუმცა საქართველოში ახალი კომპანიების შემოსვლის პერსპექტივაც განიხილება.

საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელმა სახელმწიფო სააგენტომ 2005 წლის 30 დეკემბერს შავი ზღვის აკვატორიის, დასავლეთ საქართველოს და აღმოსავლეთ საქართველოს სალიცენზიო ბლოკებზე გამოცხადებული ტენდერის შედეგად შემოსული განაცხადების განხილვის შემდეგ სამი გამარჯვებული კომპანია გამოავლინა. ყაზახურმა კომპანია აქსაი BMC-მ ინტერესი სამ ბლოკზე გამოთქვა, ასევე სამი ბლოკით დაინტერესდა ბრიტანული "გლობალ ოილ ენერჯი", ხოლო "სტრეიტ ოილ ენდ გაზს" ასევე ორ ბლოკზე სურს საძიებო სამუშაოების ჩატარება.

თითოეულ ბლოკზე საწყის ეტაპზე დაახლოებით 10-15 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. კონკრეტული პროგნოზების გაკეთება კომპანიების განაცხადების განხილვის შემდეგ იქნება შესაძლებელი. შესაძლოა, ინვესტიციების რაოდენობა გაიზარდოს. არ არის გამორიცხული, რომ ინვესტიციების რაოდენობამ ჯამში 50 მილიონი დოლარი შეადგინოს, ისიც, ოთხი წლის განმავლობაში. ეს არის მინიმალური პროგრამა. ამის შემდეგ ინვესტორი საქმიანობას თავისი ბიზნესგეგმით გააგრძელებს და კონტრაქტი 25-წლიანი იქნება.

### ბათუმსა და ქობულეთში მდებარე გაზსადენების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის სურვილი არავის გამოუთქვამს

ბათუმსა და ქობულეთში მდებარე 8,2 კმ-ისა და 23 კმ-ის სიგრძის გაზსადენების პრივატიზაციის მიზნით გამოცხადებული კონკურსი გადაიდო. როგორც საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესნიუსს" აჭარის ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროში განუცხადეს, სურვილი კონკურსში მონაწილეობისთვის არავის გამოუთქვამს, თუმცა ბოლო დღეებში საპრივატიზაციო ობიექტით ბევრი დაინტერესდა.

"გარდა ამისა, მთელი რიგი ტექნიკური საკითხები წამოიჭრა, რომლებიც უნდა მოგვარდეს, მათ შორის - ბათუმის მილსადენის მიმდებარე ტერიტორიის მესაკუთრეთა მხრიდან," - განაცხადეს სამინისტროში. განმეორებით კონკურსს დაახლოებით 10-15 დღეში გამოაცხადებენ, საპრივატიზაციო ობიექტის ფასი კვლავ 1 მილიონი აშშ დოლარი იქნება.

კონკურსი ბათუმისა და ქობულეთის, ასევე დაბა ხელვაჩაურისა და აჭარის ზღვისპირა ზოლის (მდინარე ჩოლოქიდან სარფამდე) გაზიფიცირებისა და ბუნებრივი აირით მომარაგების მიზნით ტარდება.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პირობების მიხედვით, გამარჯვებულმა კომპანიამ გამოსასყიდი თანხა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღეში უნდა დაფაროს. ასევე, უნდა უზრუნველყოს გაზიფიცირების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, გაზსადენის მიყვანა უშუალოდ მომხმარებლამდე და მათი ბუნებრივი აირით მომარაგება. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭომ 2007 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები განიხილა

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) საბჭომ 2007 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები განიხილა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციისა და "საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავდა. კანონის თანახმად, სებ-მა 2007 წლის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები საქართველოს პარლამენტს პირველ ოქტომბრამდე უნდა წარუდგინოს. ამის შესახებ პრაიმ-ნიუს ბიზნესს სებ-იდან აცნობეს. აღნიშნული უწყების ინფორმაციით, ქვეყანაში მიმდინარე სტრუქტურული რეფორმებისა და საგარეო ფაქტორების გავლენის ფონზე, ეროვნული ბანკი წლიური ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებლს 6-7%-ის ფარგლებში განსაზღვრავს. ფასების საერთო დონის მატების ამ პარამეტრებში შენარჩუნება ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდის, ფინანსური სტაბილურობისა და საფინანსო შუამავლობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

ეროვნული ბანკის სავალუტო პოლიტიკა მცურავი გაცვლის კურსის რეჟიმში განხორციელდება. ლარის გაცვლის კურსის მკვეთრი კონიუნქტურული რყევების თავიდან ასაცილებლად და სავალუტო ბაზარზე სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ორმხრივ სავალუტო ინტერვენციებს განახორციელებს. ამასთან, ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციები მხოლოდ გაცვლის კურსის მერყეობის დიაპაზონის შესამცირებლად იქნება გამიზნული და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შედეგად ჩამოყალიბებულ საბაზრო ტენდენციებთან წინააღმდეგობაში არ მოვა. გარდა ამისა, ფასების სტაბილურობის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, ლარის რეალური ეფექტური გაცვლის კურსის ისეთი დინამიკის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას დაეხმარება. სებ-ის ინფორმაციით, საბანკო სექტორში კონსოლიდაციის პროცესის გაგრძელებისა და ფინანსური შუამავლობის როლის ზრდისთვის მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების კაპიტალიზაციის შემდგომი ამაღლება. კომერციული ბანკების მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის ეტაპობრივი ზრდა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გრაფიკის მიხედვით გაგრძელდება. აღნიშნული საბანკო სისტემის მდგრადობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# ბიუჯეტიდან დახარჯულია 2 მილიარდ 500 მილიონი ლარი

## 60 მილიონი ბიზნესის განვითარებაში ჩაიდო

თინა შავაძე

თუ რამდენი ადამიანი დაადგა გამდიდრების გზას ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ამის ოფიციალური მონაცემები არ არსებობს. მაგრამ მასობრივი უმუშევრობისა და გაღატაკების გზაზე დამდგარი სულ უფრო და უფრო ბევრი ადამიანი კითხულობს - სად და რაში იხარჯება სახელმწიფო ხაზინაში გადასახადების სახით აკრეფილი თანხები. ყველამ კარგად იცის, რომ სახელმწიფო ხაზინა ბიზნესის ლეგალიზაციის ხარჯზე შეივსო და ეს ფული კომპანიების მეპატრონეებმა საკუთარი ჯიბიდან კი არ დადეს, არამედ ქვეყანაში სულ სხვა პროცესები განვითარდა. ბიზნესმენი მოგებაზეა ორიენტირებული, და თუ ეს ასე არ ხდება, მაშინ ის საკუთარ საქმიანობას წყვეტს. მოგების მიღება კი სხვადასხვა გზით შეიძლება, მათ შორის ერთ-ერთია წარმოებულ პროდუქციაზე ფასის მომატება. ექსპერტების განმარტებით, როცა ხელისუფლებამ კერძო სექტორს წარმოებული და გაყიდული მომსახურების ზუსტი აღრიცხვა მოსთხოვა, კომპანიებმა მაშინვე გაზარდეს ფასები, სხვა შემთხვევაში ისინი გაკოტრდებოდნენ. ინფლაციის დროს კი ყველაზე მეტად სოციალურად დაუცველი ფენა ზარალდება, რადგან მისი შემოსავლები ფასების ზრდის პარალელურად არ იზრდება.

ამ მდგომარეობაში ბევრი ფიქრობს: თუ ქვეყნის განვითარებისთვის ასეა საჭირო, მაშინ მოითმენს იმ იმედით, რომ ქვეყანაში მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლება. საინტერესოა, ხალხის ასეთი განწყობისა და მოთმინების საფასურად ხელისუფლება ბიუჯეტს რა მიმართულებით ხარჯავს. ეს სურათი რომ კარგად წარმოვიდგინოთ, თავდაპირველად უნდა ვიცოდეთ, რა დოვლათი იქმნება ქვეყანაში, რომელსაც ეკონომისტები მთლიან შიდა პროდუქტს ეძახიან. მშპ - ეს არის გარკვეულ პერიოდში, ქვეყანაში წარმოებული პროდუქციისა და გაწეული მომსახურების საფასურის საერთო ჯამი. ფინანსთა მინისტრის ლექსო ალექსიშვილის განმარტებით, მიმდინარე წელს ქვეყანაში 13 მილიარდ 800 მილიონი ლარის პროდუქციისა და მოსახურების წარმოებაა ნავარაუდევი. ამ საპროგნოზო მაჩვენებელზე დაყრდნობით, მთავრობამ მიმდინარე წლის ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები დაითვალა. თავდაპირველად მთავრობამ გამოითვალა, რომ 13 მილიარდ 800 მილიონი ლარიდან ბიუჯეტი, ამოღებული გადასახადების სახით, 1 მილიარდ 800 მილიონ ლარს წაიღებდა, მაგრამ 25 ივლისს, პარლამენტის ბოლო სასესიო სხდომაზე დეპუტატებმა მთავრობას ბიუჯეტის 700-მილიონიანი მატება დაუმტკიცეს. საერთო ჯამში, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 2 მილიარდ 500 მილიონი ლარი გახდა. თუმცა ამ ჯამში შედის პრივატიზაციიდან მიღებული თანხა.

როგორ გადანაწილდა 2 მილიარდ 500 მილიონი ლარი და რა პრიორიტეტები გამოიკვეთა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად? ლექსო ალექსიშვილი ამბობს, რომ წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტიდან ანუ 13 მილიარდ 700 მილიონი ლარიდან მთავრობა 21 პროცენტს მიიღებს და დახარჯავს - ეს არის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილი. ალექსიშვილის თქმით, ამ 21 პროცენტიდან ხარჯვით ნაწილში თავდაცვა 5, 6 პროცენტს წაიღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი შეხვდა. ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემდეგ საპრიზო ადგილებზე არიან: შინაგან საქმეთა სამინისტრო და განათლების სამინისტრო. ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო კი გზების დეპარტამენტს ჩამორჩება. პარლამენტის ბოლო სხდომაზე გზების დეპარტამენტს ბიუჯეტიდან დამატებით 30 მილიონი ლარი დაუმტკიცდა. თავდაცვის სამინისტროს კი გაზრდილი ბიუჯეტიდან 220 მილიონი ლარი დაუმატეს და გამოდის, რომ მიმდინარე წელს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ყველაზე დიდ თანხას - 800 მილიონ ლარს დახარჯავს.

ამ ეტაპზე ყველაზე აქტუალურია სკოლებისა და გზების მშენებლობა. საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, მიმდინარე წელს ბიუჯეტიდან საგზაო სამუშაოების შესასრულებლად 157 მილიონ 923 ათასი ლარი გამოიყო.

ბიუჯეტიდან სკოლების რეაბილიტაცია-მშენებლობისთვის 60 მილიონი გამოიყო. "24 საათთან" საუბარში, განათლების მინისტრის მოადგილე თემურ სამადაშვილი ამბობს, რომ "ამ პროექტის ფარგლებში შენდება 57 სკოლა. აქედან 29 სკოლა აშენდა, დანარჩენის მშენებლობა მომავალ წელს გაგრძელდება. ოქტომბრის შუა რიცხვებისთვის კი დასრულდება 221 სკოლის ეტაპობრივი და 69 სკოლის სრული რეაბილიტაცია. ახალი მერხებით სკოლების უზრუნველსაყოფად დაახლოებით 4 მილიონი ლარი დაიხარჯა. ამის გარდა, შესყიდულია 48 მცირე ზომის და 2 დიდი ავტობუსი. სასკოლო ავტობუსების შესყიდვაში გადახდილია 2 მილიონ 100 ათასი ლარი. სამუშაოების შესასრულებლად სამინისტრომ ტენდერები გამოაცხადა, რომლებშიც მონაწილეობა კერძო კომპანიებმა მიიღეს". ეს, უხეშად რომ ვთქვათ, ნიშნავს - ბიუჯეტიდან სკოლებისთვის გამოყოფილი 60 მილიონი ლარი ბიზნესში "ჩაიდო", კერძო კომპანიებმა, შესაბამისად, შეისყიდეს საქონელი და სამუშაოების შესასრულებლად ადამიანები დაიქირავეს. ეს კი, თავისთავად, ბიზნესის ხელშეწყობა და ხალხის დასაქმებაა.

# საქართველო ეკონომიკური კონკურენციის მაჩვენებლის მიხედვით 85 ადგილს იკავებს

საქართველო მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის, ეკონომიკური კონკურენციის მაჩვენებლის მიხედვით, 85-ე ადგილს იკავებს. გასული წლის მაჩვენებელთან შედარებით იგი ერთი საფეხურით დაწინაურდა.

"მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის" მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ეკონომიკური კონკურენციის თვალსაზრისით, სომხეთმა 82-ე, აზერბაიჯანმა 64-ე, თურქეთმა 59-ე, რუსეთმა 62-ე ადგილები დაიკავეს.

აღნიშნული ორგანიზაციის ოფიციალურ საიტზე იტყობინებიან, რომ რეიტინგის მინიჭების დროს სპეციალისტებმა 125 ქვეყანაში კორუფციის დონე, დაცულობის ხარისხი და საკუთრების უფლება, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის და მთავრობის ზემოქმედების ხარისხი შეისწავლეს. ეკონომიკური კონკურენციის მხრივ პირველ ათეულში შვეიცარია (1 ადგილი), ფინეთი (მე-2 ადგილი), შვედეთი (მე-3 ადგილი), დანია (მე-4 ადგილი), სინგაპური (მე-5 ადგილი), აშშ (მე-6 ადგილი), იაპონია (მე-7 ადგილი), გერმანია (მე-8 ადგილი), ნიდერლანდები (მე-9 ადგილი) და დიდი ბრიტანეთი (მე-10 ადგილი) შედიან. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ანგოლაში (125 ადგილი) დაფიქსირდა.

**პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# "ოლიმპის" კარს ყადაღა აეხსნა

მიხეილ აბაიშვილი

ახალი, ჩემპიონთა ლიგის ფორმატით დაწყებული დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ტურნირში გუშინ მეორე ტურის მატჩები გაიმართა. რვა შეხვედრაში ორი წყვილი უდავოდ გამორჩეული იყო. ჩემპიონატის ლიდერი რუსთავის "ოლიმპი", რომელსაც ამ სეზონში გოლი არ ჰქონდა გაშვებული, მიხეილ მესხის სტადიონზე თბილისის "დინამოს" სტუმრობდა, თბილისის "ამერმა" კი "ზესტაფონს" უმასპინძლა.

შეგახსენებთ, რომ "დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - ჩეხი დუშან უგრინი. სულ რაღაც თორმეტი დღეა, რაც ის "დინამოს" ხელმძღვანელობს და გუშინ აშკარად გამოჩნდა, რომ თავისი ხელი დაატყო. პირადად მე ასეთი მომართული, ტაქტიკურად გამართული და მიზანდასახული "დინამო" მიმდინარე სეზონში არ მინახავს. "ოლიმპის" მთავარი ღირსება, რაც ამ გუნდმა სასტარტო შვიდ ტურში გამოავლინა, უაღრესად გამართული დაცვის ხაზი და მობილური, მძლავრი ნახევარდაცვა გახლავთ. ამის ხარჯზე რუსთაველებს შვიდ თამაშში საკუთარ კარში არც ერთი გოლი არ გაუშვიათ. სათასო დაპირისპირებაში "დინამომ" "ოლიმპს" პირველ რიგში სწორედ მოედნის შუაში მოუგო თამაში. როგორც აღმოჩნდა, "ოლიმპის" კარი არც ისე მიუდგომელი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, "დინამოს" მიერ გატანილი სამი გოლი ამაზე მეტყველებს.


"დინამომ" ჩემპიონატის ლიდერს სამი გოლი გაუტანა.

ბრძოლა მხოლოდ საწყის წუთებში გაიმართა. ხუთი დღის წინ "ვიტ ჯორჯიას" ბრწყინვალე სტილში დამმარცხებელმა და ვეტერინართა კარში ოთხი უპასუხო გოლის გამტანმა ოლიმპიელებმა სასტარტო წუთებში რამდენჯერმე დაძაბეს ვითარება გრიშიკაშვილის კართან, მაგრამ ვერც ერთხელ საქმე დამაგვირგვინებელ დარტყმამდე ვერ მიიყვანეს. საპასუხოდ, მასპინძელთა პირველივე სერიოზული იერიში გოლით დასრულდა: "დინამოს" მარცხენა გარემარბის კობახიძის ზუსტი პასის შემდეგ სანდრო იაშვილმა საჯარიმო მოედნის მისადგომებიდან გამოზომილი დარტყმით მე-8 წუთზე გახსნა ანგარიში.

ყველაზე რეალური საგოლე მომენტი სტუმრებმა მე-19 წუთზე გაანიავეს: ჯერ კარის ხაზიდან სამიოდე მეტრში მყოფმა სირბილაძემ ვერ აჯობა გრიშიკაშვილს, რომელმაც ბურთი კუთხურზე მოიგერია. ეპიზოდი გაგრძელდა და კუთხურიდან ჩამოწოდების შემდეგ უკვე როინ ონიანმა დაარტყა თავით, მაგრამ ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს. ამოქმედდა ფეხბურთის დაუწერელი კანონი - "ვერ გაიტან, გაგიტანენ". ამ მომენტებიდან სამიოდე წუთში ხმალაძემ დაახლოებით ოცდაათი მეტრიდან "გაისროლა" და ბურთი "ოლიმპის" კარის მარცხენა "ცხრიანში" გაახვია.

შეხვედრის მეორე ნახევარიც მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, რაც მესამე გოლში გადაიზარდა: 57-ე წუთზე გრიშიკაშვილის წამოწყებული შეტევა იაშვილმა განაგრძო, რომელმაც თავით დაუგდო ბურთი დასარტყმელ პოზიციაზე მყოფ კობახიძეს და მას გოლის გატანა არ გასჭირვებია. ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა, რადგან არცთუ თამაშის მადაზე მყოფი "ოლიმპი" დარჩენილ ნახევარ საათში სამი გოლის გამქვითველი გუნდის შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებდა. ამის შემდეგ გუნდებმა უშედეგო სახიფათო მომენტები გაცვალეს, მატჩი კი მასპინძელთა დამაჯერებელი გამარჯვებით - 3:0 დასრულდა.

დუშან უგრინი: "ამ თამაშისთვის სერიოზულად ვემზადებოდით, რადგან ჩემპიონატის ლიდერთან გვიწევდა დაპირისპირება. მით უმეტეს, რომ მეტოქეს შვიდ მატჩში გოლი არ ჰქონდა გაშვებული. შედეგითაც და ჩემი გუნდის თამაშის ხარისხითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ბიჭები დიდი პასუხისმგებლობით მიუდგნენ საქმეს, დაკისრებული მოვალეობები ზუსტად შეასრულეს, რის გამოც დიდ მადლობას ვუხდი."

გიორგი კიკნაძე ("ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი): "როცა ასეთი ანგარიშით მარცხდები, კომენტარი ზედმეტია. როგორც გამოჩნდა, "ვიტ ჯორჯიას" დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ ჩემი ფეხბურთელები ეიფორიიდან ვერ გამოვიდნენ, რამაც ძალიან ცუდი სამსახური გაგვიწია. გამოფხიზლებისა და "მიწაზე დაშვების" თვალსაზრისით ეს მარცხი ცუდი არ იყო. გამოჩნდა უამრავი ხარვეზი, რომელთა გამოსწორებისთვის სერიოზული მუშაობა მოგვიწევს. იმედი მაქვს, ეს ჭკუის სასწავლი მაგალითი იქნება ჩვენთვის და მომავალში ასეთ შეცდომებს აღარ დავუშვებთ."

"დინამო" - "ოლიმპის" მსგავსად, ტურის კიდევ ერთ ცენტრალურ დაპირისპირებაში "ამერსა" და "ზესტაფონს" შორის მთავარი მოვლენები პირველ ტაიმში განვითარდა. საწყის ორმოცდახუთ წუთში მასპინძლებმა ორი გოლის გატანა მოახერხეს, რითაც გადაწყვიტეს კიდეც შეხვედრის ბედი. ანგარიში მეათე წუთზე "ამერის" მარჯვენა გარემარბმა დოლიძემ გახსნა, 38-ე წუთზე კი "ამერის" მთავარმა ბომბარდირმა სულიკო დავითაშვილმა მეორედ შეარხია "ზესტაფონისა" და საქართველოს ნაკრების მეკარის ქვაჩახიას კარის ბადე. საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრებ გუნდში რამდენიმე ზესტაფონელია გამოძახებული, რის გამოც ამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ ვერ შეძლო ოპტიმალური შემადგენლობის გამოყვანა და გამოუცდელ ფეხბურთელებზე დაყრდნობა მოუხდა. ალბათ ამითაც აიხსნება ზესტაფონელთა უნიათო თამაში.

"ობიექტური მიზეზების გამო სერიოზული საკადრო პორბლემები გვქონდა, რის გამოც ეს თამაში სასურველზე გაცილებით დაბალ დონეზე ჩავატარეთ. რა თქმა უნდა, საწყენი მარცხია და შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ტურნირის ახალი ფორმატი იმის საშუალებას გვაძლევს, რომ მდგომარეობა გამოვასწოროთ და პლეიოფში" გავიდეთ", - განუცხადა "24 საათს" თემურ მახარაძემ.

სპარტაკი - კახეთი 0:3
ვიტ ჯორჯია - ტორპედო 0:1
სიონი - მერანი 2:1
ნორჩი დინამო - ჩიხურა 0:2
ამერი - ზესტაფონი 2:0
მესხეთი - ბორჯომი 0:1
მეშაქრე - ბათუმი 0:2
დინამო - ოლიმპი 3:0

# ბლატერის ნოვაცია

ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი იდეების ნაკლებობას არასდროს უჩიოდა. თავის დროზე სწორედ ის ალაპარაკდა მიკროჩიპიანი ბურთების შემოღებაზე, ვიდეორეფერიზე... ბლატერის ზოგიერთი ნოვაცია ცხარე კამათს იწვევს, თუმცა ის, რაც გუშინ განაცხადა, ალბათ ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს მოეწონება და თავად ფეხბურთელებსაც გაახარებს.

სანამ იდეაზე მოგახსენებდეთ, მსოფლიო ჩემპიონატების ორ ფინალს შეგახსენებთ. 1994 წელი. იტალია-ბრაზილიის ფინალური მატჩი და რობერტო ბაჯოს აცილებული პენალტი. ბევრს მიაჩნია, რომ ბაჯო იტალიის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია, რობერტოს კი იტალიელებმა ის პენალტი დღემდე ვერ აპატიეს. გავიხსენოთ წლევანდელი მუნდიალის ფინალი და ფრანგების საცოდაობა, რომლებიც იმავე იტალიელებთან სწორედ პენალტების სერიაში დამარცხდნენ.

მოკლედ, ბლატერს სურს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის ბედი პენალტებით აღარ გადაწყდეს. მეტიც: ბლატერის თქმით, უკვე 2010 წლის მუნდიალისთვის მოიფიქრებენ ისეთ ფორმულირებას, რომ ფინალური




შეხვედრის ბედი და მსოფლიო ჩემპიონის ვინაობა პენალტების გარეშე გაირკვეს.

"ჩვენ ოთხი წელი გვაქვს იმისთვის, რომ მოვიფიქროთ, თუ რა უნდა გავაკეთოთ. შესაძლოა განმეორებითი მატჩი დავნიშნოთ. თავისთავად ფინალის წაგება დამატებით დროშიც დრამატულია, პენალტების სერია კი ზოგიერთი ფეხბურთელისთვის ნამდვილ ტრაგედიად იქცევა ხოლმე. ეს დაუშვებელია. ფეხბურთი გუნდური თამაშია, პენალტების სერიას კი გუნდურ სპორტთან საერთო არაფერი აქვს," - განაცხადა ფიფას პრეზიდენტმა.

# ბერძენ-რომაელებმა მძიმე დასვეს, "თავისუფლებმა" ხელი გაშალეს

*ჩინეთში მიმდინარე ბერძენ-რომაელთა მსოფლიო ჩემპიონატი მძიმეწონოსანთა ორთაბრძოლებით დამთავრდა და დაიწყო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრების დებიუტანტმა რამაზ ჭელიძემ ჩემპიონატი პირველივე ორთაბრძოლით დაასრულა.*

ქართველ ფალავანს კენჭისყრამ მასავით ახალბედა თურქი ისმაილ გუზილი არგუნა, რომელსაც აქამდე მხოლოდ ევროპის ჩემპიონატზე ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. წლეულს კონტინენტის პირველობაზე ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. თუ მის მთელ კარიერას გადავავლებთ თვალს, მივხვდებით, რომ თურქებ მისი სახით ძლიერი ფალავანი ეზრდებათ. ახალგაზრდებს შორის კონტინენტურ ასპარეზობებზე ხალიჩა უმედლოდ არ დაუტოვებია - მსოფლიო ჩემპიონატების ოქროსა და ვერცხლის მფლობელი და ევროპის ჩემპიონატების ორგზის ჩემპიონი გახლავთ.

ახლაც ასე იყო. ქართველთან გამარჯვების შემდეგ გუზილმა რამდენიმე ორთაბრძოლა ჩაატარა და ჩემპიონატი ბრინჯაოს მედლით დაასრულა. რევაზ ჭელიძეს კი ჯერჯერობით მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების თითო ვერცხლი და ბრინჯაო უმაგრებს ზურგს.

რუსებმა ნავსი გატეხეს და ჩემპიონატის პირველ ოქროს მედალს დაეუფლნენ. ეს ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონისა და 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონის ხასან ბაროევის დამსახურებაა.

ერთი სიტყვით, ბერძენ-რომაელთა მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოს ნაკრებმა დავით ბედინაძისა და მანუჩარ კვირკველიას წყალობით ვერცხლის და ბრინჯაოს მედლებით დაასრულა. ამასობაში ესტაფეტა "თავისუფლებმა" ჩაიბარეს.


ნაკრებში დაბრუნებული პოღოსიანი მომავალ ჩემპიონთან დამარცხდა.

55 კგ წონაში საქართველოს ნაკრების წევრს ბესიკ გოჩაშვილს კენჭისყრამ ისეთი მეტოქე შეახვედრა, რომ თავიდანვე აშკარა იყო: წარმატებაზე ფიქრი უაზრობა იქნებოდა. ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა და ვერცხლის პრიზიორმა, მსოფლიო ჩემპიონატების სამი ვერცხლის მედლის მფლობელმა, ევროპის სამგზის ჩემპიონმა, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლის მფლობელმა აზერბაიჯანელმა ნამიკ აბდულაევმა, მას შემდეგ, რაც გოჩაშვილს გაუსწორდა, კიდევ ერთი ორთაბრძოლა მოიგო, მერე კი მომავალ ფინალისტთან დამარცხდა და ბრინჯაოს მედლისთვის გააგრძელა ბრძოლა, რაც წარმატებითაც დააგვირგვინა.

გუშინ ხალიჩაზე გავიდა საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი - მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი და ევროპის ორგზის ჩემპიონი, დავით პოღოსიანი. ათენის ოლიმპიური თამაშებიდან გუნდიდან წასულმა პოღოსიანმა, რომელიც ახლა დაუბრუნდა ჭიდაობას, პირველი ორი დაპირისპირება მოიგო, მაგრამ შემდეგ მომავალ ჩემპიონთან ირანელ სეიდ მურად მოჰამადისთან დამარცხდა. მოგეხსენებათ, დამარცხებული ფალავანი მესამე ადგილისთვის აგრძელებს ბრძოლას. პოღოსიანს ევროპის ჩემპიონთან და ამავე რანგის ასპარეზობათა ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედლის მფლობელთან, უკრაინელ ვასილ ფედორიშინთან მოუხდა შერკინება, რომელიც უკრაინელის გამარჯვებით დასრულდა.

დღეს ხალიჩაზე 66, 74 და 84 კგ-მდე წონებში გათამაშდება მედლები, რომლისთვისაც შესაბამისი თანამიმდევრობით იბრძოლებენ ოთარ თუშიშვილი, გელა საღირაშვილი და რევაზ მინდორაშვილი.

## მოკლედ

### დუდუ დადიანის მემორიალი იწყება

2 ოქტომბერს ვერის საკალათბურთო დარბაზში სტარტს აიღებს დუდუ დადიანის მორიგი ტურნირი, რომელშიც 7 ქართული გუნდი მიიღებს მონაწილეობას. კარგა ხანია ეს ტურნირი საქართველოსეროვნული ჩემპიონატის მთავარ მოსამზადებელ ეტაპად იქცა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავისი პრესტიჟულობით დუდუ დადიანის ტურნირი თითქმის არ ჩამოუვარდება ეროვნულ ჩემპიონატს.

გუშინ სპორტკაფეში ტურნირის ორგანიზატორებმა გამართეს პრესკონფერენცია, რომელზეც ტურნირზე მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა წინასასეზონო სამზადისზე ისაუბრეს.

გთავაზობთ დუდუ დადიანის მე-5 მემორიალის კალენდარს

**ა ჯგუფი**
ავიამშენი
სტუ
დინამო
**ბ ჯგუფი**
აზოტი
თსუ
მაკაბი
სსუ
**2 ოქტომბერი**
აზოტი - სსუ
თსუ - მაკაბი
სტუ - დინამო
**3 ოქტომბერი**
სსუ - თსუ
მაკაბი - აზოტი
დინამო - ავიამშენი
**4 ოქტომბერი**
მაკაბი - სსუ
ავიამშენი - სტუ
თსუ - აზოტი
**6 ოქტომბერი**
მატჩი მეხუთე ადგილისთვის
ა3 - ბ3
მატჩი მესამე ადგილისთვის
ა2 - ბ2
ფინალი
ა1 - ბ1

### ქინქლაძე ევროპაში იმკურნალებს

საქართველოს ნაკრებისა და რუსული "რუბინის" ნახევარმცველი გიორგი ქინქლაძე, რომელსაც ბოლო შვიდი თვე ტრავმის გამო გაუცდა, ევროპაში გაემგზავრა გამოკვლევებზე. ახლა ევროპელი ექიმების სამედიცინო დასკვნაზეა დამოკიდებული ქინქლაძის მომავალი. ქართველი ფეხბურთელის კონტრაქტი ყაზანურ კლუბთან დეკემბერში იწურება. თუ ექიმები იტყვიან, რომ გიოს ტრავმა სერიოზულია, შესაძლოა "რუბინის" ხელმძღვანელობამ ქინქლაძესთან კონტრაქტი აღარ გააგრძელოს.

### თილისმების პრეზენტაცია

ავსტრიის დედაქალაქ ვენაში, მუზეუმთა კვარტალში, გაიმართა ევროპის 2008 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ოფიციალური თილისმების პრეზენტაცია. პრესკონფერენციაში, რომელსაც რაინერ პასიაკი უძღვებოდა, უეფას აღმასრულებელი დირექტორი ლარს-კრისტერ ოლსონი, შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი რალფ ცლოხოვერი, მისი ავსტრიელი კოლეგა ფრიდრიხ შტიკლერი და თილისმის შემქმნელი კომპანიის "უორნერ ბრაზერს"-ის ვიცე-პრეზიდენტი ბრუნო შვობტალერი მონაწილეობდნენ. თილისმები ავსტრიისა და შვეიცარიის დროშის ფერებით არიან შემოსილნი, მაისურებზე კი ტურნირის წელიწადის ორ-ორი ციფრი აწერიათ. რაც შეეხება მათ თმას, ის სპეციალურად გაკეთდა, რაც სიმბოლურად მიუთითებს ავსტრიისა და შვეიცარიის მწვერვალებს. პრეზენტაციისა და პრესკონფერენციის შემდეგ ორივე თილისმა სპეციალურ ავტომობილში ჩაჯდა და სასტუმრო "შტეფანპლაცისკენ" გაემგზავრა. უკან, მუზეუმთა კვარტალში კი 32 ბავშვის თანხლებით დაბრუნდა. ბავშვები საგანგებოდ შეარჩიეს ევრო 2008-ის სპონსორებმა - "მაკდონალდსმა" და "აუსტრია ტელეკომმა", რათა ახლოს გაეცნოთ თილისმები.

თილისმებს ოფიციალურად წარადგენენ 11 ოქტომბერს, ავსტრიისა და შვეიცარიის ნაკრებთა ამხანაგური მატჩის დღეს (მატჩს ავსტრიის ქალაქი ტიროლი უმასპინძლებს). ერთ დღით ადრე თილისმებს ოფიციალურად შეურჩევენ სახელს - ავსტრიელმა და შვეიცარიელმა გულშემატკივრებმა სამი ვარიანტიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიონ: ზაგი და ზიგი, ფლიცი და ბიცი, ტიქსი და ფლიქსი.

### ბასილეს რჩეულნი

არგენტინის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ალფიო ბასილემ დაასახელა თავისი გუნდის შემადგენლობა, რომლითაც მომავალ თვეში ამხანაგურ მატჩში ესპანელებს დაუპირისპირდება. ბასილეს მიერ დასახელებულ შემადგენლობაში განსაკუთრებული სიახლეები არ არის. მან ნაკრებში თითქმის ყველა ის ფეხბურთელი გამოიძახა, რომლებიც მუნდიალზე ასპარეზობდნენ.

**მეკარეები:** ლეო ფრანკო, რობერტო აბონდანსიერი

**მცველები:** ფაბრიციო კოლოჩინი, გაბრიელ ჰაინცე, რობერტო აიალა, გაბრიელ მილიტო, ლეონარდო პონციო, როდოლფო არუაბარენა

**ნახევარმცველები:** პაბლო ზაბალეტა, მაქსი როდრიგესი, პაბლო აიმარი, ლეანდრო სამოზა, ხავიერ მასკერანო, ლუჩო გონსალესი, ფედერიკო ინსუა, დანიელ ბილოსი

**თავდამსხმელები:** სერხიო აგუერო, ლიო მესი, ხავიერ სავიოლა, კარლოს ტევესი, ერნან კრესპო

### სისინიო მარტში დაბრუნდება

მადრიდის "რეალის" ბრაზილიელ მცველს სისინიოს ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების თქმით, სისინიო ექვს თვეში შეძლებს ვარჯიშის დაწყებას და ფეხბურთს მარტზე ადრე ვერ დაბრუნდება.

### ვან ნისტელროი მწვრთნელს აკრიტიკებს

მადრიდის "რეალის" ჰოლანდიელი ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროოი აცხადებს, რომ ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი მარკო ვან ბასტენი ნაკრებში ფეხბურთელების გამოძახებისას წმინდა სპორტული პრინციპებით არ სარგებლობს.

"ნაკრებში ფეხბურთელებს სპორტული პრინციპით არ იძახებენ. თუ ვან ბასტენთან ნორმალური ურთიერთობა არ გაქვს, ნაკრების კარი შენთვის დახურულია. ვფიქრობ, ჩვენი ქვეყანა იმსახურებს იმას, რომ ნაკრებში უძლიერესებმა ითამაშონ", - აცხადებს რუუდ ვან ნისტელროი, რომელსაც მარკო ვან ბასტენი აშკარად არ სწყალობს.

### შუმახერის უზრუნველი სიბერე

მიხაელ შუმახერი ამ სეზონის დასრულების შემდეგ სპორტიდან წასვლას აპირებს. ლეგენდარული ავტომრბოლის მენეჯერი აცხადებს, რომ პენსიაზე გასვლა შუმის ფინანსურ მდგომარეობაზე არ აისახება. საქმე ის არის, რომ მიხაელმა უკვე გააგრძელა კონტრაქტი თავის მთავარ სპონსორთან და კიდევ ერთი ახალი საკმაოდ სარფიანი სარეკლამო კონტრაქტიც გააფორმა.

### მოსკოვში გერმანელები ცემეს

ცსკა - ჰამბურგის მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გერმანული კლუბის გულშემატკივრები რუსმა ფანებმა გალახეს. მოსკოვის მეტროში 80 გერმანელს რუსი ხულიგნები დაესხნენ თავს. სერიოზულად არც ერთი გერმანელი არ დაშავებულა, თუმცა, "ჰამბურგის" გულშემატკივართა კლუბის ხელმძღვანელის თქმით, 80 გულშემატკივრიდან უმეტესობა თამაშს ჩალურჯებული თვალებით უყურებდა.

### რონალდოს მუშაობა მოუწევს

სამშაბათს "რეალისა" და კიევის "დინამოს" მატჩში ფაბიო კაპელომ რონალდოსაც მისცა თამაშის საშუალება. მას შემდეგ, რაც "რეალმა" უკრაინული გრანდი 5:1 გაანადგურა, "სამეფო კლუბის" იტალიელმა მწვრთნელმა ჟურნალისტებთან ისაუბრა. კაპელომ შეაქო რაული და თქვა, რომ რონალდო ჯერ ოპტიმალურ ფორმაში არ არის.

"მას შემდეგ, რაც რაულმა ორი გოლი გაიტანა, ყველა ამბობს, რომ მე მისი ძირითადში დაყენებით შემადგენლობა გამოვიცანი. სხვებისგან განსხვავებით, მე ფეხბურთელს მხოლოდ გატანილი გოლებით არ ვაფასებ. გასათვალისწინებელია, თუ რა სარგებლობა მოაქვს მას გუნდისთვის და როგორ მოძრაობს მინდორზე. წინა მატჩებში რაული ძალიან კარგად თამაშობდა, გოლის გატანის შანსიც ჰქონდა, თუმცა არ უმართლებდა. ახლა კი ყველას დაუმტკიცა, თუ რაოდენ დიდი ოსტატია. პირადად მე ეს ამ ორი გოლის გარეშეც მშვენივრად ვიცოდი. რაც შეეხება რონალდოს. იმისთვის, რომ ფორმა სრულად აღიდგინოს და ის ფეხბურთი აჩვენოს, რომელსაც მისგან ყველა ელის, კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება. რანალდო კარგი ფეხბურთელია და დარწმუნებული ვარ, ფორმას მალე აღიდგენს", - განაცხადა კაპელომ.

## მოკლედ

### ირანი მოკვეთეს

ირანის ძალოსანთა ნაკრები მოკვეთეს მსოფლიო ჩემპიონატიდან, რომელიც 29 სექტემბრიდან 7 ოქტომბრამდე დომინიკის რესპუბლიკაში უნდა გაიმართოს.

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ასეთი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც გასულ კვირაში ირანის ნაკრების 9 სპორტსმენი ჩავარდა დოპინგ-ტესტზე.

### ფერგიუსონი კმაყოფილია

სერ ალექს ფერგიუსონისთვის სამშაბათის მატჩს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მანკუნიანელთა მწვრთნელი ზედმეტი კეკლუცობის გარეშე ამბობდა, რომ პორტუგალიაში რევანშისთვის ჩავიდა. კარგად მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე მწვრთნელები, როგორც არ უნდა იყვნენ შეპყრობილნი რევანშის წყურვილით, ამას არ აღიარებენ. სერ ალექსს კი არ მოერიდა და ეს ღიად განაცხადა.

რევანში შედგა. "მანჩესტერმა" საას გოლის წყალობით შეძლო "ბენფიკას" დამარცხება. მატჩის შემდეგ სერ ალექსმა სწორედ ფრანგი ფორვარდის გოლზე გაამახვილა ყურადღება: "ვფიქრობ, დღეს კარგად ვითამაშეთ. "მანჩესტერმა" საას ბრწყინვალე გოლის წყალობით მოიპოვა სამი ქულა. მიმაჩნია, რომ ეს გოლი მატჩის საუკეთესო ეპიზოდია. აღფრთოვანებული ვარ ლუის გოლით".

ამ მატჩის შემდეგ კიდევ ერთმა ფეხბურთელმა ისურვა ჟურნალისტებთან საუბარი. ვინც შეხვედრას თვალყური ადევნა, შეამჩნევდა, რომ საკმარისი იყო კრიშტანუ რონალდუს ბურთი მიეღო და მთელი სტადიონი უსტვენდა. რონალდუ "ბენფიკას" ფანებმა ჯერ კიდევ მაშინ აითვალწუნეს, როცა ის "სპორტინგში" თამაშობდა.

"როდესაც ტრიბუნები მისტვენენ, ეს ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა. ვიცოდი, რომ "ბენფიკას" ფანები ასე მიმიღებდნენ. ეს არც გამკვირვებია. მათ სტვენას ჩემი თამაში დავუპირისპირე და თავადაც იცით, ვინ დარჩა საბოლოოდ მოგებული", განაცხადა რონალდუმ, რომელიც სამშაბათის მატჩის ერთ-ერთ მთავარ გმირად უნდა ჩავთვალოთ.

### ვენგერი გლებს აქებს

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მეორე წრეში "პორტოს" დამარცხების შემდეგ "არსენალის" მწვრთნელი არსენ ვენგერი კმაყოფილებას ვერ მალავდა. ვენგერმა გასული წლის ფინალი გაიხსენა, თქვა, რომ წელს ჩემპიონთა ლიგის მოგებას აპირებს და თავისი გუნდი ბელორუსი ნახევარმცველი ალექსანდრ გლები შეაქო.

"გასულ სეზონში ფინალის წაგება ჩვენთვის ნამდვილი შოკი იყო. შევეცდებით ამჯერად მაინც მივაღწიოთ მიზანს. მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა გლებზე. ზოგჯერ ასპროცენტიან მომენტებს აფუჭებს, დღეს კი ბრწყინვალედ ითამაშა. დარწმუნებული ვარ, მომავალში კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს ლამაზი გოლებით".

### "ქალბატონი" ფულს კარგავს

მას შემდეგ, რაც "იუვენტუსი" სერია B-ში დააქვეითეს, კლუბს ფინანსური პრობლემები გაუჩნდა. ამჯერად ტურინელებთან სპონსორული შეთანხმების გაწყვეტა სურს "იუვენტუსის" გენერალურ სპონსორს კომპანია "ტამოილს", რომელიც ადრინდელი შეთანხმებით "ბებერ ქალბატონს" სეზონში 22 მილიონ ევროს უხდის. "ტამოილის" მესვეურებს მიაჩნიათ, რომ ელიტური დივიზიონიდან გავარდნის შემდეგ "იუვე" ამ თანხას აღარ იმსახურებს.

### "არსენალს" ინკოგნიტო ინვესტორი ყიდულობს

ბრიტანულ გაზეთ "ტაიმსის" იფორმაციით, ანონიმური მესაკუთრე აგრძელებს ლონდონის "არსენალის" აქციების შეძენას. ეს ვითარება საკმაოდ ჰგავს იმ სიტუაციას, რომელიც "მანჩესტერ იუნაიტედს" უკავშირდებოდა, როდესაც მალკოლმ გლეიზერმა ნაწილ-ნაწილ დაიწყო აქციების შეძენა და საბოლოოდ კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტი ჩაიგდო ხელში. ახლა ანალოგიური რამ "არსენალს" ემართება, ოღონდ ერთი განსხვავებით - ვინ ყიდულობს კლუბის აქციებს, ჯერჯერობით უცნობია.

### უსახლკაროთა მუნდიალი

სამხრეთ აფრიკაში საინტერესო ტურნირი იმართება. 47 ქვეყნის უსახლკაროები საფეხბურთო მუნდიალს მართავენ. ასეთი ტიპის ჩემპიონატის ჩატარება შესაძლებელი გახდა სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდებისა და მეცენატი ორგანიზაციების დახმარებით. ისევე როგორც ჩვეულებრივი ფეხბურთელები, უსახლკაროთა ნაკრები გუნდებიც თამაშისას თავიანთი ქვეყნების ჰიმნს უსმენენ და შემდეგ იწყება მატჩი.

### დანიელ კარვალიო არმიაზე უარს ამბობს

რუსული ცსკას ლიდერი დანიელ კარვალიო ალბათ უახლოეს მომავალში დატოვებს გუნდს. ამ ფეხბურთელის გადაბირებას არაერთი კლუბი ცდილობს. ჯერ კიდევ ზაფხულში იყო საუბარი, რომ ბრაზილიელი საფრანგეთში გადაბარგდებოდა, თუმცა მაშინ ტრანსფერი არ შედგა. გუშინ ფრანგულმა გაზეთმა L'Equipe-მა გაავრცელა ცნობა, რომლის თანახმადაც დანიელ კარვალიოს უკვე აქვს გაფორმებული პირადი კონტრაქტი "ბორდოსთან". ფრანგულ გაზეთში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ რა თანხას მიიღებს არმიული კლუბი ამ ტრანსფერში.

### ნოვიცკის ახალი კონტრაქტი

NBA-ს გერმანელი ვარსკვლავი დირკ ნოვიცკი, სულ ცოტა, 2011 წლამდე დარჩება "დალასში". კლუბსა და კალათბურთელს შორის აქამდე გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ნოვიცკი 2007-08 წლების სეზონში 16 მილიონ დოლარს მიიღებს. ამ თანხაში არ იგულისხმება პრემიალურები. მართალია, ახალი კონტრაქტის დეტალები არ გახმაურდა, თუმცა ამბობენ, რომ, ახალი კონტრაქტის თანახმად, ნოვიცკის სამ სეზონში 60 მილიონ დოლარს გადაუხდიან.

### "ლოკო" ასათიანის გარეშე

დღეს მოსკოვის "ლოკომოტივი" ბელგიაში უეფას თასის მატჩს გამართავს "ვარეგემის" წინააღმდეგ. რუსული გუნდი ბელგიაში თავისი ერთ-ერთი ლიდერის მალხაზ ასათიანის გარეშე გაემგზავრა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს ტრავმა აწუხებს. თავიდან ითქვა, რომ მალხაზის ტრავმა არც ისე სერიოზულია, გუშინ კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ასათიანი სამი კვირის განმავლობაში ვერ შეძლებს თამაშს, რაც იმის ნიშანია, რომ შესაძლოა მან საქართველო-იტალიის მატჩიც კი გამოტოვოს.

### უკმაყოფილო კაკა

"ლილისა" და "მილანის" მატჩის შემდეგ ბრაზილიელმა კაკამ კარლო ანჩელოტის სათამაშო ტაქტიკა გააკრიტიკა. "მილანმა" საფრანგეთში გასვლითი მატჩი ერთი ფორვარდით გამართა და სწორედ ეს არ მოსწონს კაკას.

"პირადად მე გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს, როცა გუნდი ორი ფორვარდით თამაშობს. ამ ვითარებაში ყოველთვის მაქვს კარგი პასის გაკეთების შანსი და ბურთსაც მალე ვიცილებ. ხოლო როცა გუნდი ერთი ფორვარდით თამაშობს, იძულებული ვარ თავად ჩავერთო შეტევაში. ზოგჯერ შეტევის დაწყებაც მიწევს და დაგვირგვინებაც. ეს კი საკმაოდ რთულია. ზოგჯერ ამბობენ, რომ ეგოისტი ვარ და პარტნიორებს ბურთს არ ვაწვდი. თავად განსაჯეთ: ვის მივაწოდო ბურთი, როცა მინდორზე ერთი ფორვარდია და იმასაც მეტოქის მცველები მეურვეობენ", - აცხადებს კაკა.

### "რომა" არ გაიყიდება

ბოლო ხანს იტალიაში გავრცელდა ჭორი, რომ საფეხბურთო კლუბი "რომა" გაიყიდება. ეს ხმები უარყო დედაქალაქური კლუბის პრეზიდენტმა სენსიმ.

"სრული სისულელეა. კლუბი არ იყიდება და არც არასდროს გაიყიდება. არ მესმის, საიდან ჩნდება ასეთი ჭორები", - განაცხადა სენსიმ.

შეგახსენებთ, რომ სულ რაღაც ორი წლის წინ "რომას" შეძენას ერთ-ერთი სოლიდური რუსული კომპანია ცდილობდა, რომლის უკან რომან აბრამოვიჩი იდგა. მაშინ გარიგება ფაქტობრივად ბოლო წუთს ჩაიშალა. იტალიაში შიშობენ, რომ რუსული ბიზნესი კვლავ დაინტერესდა "რომათი".

# ფეხბურთსა და პოლიტიკას შორის

## ანუ "Forza Italia"

დიანა ჩაჩუა

გახსოვთ ალბათ, მუნდიალამდე რამდენიმე ხნით ადრე აპენინებზე დიდი საფეხბურთო სკანდალი აიწია: წამყვანი საფეხბურთო გუნდები თამაშების ჩაწყობაში დაადანაშაულეს. ამ წერილით მინდა ტიფოზები (ნამდვილი ტიფოზები და არა "ერთი ჩემპიონატის გულშემატკივრები") დავამშვიდო: არ იდარდოთ, ხალხო, იტალია ხომ არც აქამდე განიცდიდა სკანდალების ნაკლებობას. საერთოდაც, იტალიელები ფეხბურთს, პოლიტიკასა და სკანდალებს შორის გამომწყვდეულნი ცხოვრობენ. საინტერესოა, არა? ამიტომ მცირეოდენი მასალის მოძიების შემდეგ იტალიური "პოლიტნარევი ფეხბურთის" შესახებ საინტერესო ფაქტები მოვიპოვე.

მაშ ასე, დავიწყოთ:

ორი რამ, რაც დღემდე დანაწევრებულ იტალიურ ერს აერთიანებს, ფეხბურთი და პოლიტიკაა. თუმცა ამავე დროს სწორედ ეს ორი მოვლენა ანაწევრებს ქვეყანას. შენი მოსაუბრის გარეგნული იერით, მისი პირველივე სიტყვებიდან შეგიძლია მიხვდე, რომელ კულტურას მიეკუთვნება ის - პოლიტიკურს თუ საფეხბურთოს. იტალიაში ეს ორი მოვლენა ორ განსხვავებულ სოციალურ-კულტურულ ტიპს, ცხოვრების წესს და საქმის გაძღოლის სრულიად განსხვავებულ ფორმას ქმნის.

ამის საუკეთესო მაგალითები იტალიის მოქმედი და ყოფილი პრემიერ-მინისტრები - რომანო პროდი და სილვიო ბერლუსკონი არიან.

სილვიო ბერლუსკონი ფეხბურთით დაინტერესებული ადამიანის საუკეთესო მაგალითია. მას ბევრი და-ძმა არ ჰყოლია, რის გამოც ბავშვობიდან ისრუტავდა ინდივიდუალიზმის სულს. მოზარდობის ასაკში სარფიან საქმეს მოჰკიდა ხელი, ამიტომ განათლების მიღებისთვის დრო არ რჩებოდა. სასწავლო დისციპლინებიდან, როგორც ჩანს, მხოლოდ ინგლისური ენა ისწავლა. ისიც იმიტომ, რომ საერთაშორისო გარიგებების დადებისთვის იყო აუცილებელი. დონ სილვიო საეკლესიო ქორწინების მომხრე და განქორწინების წინააღმდეგია, თუმცა... თავად განქორწინებულია. როცა პრობლემები შეექმნა და მისი საქმიანობით პროკურატურა დაინტერესდა, სილვიო პოლიტიკაში გადაბარგდა, ოღონდ სრულიად საფეხბურთო მეთოდებით: თავის




*ბერლუსკონი პოლიტიკაშიც საფეხბურთო ტერმინებს მიმართავს.*

პარტიას საფეხბურთო შეძახილის ერთ-ერთი ფრაზა - "**Forza Italia**", ანუ "წინ იტალია" შეარქვა, ფერად კი ეროვნული საფეხბურთო ნაკრების ფერი - ცისფერი აირჩია. მეტიც, სიტყვები "საარჩევნო კამპანიის დაწყება" ბერლუსკონიმ სრულიად საფეხბურთო ტერმინით - "მოედანზე გასვლით" შეცვალა.

იტალიელი კაცის ბედნიერება დონ სილვიოს ასე წარმოუდგენია: მთელი კვირის მანძილზე დღეში 15-სათიანი მუშაობა, დასვენების დღეებში კი ეკლესიაში და ფეხბურთზე სიარული. გადასახადების გადახდა მისთვის უბედურების ტოლფასია. არა იმიტომ, რომ სილვიოს ფული ენანება, უბრალოდ, მის გონებაში ღარიბებისთვის დახმარების იდეა ვერაფრით ვერ თავსდება. მისი აზრით, ღმერთმა კონკურენცია სწორედ იმისთვის შექმნა, რომ ძლიერმა აჯობოს ღარიბს და ეს უკანასკნელი გაკოტრდეს.

რომანო პროდი ბერლუსკონის სრული პროტოტიპია. ის 11-შვილიანი ოჯახის მერვე შვილია. მეუღლე უნივერსიტეტში გაიცნო და, იმის მიუხედავად, რომ საეკლესიო ქორწინების წინააღმდეგი და განქორწინების მომხრეა, განქორწინებაზე არასოდეს უფიქრია. ყოველ შემთხვევაში, დღემდე არ განქორწინებულა.

რომანო კანონმორჩილია, თუმცა არა იმიტომ, რომ კანონის ეშინია. ის უკანონობას უფრთხის, რადგან დარწმუნებულია, რომ მას ინდივიდუალიზმისკენ მივყავართ, ინდივიდუალიზმს კი - მარტოობისკენ. გამოდის, რომ პროდის მარტოობის ეშინია. ის გადასახადებს იხდის, რადგან მიაჩნია, რომ შეუძლებელია ბედნიერი და კმაყოფილი იყო, როცა შენს ირგვლივ ყველა ცუდადაა.

იტალიელ ანალიტიკოსთა დაკვირვებით, პროდის ამ კოლექტივიზმიდან და წესიერებიდან ბიუროკრატია იმზირება. რომანო პროდი და მისნაირები, რომლებიც ბავშვობიდანვე ფეხბურთის ნაცვლად პოლიტიკით ინტერესდებიან, ადამიანებს შორის პირადი ურთიერთობების არსებობას უგულებელყოფენ. ადამიანური ურთიერთობები მას საზოგადოებრივ ურთიერთობებამდე დაჰყავს. ნებისმიერი პრობლემა, რომელსაც ბერლუსკონი თავის პარტნიორთან ათწუთიანი მოლაპარაკების შედეგად გადაწყვეტდა, პროდისთვის შეიძლება მორიგი პრობლემის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შექმნის საფუძველი გახდეს.

კიდევ ერთი დაკვირვება:

ომისშემდგომ იტალიაში ადგილობრივი გუნდის გულშემატკივრობა პოლიტიკოსად გახდომის ლამის მთავარი პირობა იყო.

გასული საუკუნის 80-იან წლებში იტალიის საფეხბურთო მოედნებზე ორი მთავარი მოწინააღმდეგე არსებობდა - ტურინის "იუვენტუსი", რომლის უკანაც FIAT-ის მფლობელი სენიორ ანიელის ოჯახის ინტერესები იმალებოდა და რომის "რომა", იტალიის პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის წევრის ჟულიო ანდრეოტის საყვარელი გუნდი.

ამ ფონზე გარკვეულ რისხვად ითვლებოდა "მილანი", რომელიც ტრადიციულად "მემარცხენედ" მიაჩნდათ. განმარტებისთვის: "მილანის" ტიფოზები არჩევნებზე კომუნისტურ პარტიას უჭერდნენ მხარს. 1980-იანი წლები კლუბისთვის ყველაზე რთული პერიოდი იყო. გუნდი იძულებული იყო ორჯერ დაეტოვებინა სერია ა. პერმანენტულად იცვლებოდა კლუბის ხელმძღვანელობა. თუმცა იტალიის მთავრობაში მოსული სოციალისტები "იტალიის ყველაზე ეროვნული გუნდის" გაქრობას ვერ დაუშვებდნენ. ამიტომ 1986 წელს კლუბის ყიდვა ახალი თაობის ერთ-ერთ ყველაზე წარჩინებულ ბიზნესმენს სილვიო ბერლუსკონის "მოუხდა". ამის სანაცვლოდ მთავრობის ხელმძღვანელმა ბეტინო კრაკსიმ, რომელიც "მილანის" ტიფოზი აღმოჩნდა, რიგი კანონები დაამტკიცა, რომლებმაც სენიორ სილვიოს გენერალურ პროკურატურასთან წამოჭრილი პრობლემების მოგვარების საშუალება მისცა.

კლუბის შეძენამ მკვეთრად გაზარდა დონ სოლვიოს იმიჯი და მას პოლიტიკურ ელიტასთან დაახლოებაში დაეხმარა. თუმცა თუ გასული საუკუნის 80-იან წლებში "მილანი" ბერლუსკონის მხოლოდ დამხმარე ბერკეტად ითვლებოდა, 90-იანი წლებიდან მის პოლიტიკურ კარიერაში გუნდი სულ უფრო დიდ ადგილს იკავებდა.

სილვიოს კლუბზე ფულის დახარჯვა არ ენანებოდა. "მილანი" მალე გაძლიერდა, სუპერკლუბად იქცა და იმარჯვებდა ყველა მასშტაბით.

ამასობაში იტალიაში პოლიტიკური პარტიების კრიზისი დაიწყო. 1993-1994 წლის ზამთარში ბერლუსკონიმ შექმნა საფეხბურთო შეძახილის მსგავსი სახელწოდების პოლიტიკური პარტია "**Forza Italia!**". უკვე მარტში სილვიოს პარტიის მეთაურობით კოალიცია "თავისუფლების სახლი" საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვებს. როგორც იტალიელი დამკვირვებლები მიიჩნევენ, ამ გამარჯვებაში უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ "მილანის" იმ პერიოდის წარმატებებმა შეიტანა.

გავა კიდევ ორი წელი და მმართველ კოალიციაში და კლუბშიც კრიზისი დაიწყება. კოალიცია ბევრმა წამყვანმა პარტიამ, კლუბი კი მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ და საკვანძო მოთამაშეებმა დატოვეს. ამასთან, ბერლუსკონი პრემიერ-მინისტრის პოსტს კარგავს.

1990-იანი წლების ბოლოს "მილანისთვის" აღმავლობის პერიოდი იწყება. 2001 წლის არჩევნებში განახლებული "მილანი" დონ სილვიოს სავიზიტო ბარათად იქცა. ამომრჩევლებმა კვლავ ირწმუნეს, რომ ადამიანს, რომელმაც კლუბს ადრინდელი წარმატებები დაუბრუნა, იგივეს მოახერხებდა ქვეყნისთვისაც.

როგორც ჩანს, დონ სილვიომ ვერც ამ შემთხვევაში მოახერხა ხალხისთვის იმედის გამართლება - რამდენიმე თვის წინ საარჩევნო მარათონის შედეგად პრემიერ-მინისტრის პოსტი დაკარგა. ეს კი, ნებსით თუ უნებლიედ, "მილანის" წარუმატებლობებს დაემთხვა. ასე რომ, იქნებ იტალიელები მართალი არიან, როცა ამბობენ, სილვიო ბერლუსკონის წლევანდელ წარუმატებლობას საფეხბურთო ფესვები აქვსო...

ვინ იცის, იტალიაში ხომ ყველაფერი ხდება...

# ასისტენტობიდან მწვრთნელობამდე

## იოაჰიმ ლიოვი ღირსეულად აგრძელებს კლინსმანის საქმეს

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელმა ბუნდესნაკრებმა ნახევარფინალში იტალიასთან წაგების მიუხედავად, მაინც შეძლო სრულიად გერმანიისთვის დაუვიწყარი გამარჯვება მოეტანა - კლინსმანის შეგირდებმა პორტუგალიელები დაამარცხეს და ბრინჯაოს მედლები გერმანიაში დარჩა.

მუნდიალის დასრულებისთანავე იურგენ კლინსმანმა ბუნდესნაკრების თავკაცის პოსტის დატოვება და ამერიკაში დაბრუნება გადაწყვიტა. გერმანელმა სპეციალისტმა თანამდებობა თავისივე ასისტენტს - 46 წლის იოაჰიმ ლიოვს გადაულოცა. ბუნდესნაკრების ახალ დამრიგებელს თავი არ შეურცხვენია და კლინსის დაწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელა. გერმანელებმა ლიოვის თავკაცობით ჯერ ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო ეტაპზე შინ ირლანდიელებს სძლიეს (1:0), მერე კი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერეს - სტუმრად მოუგეს სან მარინოს გუნდს (13:0).

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მორიგი მატჩის გამართვამდე ბუნდესნაკრები 7 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ გუნდს ამხანაგურად გაეჯიბრება.

ფიფას ოფიციალური საიტისთვის მიცემულ ინტერვიუში გერმანელთა თავკაცი კიდევ ერთხელ იხსენებს გასრულებულ მუნდიალსა და ნაკრების მომავალზე საუბრობს.

**- ჰერ იოაჰიმ, ივლისში კარიერაში სერიოზულ წარმატებას მიაღწიეთ - ბუნდესნაკრების ასისტენტობიდან მწვრთნელად დაწინაურდით. რა შეიცვალა მას შემდეგ თქვენს ცხოვრებაში?**

- პირველ რიგში ის, რომ ახლა უფრო მეტს საუბრობენ და წერენ ჩემზე. რაც შეეხება კონკრეტულად ნაკრებთან მუშაობის ტაქტიკას, აქ ბევრი არაფერი შეცვლილა. მე და ფეხბურთელები აქამდეც კარგად ვიცნობდით ერთმანეთს. მე და იურგენმა ორი წლის განმავლობაში ნაკრებში ბევრი ძირეული ცვლილება განვახორციელეთ, რასაც ახლა მარტო ვაგრძელებ.



*ლიოვს კლინსმანობა არ უჭირს.*

**- მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლების მოპოვების შემდეგ, რომ იტყვიან, გერმანელ გულშემატკივარს მადა გაეხსნა. როგორ უძლებთ ქომაგთა მოთხოვნებს?**

- აბსოლუტურად ვეთანხმები მათ, რომ ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე უნდა ვითამაშოთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რათა გერმანიაში ჩემპიონის რანგში დავბრუნდეთ. ამას ისიც მატებს მოტივაციას, რომ ბუნდესნაკრები ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელითაა დაკომპლექტებული, რომელთაც იმაზე მეტის მიღწევა უნდათ, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორობაა. ასე რომ, არ მოვდუნებულვართ.

**- თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მუნდიალის დაწყების წინ კლინსმანს ბევრი აკრიტიკებდა გუნდის გაახალგაზრდავებისთვის...**

- გუნდში მართლაც არ გვყავს დიდი გამოცდილების მქონე ბევრი მოთამაშე, მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. თანამედროვე ვარსკვლავების - ტიერი ანრის, ანდრეი შევჩენკოს, მიხაელ ბალაკის, რონალდინიოს მაგალითს თუ გავითვალისწინებთ, არც ერთი მათგანი 20-21 წლის ასაკში ვარსკვლავი არ ყოფილა. პირადად მე ლუკაშ პოდოლსკის, ბასტიან შვაინშტაიგერსა და ფილიპ ლამს 25-26 წლის ასაკში სწორედ ზემოხსენებული ვარსკვლავების ბედს ვუწინასწარმეტყველებ.

**- სხვა ახალგაზრდა ფეხბურთელები თუ მოხვდნენ თქვენი თვალთახედვის არეში?**

- შტეფან კესლინგი, პიოტრ ტროშოვსკი, ეუჟენ პოლანსკი და გონსალო კასტრო სწორედ ის მოთამაშები არიან, რომელთაც 21 წლამდელთა ნაკრებში ბრწყინვალე თამაშით დამამახსოვრეს თავი.

**- თქვენი ნაკრების ერთბაშად ორი ვარსკვლავი - იენს ლემანი და მიხაელ ბალაკი პრემიერლიგაში თამაშობენ. როგორ ფიქრობთ, ფეხბურთელებისთვის მნიშვნელოვანია უცხო ქვეყნის ჩემპიონატში გამოცდილების მიღება?**

- ცუდი ნამდვილად არ არის. მიხაელ ბალაკმა ბუნდესლიგაში შესაძლებლობები ბოლომდე ამოწურა და მას ახალი სამოქმედო სარბიელი სჭირდებოდა. თუმცა, პროგრესის მიღწევა გერმანიის ჩემპიონატშიც შეიძლება. მაგალითისთვის მიროსლავ კლოზეც კმარა.

**- როგორ აფასებთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში თქვენს ჯგუფს?**

- ვფიქრობ, ჩეხეთი, სლოვაკეთი და ირლანდია პრობლემებს შეგვიქმნიან. ამ უკანასკნელის შესაძლებლობებში პირველივე მატჩში დავრწმუნდით. დანარჩენებზე რა გითხრათ... არა მგონია, მათთან პაექრობა გაგვიჭირდეს.

**- პრესაში ძირითადად მშვიდ, გაწონასწორებულ პიროვნებად გახასიათებენ. დროის ამ მცირე მონაკვეთში თუ ყოფილა შემთხვევა, როცა ფეხბურთელებისთვის გიყვირიათ?**

- ჩემი გაბრაზება სიტუაციაზეა დამოკიდებული. ჩემი აზრით, ყვირილით საქმე არ კეთდება. თუმცა, ზოგჯერ ესეც აუცილებელია.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

*1.* ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების და სანიაღვრე ქსელების აღდგენა-რეკონსტრუქციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 პოზიციად (ლოტად):

1. ლილოს დასახლების IV კვ. კორპ. N12 ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება -გაძლიერება;

2. ქვიშხეთის ქ. N34 საცხოვრებელი სახლის მიმდებარე სანიაღვრე ქსელის აღდგენა - რეკონსტრუქცია;

შესასრულებელი სამუშაოების მოკლე დახასიათება:

1 ლოტი - მიმდებარე წყალ-კანალიზაციის სისტემის შეცვლა, ფუძე-საძირკვლების გამაგრება-გაძლიერება, დაზიანებული მზიდი კონსტრუქციების ჩაცმა რკინა-ბეტონის ჯავშანში, საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიის ვერტიკალური გეგმარება და კეთილმოწყობა, დაზიანებული სახურავის აღდგენა;

2 ლოტი - სანიაღვრე ქსელის გაწმენდა და დაზიანებული კონსტრუქციების აღდეგენა.

*2.* მიწოდების სავალდებულო ვადა: 1 ლოტი - 2006 წლის 25 დეკემბრამდე, 2 ლოტი - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1 თვე.

*3.* განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოადგენილ იქნას 2006 წლის 19 ოქტომბრის 12 საათიდან 2006 წლის 19 ოქტომბრის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4.* პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**.

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისრაციის შესახებ;
- ცნობას, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ ( ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ -ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5.* თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებამდე დადებამდე.

**6.** სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 28 სექტემბრის 12 საათიდან 18 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.*ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელსეკრულების რირებულების 5% ოდენობით.

**8.** ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

**9.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ნუგზარ დავლიანიძე- საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს ხელახალ ტენდერს საქონლის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი - საოფისე ქაღალდი**
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ **2006 წლის 17 ოქტომბრის 17 საათამდე.** შემდეგ მისამართზე: 0162, საქართველო, თბილისი, ირაკლი აბაშიძის N70 საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 300043133

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საოფისე ქაღალდი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ **2006 წლის 18 ოქტომბრის 14 საათამდე,** ზემოაღნიშნულ მისამართზე.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონვერტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

**იურიდიულ პირთა:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან);

**ფიზიკურ პირთათვის:**

- ცნობას, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის (ცნობა სასამართლოდან)

**როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირთათვის:**

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;

ტენდერის შედეგად გამოვლენილი იქნება ერთი გამარჯვებული. რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი საქონლის მიწოდება ქ. თბილისში 2006 წლის ბოლომდე.

***შენიშვნა:*** *არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.*

*ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს საქონლის მიწოდების პროცესში მათი მონაწილეობის შემთხვევაში.*

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებას და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე 22-69-07;

*სატენდერო კომისია*

# განცხადება

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ გაზეთ "24 საათის" N212 გამოშვებაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - საგანმანათლებლო რესურსცენტრების მოხელეთა ვაკანტურ თანამდებობებზე გამოქვეყნებულ კონკურსში გაიპარა რამოდენიმე შეცდომა. კერძოდ:

1. რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ვაკანტური თანამდებობების ჩამონათვალი უნდა ყოფილიყო შემდეგი სახით:

2. მარტვილის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ვაკანტური თანამდებობების ჩამონათვალი უნდა ყოფილიყო შემდეგი სახით:

საკონკურსო განაცხადის საგაზეთო ვერსიაში ასევე გამორჩენილი იყო დუშეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, რომელიც შემდეგი სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი:

*საჯარო სამსახურის ბიურო*

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 44

11 სექტემბერი 2006 წ.

## "ქ. თბილისის მერიის ზედამხეველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" 2006 წლის 13 ივნისის N21 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის და ქ. თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

"საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22 მუხლის მე-3 პუნქტის "ნ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61 და 63-ე მუხლების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "ქ. თბილისის მერიის ზედამხეველობის საქალაქო სამასახურის დებულების დამტკიცების შესახებ"ქ. თბილისის მერის 2005 წლის 2 სექტემბრის ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" 2006 წლის 13 ივნისის N21 ბრძანება.
2. 2005 წლის 2 სექტემბრის ბრძანება N62 "ქ. თბილისის მერიის ზედამხეველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" N1 დანართის მე-7 მუხლის, პირველი პუნქტის, "დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"დ)საგანგებო დავალებათა ოპერატიული განყოფილება (ინსპექცია);"

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

*ქალაქ თბილისის მერი*
*გიორგი უგულავა*

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 45

11 სექტემბერი 2006 წ.

## "ქ. თბილისის მერის 2005 წლის 3 ოქტომბრის N64 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 13 მარტის N16 ბრძანებაში ცვლილების და დამატებების შეტანის თაობაზე

1. "ქ. თბილისის მერის 2005 წლის 3 ოქტომბრის N64 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 13 მარტის N16 ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. დამტკიცდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43-ე, 44-ე, 441-ეA, 443-ე , 513-ე, 52-ე, 533-ე, 55-ე, A 552-ე,A 553-ე, 58-ე, 601 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 1191-ე, 146-ე, 1461, 1471-ე, 148-ე, 149-ე, 150-ე, 1501-ე, 151-ე, 152-ე, 1522-ე, 1735-ე,A17711-ე მუხლის პირველი ნაწილით და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ" მე-5 მუხლის პირველი და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმა (დანართი N1). აღნიშნულ სამართალდარღვევებზე ოქმის შედგენის უფლება აქვთ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის საამისოდ უფლებამოსილ მოსამსახურეებს."

2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

*ქალაქ თბილისის მერი*
*გიორგი უგულავა*

ქალაქ თბილისის მერი

ბრძანება № 46

15 სექტემბერი 2006 წ.

## "ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მერის 2006 წლის 10 ივლისის N39 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. "ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" თბილისის მერის 2006 წლის 10 ივლისის N39 ბრძანებით დამტკიცებულ ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობის დებულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-15-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 15. გამგეობის სტრუქტურა

გამგეობის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) გამგეობის აპარატი;
ბ) სოციალურ საკითხთა განყოფილება;
გ) საბინაო-კომუნალური განყოფილება;
დ) ეკონომიკური პოლიტიკის განყოფილება;
ე) სამხედრო განყოფილება."

ვ) 23-ე მუხლის 2-ე და 4-ე პუნქტებიდან ამოღებულ იქნას სიტყვები "და გამგეობის დადგენილება", და 2-ე და 4-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. რაიონის თანამდებობის პირების ნორმატიული აქტების: გამგებლის ბრძანების მომზადების, მიღების, გამოქვეყნების, მოქმედების, აღრიცხვისა და სისტემატიზაციის წესი განისაზღვრება "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონით, მერიის დებულებითა და მის საფუძველზე მიღებული ქალაქ თბილისის მთავრობისა და გამგეობის რეგლამენტით."

"4. გამგებლის ნორმატიული აქტი ძალაში შედის დადგენილი წესით მისი გამოქვეყნების შემდეგ."

2. ეს ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

*ქალაქ თბილისის*
*გიორგი უგულავა*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ორეტაპიან ტენდერს ქ. თბილისში იყალთოს ქუჩა N26-სა და N25-ს შორის საყრდენი კედლის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შემოთავაზებული სატენდერო წინადადება უნდა ითვალისწინებდეს:

აღნიშნულ მისამართზე საჭიროა მოეწყოს 67 გრ/მ და 6 მეტრის სიმაღლის ფერდობის დასაცავად საყრდენი კედელი.

**2** საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების სავალდებულო ვადა - 2006 წლის 29 დეკემბრამდე.

3. დაფინანსების წყარო: ქ. თბილისის ბიუჯეტი.

**4.** პრეტენდენტმა პირველად სატენდერო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები (ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი) და ეს უკანასკნელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.პრეტენდენტმა საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე;

**ინსტრუქცია პირველადი სატენდერო წინადადების შედგენის წესის შესახებ:**

პირველადი სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე;

პირველადი სატენდერო წინადადება ღირებულების გარეშე წარმოდგენილი უნდა იქნას საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად, ერთი დახურული კონვერტით;

პირველადი სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ (თუ როგორ განახორციელებენ აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებს), რომლის საფუძველზეც შემდგომში შესაძლებელია სატენდერო დოკუმენტაციის და ტექნიკური პირობების დაზუსტება.

7. განაცხადი, პირველადი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 20 ოქტომბრის 12 საათიდან 20 ოქტომბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

8.სატენდერო კომისიაში შემოსული საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები საექსპერტო დასკვნისათვის წარედგინება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს საექსპერტო კომისიას, რომლის დასკვნაც წარმოადგენს სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტთა შერჩევის საფუძველს.

9. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს და იქნება შესასყიდი მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს დადებითი დასკვნა.

10. სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 28 სექტემბრის 12 საათიდან 2006 წლის 19 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

11.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ზაზა ოყროშიძე საკონტაქტო ტელეფონი 99-64-53, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია*

# წინასაკვალიფიკაციო განცხადება ხორბლის მარცვლის ტრანსპორტირებით დაინტერესებული კომპანიებისათვის

გაერთიანებული მეთოდისტური კომიტეტის ჰუმანიტარული მისიის საქართველოს წარმომადგენლობა (ამქორ-საქართველო) სურვილს გამოთქვამს მიიღოს წინადადებები **ხორბლის მარცვლის ტრანსპორტირებაზე** დაინტერესებული კომპანიებისაგან.

**(ამქორი არის ჰუმანიტარული დახმარებისა და განვითარების სააგენტო)**

**მოთხოვნილი მომსახურება:**

- გემიდან-ტანკერიდან ხორბლის მარცვლის გადმოტვირთვა.
  შინიშვნა: ვაკუვატორი და სხვა საჭირო მოწყობილობები ხორბლის გადმოსატვირთად მოწოდებული იქნება გემის მეპატრონის მიერ.
- ხორბლის ტრანსპორტირება ფოთის პორტიდან საბოლოო დანიშნულების ადგილამდე.

**სატრანსპორტო კომპანია დამატებით პასუხისმდებელი იქნება შემდეგზე:**

- ხელი შეუწყოს ამქორ/საქართველოს ხორბლის განბაჟებისას;
- ტრანსპორტირებისას ხორბლის დაცვაზე;
- გემისა და ვაგონების მოცდენაზე;
- ხორბლის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუარესებაზე;
- ტრანსპორტირებისას ხორბლის დანაკარგებზე;

ამქორ/საქართველო იწვევს მონაწილეობის მისაღებად ყველა იმ კვალიფიცირებულ სატრანსპორტო კომპანიას რომლებიც არიან იურიდიულად რეგისტრირებულნი და აქვთ მოთხოვნილი მომსახურების გაწევის სათანადო გამოცდილება.

**პროდუქციის აღწერილობა**

პროდუქცია: ხორბლის მარცვალი;
რაოდენობა: 8000 ტონა;
შეფუთვა: დაუფასოებელი;
კლასი/ხარისხი: ზამთრის მაგარი წითელი;
ტვირთის ჩამოსვლის სავარაუდო თარიღია: 23 ოქტომბერი 2006 წ. ფოთი, საქართველო

**მონაწილეობაზე დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

1. ხელმოწერილი და ბეჭედდასმული წერილი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
   - თანხმობა ტენდერში მონაწილეობაზე;
   - კომპანიის დასახელება;
   - იურიდიული სტატუსი;
   - საკონტაქტო ინფორმაცია;
   - საბანკო რეკვიზიტები;
   - საგადასახადო კოდი;
   - ზოგადი ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ.
2. ბეჭდის ასლი;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;
4. ცნობა სასამართლოდან რომ კომპანიის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
5. ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ კომპანიის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
6. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
7. ინფორმაცია ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩატარებული ანალოგიური საქმიანობის შესახებ.

**შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი უნდა იყოს დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი.**

**დოკუმენტაციის წარდგენის პროცედურა:**

- დაინტერესებული კომპანიები ნება ეძლივათ წარმოადგინონ დოკუმენტაცია ქართულ ან ინგლისურ ენაზე, დაბეჭდილი კონვერტით რომელზეც აღნიშნულია კომპანიის დასახელება შემდეგ მისამართზე: ი. აბაშიძის 75, თბილისი, საქართველო, ამქორ/საქართველოს ოფისი. ტელ.: (99532) 227068, 250845, 941581; ფაქსი: (99532) 231366;
- დოკუმენტების წარდგენის ბოლო ვადაა 17:00 საათი, 2006 წლის 6 ოქტომბერი;
- ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი დოკუმენტები არ განიხილება;

* კონვერტები გაიხსნება ამქორ-საქართველოს ბიდების შეფასების კომიტეტის მიერ;
* მონაწილე კომპანიები არ იქნებიან უფლებამოსილი ჩაასწორონ, შეცვალონ ან გამოითხოვონ ნებისმიერ დოკუმენტი მათი ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ;
* ამქორ-საქართველო უფლებამოსილია მოსთხოვოს მონაწილე კომპანიას დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტი;
*** ამქორ/საქართველო შეარჩევს იმ კომპანიებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ ყველა ზემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს.**
*** მხოლოდ ეს კომპანიები იქნებიან მოწვეულნი ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.**

ბიდების მიღებაზე უფლებამოსილი პირია ამქორ/საქართველოს ოფისის მენეჯერი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ამქორ/საქართველოს მონეტიზაციის განყოფილებას.

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო დარბაზებისათვის საჭირო ავეჯის (სავარძლების) შესყიდვაზე.**

*ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.*

შესყიდვის ობიექტი:

**1. ოზურგეთი - 10-4ანი; 2-3ანი; 2-2ანი ხის ფაქტურის სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**
**2. თელავი - 13-4ანი; 14-2იანი ხის ფაქტურის სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**
**3. ფოთი - 16-4ანი; 4-3ანი ხის ფაქტურის სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**
**4. გორი - 42-4ანი; 8-3ანი ხის ფაქტურის სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**
**5. რუსთავი - 56-4ანი; 8-3ანი; 6-2იანი ხის ფაქტურის სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**
**6. სამტრედია - 4-4ანი; 6-3ანი; 10-2ანი ხის ფაქტურის სავარძელი, ადგილზე ჩატანით;**

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (დალუქულ მდგომარეობაში უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 18 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხება.*

2.2 ფიზიკური პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებად;*

3. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთმოყვანილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

4. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით;

5. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900, N300033133

6. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საქართველოს უზენაესი სასამართლო, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ტატა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი). ტ. 92 11 89;

***სატენდერო კომისია***

# შპს "საქართველოს რკინიგზა" აცხადებს ტენდერს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

1) შპს "საქართველოს რკინიგზა" (ქ. თბილისი, 0112 თამარ მეფის გამზ. 15 ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757), აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს (საქართველოს ან უცხო ქვეყნის იურიდიული ან/და ფიზიკური პირი).

***ლოტი 1 - ბათუმი -სამტრედიის უბნის კმ 99-ის პკ9+0,95 მდინარე რიონზე სარკინიგზო ხიდის მშენებლობა***

***ლოტი 2 - მეორე ლიანდაგი სამტრედია-თბილისის უბანზე საგუშაგო კმ 2334 - სადგურ ხარაგაულის გადასარბენზე არსებულ გვირაბთან მისასვლელი ლიანდაგის რადიუსის გაზრდა მიწის ვაკისის მოწყობა***

***ლოტი 3 - სამშენებლო სარემონტო სამუშაოების ჩატარება სადგურ ქუთაისი-2***

1) დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ, რეკვიზიტებზე ს/ს ბანკი "რესპუბლიკა", ანგარიშის №3407003205, კოდი 220101757. პრეტენდენტს სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეცემა ობიექტის დეფექტური აქტები განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობის აღწერით, ასევე საბაზისო მოთხოვნები პრეტენდენტების მიმართ.

2) დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები (პრეტენდენტებთან ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით), ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის **21 ოქტომბერი** 9:00 საათადან 18:00 საათამდე , ორ ეგზემპლარად, შემდეგ მისამართზე: შპს "საქართველოს რკინიგზა", ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდება საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით, აგრეთვე ტექნიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების დაზუსტების შემდეგ მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან.

3) საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 ცნობები:

4.1.1 იურიდიული პირისათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ინდ/მეწარმის რეგისტრაციის საბუთი;

დ) სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო თანხის 1%-იანი საბანკო გარანტიის წარმოდგენა, **რომლის მოქმედების ვადა ერთი თვით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.**

4.1.3. როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაცია უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, მათ შორის რკინიგზის ობიექტებზე შესრულებული სამუშაოების შესახებ ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4.1.4 პრეტენდენტების მიერ ფასები წარმოდგენილი უნდა იქნეს ეროვნულ ვალუტა - ლარში დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს შესყიდვების სააგენტოში, ტელ:56-33-51; 56-46-24

***სატენდერო კომისია.***

1. უცხო ქვეყნების წარმოამადგენლების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან კანონით დადგენილი წესითა და ლეგალიზებული სახით.